# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 8 ნოემბერი 2000 №216 (1238) | ფასი 50 თეთრი

# ლიგის განდაგანა




REUTERS

„ლიონმაც“ თავისი გაინაღდა, სონი ანდერსონმაც (№9) და სტივ მარლემაც: ფრანგული კლუბი მომდევნო ეტაპზე გავიდა

## სამი წინ წავიდა, ორი გავარდა, სამიც განზე გადგა: ასეთი იყო ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი დღე

წინ წასულებს შეუერთდნენ „ლიონი“ და D ჯგუფის ორი ლიდერი — „შტურმი“და „გალათასარაი“, რომლებმაც გლაზგოს შედეგის გაგებისთანავე შეწყვიტეს ბრძოლა;

გავარდნილებს მიემატნენ პრაღის „სპარტა“ და „მონაკო“, რომელმაც არც „რეინჯერსს“ ახეირა და ვერც თავად გამორჩა რამეს;

განსმდგომ ანუ უეფას თასზე გადასულ „ლევერკუზენს“ კი გვერდი დაუმშვენეს „ოლიმპიაკოსმა“ და „რეინჯერსმა“, რომელთათვის ეს დიდი ტრაგედიაა და დონეცკის „შახტარმა“, ვინც „არსენალის“ განადგურებით ლიგის კარი გაიჯახუნა და უეფასი შეაღო.

იხილეთ მეორე გვერდი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| სპარტაკი | 1 |
| რეალი | 0 |
| სპორტინგი | 0 |
| ლევერკუზენი | 0 |
| **B ჯგუფი** | |
| შახტარი | 3 |
| არსენალი | 0 |
| სპარტა | 0 |
| ლაციო | 1 |
| **C ჯგუფი** | |
| ვალენსია | 1 |
| ჰერენვენი | 1 |
| ლიონი | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 0 |
| **D ჯგუფი** | |
| გალათასარაი | 2 |
| შტურმი | 2 |
| რეინჯერსი | 2 |
| მონაკო | 2 |

### ემზარ ჯენაიშვილი
სტამბოლიდან



## სად გაფრინდება გაფრინდაშვილის თასი?

**შეაღებ** თუ არა RUMELI HALL-ის კარს, უფრო სწორად, როცა მას თავაზიანად გაგიღებენ უნიფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდები, თვალში გეცემა თავის ჭკუაზე ჩაცმულ-დახურული, ყველა რასის, რელიგიის და ასაკის მოჭადრაკეთა არმია. ნახავთ გვერდიგვერდ მდგომ მოსაუბრეთ — თბილ ქურთუკში, ქუდსა და შარფში გამოწყობილებსა და ისეთებსაც, შორტების ამარა, უწინდელ, საშინაოდ ფეხშემოსილნი რომ დაბორიალობენ. ტურის დაწყებიდან 3-4 საათის შემდეგ კი დარბაზის თავსა და ბოლოში ბევრია იატაკზე ფეხთმორთხმული თუ მხართეძოზე წამოწოლილი — მართლაც რომ ძნელია, უსკამო და უსავარძლო სივრცეში 6-7 საათის განმავლობაში თვალყური ადევნო ტურნირის მსვლელობას. უფრო მეტად აფრიკა-აზიის წარმომადგენლები ვერ უძლებენ ფეხზე დიდხანს დგომას...

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

### გუშინ

ვაჟები: საქართველო — ინდოეთი 1,5:2,5
ქალები: საქართველო — რუმინეთი 2:1




...სოლომონ გულისაშვილი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების შესახებ.

...ვიქტორია ადამსი, ავლაბარი და დევიდ ბექემის პლაკატი.

...ცოტაც ვიმხიარულოთ.

...პროფესიული კრივის ყველა ჩემპიონი.

...მერაბ რატიშვილი — მეორე ოცნების გუნდის თვითმხილველი.

...ავთანდილ გურასაშვილი სიდნეის იგონებს.

ორშაბათიდან ჟურნალი სარბიელი
ფასი 2 ლარი

# სილა უსისხლოდ, სისხლი უსილოდ

მასპინძლები — სტუმრები 19:2. პირველლიგელები — მეორელიგელები 11:2. სტუმრებს და დაბალლიგელებს მეტოქეებმა ისეთი სილა გააწნეს, საეჭვოა, მათმა უამრავლესობამ საპასუხო შეხვედრაში „სისხლის აღება“ შეძლოს. სილა არავის უკადრებია, მაგრამ თამაში მაინც ვერ ჩაამთავრა „ტორპედო“ — „ბათუმის“ არბიტრმა ალექსანდრე შილაკაძემ, რომელსაც 61-ე წუთზე ცხვირიდან სისხლი წასკდა და სათადარიგო კოლეგამ, სეხნია კრიჟაშვილმა შეცვალა.

### საქართველოს თასის მერვედფინალი
პირველი მატჩები

7 ნოემბერი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 |
| ბათუმი | 0 |
| დინამო | 4 |
| სიონი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 3 |
| ზუგდიდი | 0 |
| დილა | 2 |
| გორდა | 0 |
| კოლხეთი | 6 |
| მეტალურგი | 0 |
| თბილისი | 0 |
| მერანი | 1 |
| გურია | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |
| სამგურალი | 2 |
| თსუ | 0 |

იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდები



გუშინ მუშტაიდში: „თბილისი“ — „მერანი“ 0:1.
„თბილისის“ მცველებმა მერანელი ლევან ბაჯელიძის იერიში მოიგერიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტური

## A ჯგუფი

### სპარტაკი 1:0 რეალი

1:0 ჯერემი (47ს.კ.)
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, ანანკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო, ბეზროდნი, მარკაო (შირკო 64), რობსონი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
რეალი: სესარი, სალგადო, სანჩისი (პავონი 85), კარანკა, ჯერემი, სოლარი, მაკელელე, მაკმანამანი, რივერა, მორიენტესი, მუნიტისი (ტოტე 74)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
77 000 მაყურებელი

### სპორტინგი 0:0 ლევერკუზენი

სპორტინგი: ნელსონი, პრატესი, დიმაში, ბები, ანდრე კრუზი, დელფიმი, უგო (ბიმენტა 46), ბინუ, ბარბოსა, ჟოაუ პინტუ (ფაბრი 81), აკოსტა
მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო
ლევერკუზენი: ცებერბიულერი, რ. კოვაჩი, ვრანიეში, ჟივკოვიჩი, შნაიდერი (ნოინდორფი 75), ოუზიგვე, ზე რობერტო, ჰოფმანი, ბონტე (ნოივილი 71), ბეიდუკი (ბრდარიჩი 71), რინკი
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)
10 000 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| სპარტაკი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:3 | 12 |
| ლევერკუზენი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| სპორტინგი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | 2 |

## C ჯგუფი

### ლიონი 1:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ლეგლი (2)
ლიონი: კუპე, დელანდრე, ედმილსონი, ლაველი (ს. ბლანი 71), ბრეშე, ფოე, ვიოლო, ლეგლი, სონი ანდერსონი (გოვუ 85), მარლე, ვერელი (ლინარესი 69)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კონტისი, ამანატიდისი, ანცასი, პაცაცოლლუ, ზე ელიასი, პურსანიდისი (მავროგენიდისი 55), ზეტერბერგი, ჯორჯევიჩი, ალვეში, ჯოვანი (ოფორი კუაე 55)
მწვრთნელი: იანის მაცურაკისი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
42 000 მაყურებელი

### ვალენსია 1:1 ჰერენვენი

1:0 დიეგო ალონსო (10), 1:1 ვენემა (38)
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, ზაჰოვიჩი, დიეგო ალონსო, ანგულო, ვისენტე, ბარახა, პარი (ხუან სანჩესი 46), ალბელდა (კარეუ 77)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ჰერენვენი: ვონკი, ვენემა, ჰამმა, გ. დე ნოიერი, ნურმელა, ტალანი (ვიინგაარდენი 71), იენსენი (ბოლმი 63), ლურლინგი, ჰუიზინგი, ვან გესელი, ებინგე
მწვრთნელი: ფოპ დე ჰაანი
გაძევება: ებინგე (68)
მსაჯი: მიშელ პირო (ბელგია)
28 000 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 13 |
| ლიონი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:6 | 9 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:5 | 9 |
| ჰერენვენი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:9 | 4 |

## B ჯგუფი

### შახტარი 3:0 არსენალი

1:0 აბელკინი (34), 2:0 ვორობეი (57), 3:0 ბიელიკი (66)
შახტარი: ვირტი, სტაროსტიაკი, გლევეცკასი, ტიმოშჩუკი, პოპოვი, ბახარევი, ზუბოვი, აბელკინი (ბიელიკი 52), ვორობეი (სავუ 88), აბრამოვი (ალიუტა 77), ოკოროწკვო
მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო
არსენალი: ტეილორი, დიქსონი, კიოუნი, აშლი, ვივასი, ეშლი კოული, პარლოუ (ვერნაცა 72), ლორენი, ვილტორდი, ანრი (ლიუნგბერგი 62), კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)
32 000 მაყურებელი

### სპარტა 0:1 ლაციო

0:1 რავანელი (43)
სპარტა: ბლაჟეკი, გრიგერა, ლაბანტი, ჰაშეკი (მინარი 86), სვობოდა (პროხაზკა 65), იროვი ნოვოტნი, ზიგლი (კინჩლი 81), ბოლფი, იაროშიკი, პაპუშეკი, როსიცკი
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
ლაციო: მარკეჯანი, კოლონეზე, პესარეზი, გოტარდი, ფერნანდუ კოუტუ, სტანკოვიჩი, ლომბარდო, ბარონიო, რავანელი, სალასი (ბერგტონი 46; ლუჩიანი 89), ს. ინძაგი (რუგიუ 85)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
19 414 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:8 | 13 |
| ლაციო | 6 | 4 | 1 | 1 | 13:4 | 13 |
| შახტარი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:15 | 6 |
| სპარტა | 6 | 1 | 0 | 5 | 6:13 | 3 |

## D ჯგუფი

### გალათასარაი 2:2 შტურმი

1:0 ერგუნი (30პ), 1:1 იურანი (63), 2:1 ჟარდელი (75), 2:2 ჰაქან უნსალი (80ს.კ.)
გალათასარაი: ქრემი, ბიულენთ ქორქმაზი, პოპესკუ, ემრე, ოკანი, ჰასან საში (ფარუკი 83), ფათიჰი, ერგუნი, ჰაქან უნსალი, ჟარდელი (მარსიო 89), ჰაჯი (სერქანი 64)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, შუპი (კორსოში 60), რაიზმაიერი (იურანი 46), ვასტიჩი, პრილასნიგი, მამედოვი, შოპი, მინავანდ ჩალი (შტრაფნერი 83), კოციანი, ფლურკინი
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
გაძევება: ემრე (79)
მსაჯი: კარლ ერიკ ნილსონი (შვედეთი)
22 000 მაყურებელი

### რეინჯერსი 2:2 მონაკო

1:0 მილერი (3), 1:1 და კოშტა (38), 2:1 მოლსი (52), 2:2 სიმონე (77)
რეინჯერსი: კრისტიანსენი, რიკსენი, ამორუზო, უილსონი, ვიდმარი, რ. დე ბური (მაკკანი 86), ფერგიუსონი, ალბერტცი (უოლესი 78), ნუმანი, მოლსი (თუგაი 56), მილერი
მწვრთნელი: დიკ ადვოკატი
მონაკო: პორატო, კონტრერასი, ირლი, კრისტენვალი, და კოშტა, დაბო, ბონალი, ჟიული (ელუა 69), გალიარდო (გრაველენი 26), სიმონე, ნონდა (პრსო 57)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
მსაჯი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
50 228 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:12 | 10 |
| გალათასარაი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:13 | 8 |
| რეინჯერსი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:7 | 8 |
| მონაკო | 6 | 2 | 1 | 3 | 13:10 | 7 |



სპორტინგი — ლევერკუზენი 0:0. ყველაზე უაზრო და უგოლო მატჩი, თუმცა სეზარ პრატესსა და ბერნდ შნაიდერს (მარჯვნივ) თავი მაინც არ დაუზოგავთ





D ჯგუფი. წუხელ რეინჯერსელმა კენ მილერმაც შეაგდო და სტამბოლელმა მარიო ჟარდელმაც, თუმცა განგებამ შოტლანდიელი უეფას თასზე გაუშვა, ბრაზილიელი კი ლიგაში დააწინაურა



შახტარი — არსენალი 3:0.
ლონდონელთა განადგურება ოლექსი ბიელიკმა დაასრულა



„ოლიმპიაკოსის" შვედ პარ ზეტერბერგს მხოლოდ უეფას თასის საგზური და მოსიანების მძლეველი „ლიონის" მაისურა ერგო



სპარტა — ლაციო 0:1. რომაელებმა გუერინო გოტარდითა (№17) და მისნაირი სათადარიგოებითაც სძლიეს ტომაშ როსიცკის „სპარტას"

## ინგლისი

### I დივიზიონი

ნორვიჩი — ბირმინგემი 1:0; უოტფორდი — უიმბლდონი 1:3; შეფილდი — ფულემი გადაიდო

### II დივიზიონი

ნორთჰემპტონი — სტოკი 2:2; სუინდონი — რექსჰემი 2:2; უიგანი — მილუოლი 1:0

## იტალია

სერია B. X ტური
სამპდორია 2:0 ჯენოა

## ჰოლანდია

თასის II ეტაპი
ეინდჰოვენი (II) 0:4 დენ ბოსხი

# ჯიშკარიანი უმაღლესში, გოგრიჭიანი მეორეში

**კარგი** ამბებია შვეიცარიიდან. ჩვენი ციურიხელები ბოლო დროს სტაბილურად ათამაშდნენ. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ციურიხის“ ბედი დიდადაა დამოკიდებული ჯამარაულისა და ყაველაშვილის მზადყოფნა-განწყობაზე. გასულ უქმეებზეც „ციურიხმა“ სწორედ ჩვენებურთა გოლებით 2:0 დაამარცხა „ლუცერნი“ და ერთობ საჭირო სამი ქულა მიითვალა. ყაველაშვილმა დასაწყისშივე გამოიჩინა თავი, როცა სტუმართა სწრაფი კონტრშეტევა გოლით დაამთავრა. ჯამარაულის გოლშიც, რომელიც გოჩამ მეორე ტაიმის შუაში გაიტანა, ყაველაშვილის წვლილი ერია. მან ბურთი ბრძოლით მოიპოვა და შედეგიანი კომბინაცია წამოიწყო. ჯამარაულმა კი ლამაზ გოლებს მოუხშირა. ახლაც მოწინააღმდეგის კარის ცხრიანში მოარტყა და ირგვლივ მყოფთა გაოცება-აღფრთოვანება გამოიწვია.

ციურიხელთაგან განსხვავებით, გერმანიაში უფრო და უფრო უჭირს „ფრაიბურგს“. წაგებებს ხომ დასასრული აღარ უჩანს და ბოლო ორ ტურში ფოლკერ ფინკეს ბიჭებმა რვა ბურთი გაუშვეს. სამი „აინტრახტისგან“ და ხუთი „ჰამბურგისგან“. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჰამბურგელებს ერთი ამდენი კიდევ უნდა გაეტანათ. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა გერმანიის ტელევიზიის მიერ გადმოცემულ მიმოხილვაში. „ფრაიბურგმა“ სულ რამდენჯერმე გაიბრძოლა. ერთხელ სელიმის დარტყმა ოდნავ აცდა კარს, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ლევან კობიაშვილმა პენალტი ვერ გაიტანა.

უფრო უარეს დღეშია გიორგი ქინქლაძის „დერბი“. ორშაბათს თავსხმა წვიმაში „ცხვრებმა“ ვერაფერი მოუხერხეს „ვესტ ჰემს“. კაცმა რომ თქვას, მოგებას არც იმსახურებდნენ, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში ხეირიანად არ შეუტევიათ. გიო ცდილობდა, მაგრამ ბოლომდე მოუშუშებელი საზარდულის ტრავმის კვალი აშკარად ეტყობოდა.

ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ ელისტის „ურალანს“ 9:0 მოუგო და რუსეთის ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა. სხვათა შორის, რკინიგზელებმა თავისივე მიღწევა გააუმჯობესეს — 1994 წლის ზაფხულში მათ თანაქალაქელ „ტორპედოს“ 8:0 სძლიეს.

ცოტა უცნაური კია, მაგრამ ამ ცხრა გოლიდან ჩვენიანს ერთიც არ შეუგდია, მხოლოდ ორი საგოლე პასით დაკმაყოფილდა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმ დღეს მთელი გუნდი დმიტრი ლოსკოვზე თამაშობდა, რომელმაც ჰეთ-თრიქი გაახერხა და ახლა 15 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირებს მეთაურობს.

პირველ ლიგაში კი რუსებმა ჩემპიონატი დაამთავრეს. ელიტაში სარატოვის „სოკოლი“ და „ტორპედო ზილი“ აღზევდნენ. „სოკოლს“, მოგეხსენებათ, ქართველი პრეზიდენტი რომან ფიფია ჰყავს. იქვე თამაშობს ქართული წარმოშობის მეკარე ზურაბ სანაია, ხოლო ადმინისტრატორი ვინმე მარატ ჭეიშვილია.

ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის, ალექსანდრ კორეშოვის სახელი ბევრს არაფერს გეტყვით. მისი თანაშემწე კი ანტონ შოხია, ახლო წარსულში დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ლიდერი და კაპიტანი. საინტერესოა სარატოველთა ვიცე-პრეზიდენტის ვინაობაც: ადელ-მასუდ ომარ საიდი... აი, ასეთი მოადგილე ჰყავს ფიფიას.

მიხეილ ჯიშკარიანის „ტორპედო ზილმა“ უმაღლესი ლიგის საგზური ბოლო ტურში მოიპოვა. მათი მსხვერპლი დაბეჩავებული სოჭის „ჟემჩუჟინა“ გახდა. გოჩა გოგრიჭიანის გუნდი მეორე ლიგაში დაქვეითდა და ეს, ალბათ ლოგიკურიც იყო. ამბობენ, მწვრთნელ არსენ ნაიდენოვისა და გოგრიჭიანის მეტს „ჟემჩუჟინას“ ბედი თითქმის არავის აწუხებსო.

უკრაინაში კიევის „დინამომ“ გადადებული მატჩი გამართა და ხარკოვის „მეტალისტს“ 1:0 მოუგო. ვალერი ლობანოვსკიმ კვლავ ექსპერიმენტული შემადგენლობა აირჩია, თუმცა ქართველთა ადგილი მასში ამჯერადაც მოიძებნა. უფრო მეტიც, კიეველებმა გიორგი დემეტრაძის გოლით მოიგეს. ახლა დემეს რვა გატანილი ბურთი გაუხდა და მთავარ მეგოლე ვორობეის მხოლოდ სამითლა ჩამორჩება.

**სოლომონ გულისაშვილი**



მიხეილ ყაველაშვილმა გოლიც გაიტანა და „ციურიხს“ სასარგებლოდაც ბევრი იმუშავა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰამბურგი 0:5 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 2 | 13 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰამბურგი 0:5 | 90 | პენალტი ვერ გაიტანა | 11 | 1 | 13 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰამბურგი 0:5 | 64 | შეცვალეს | 10 | 0 | 13 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | უნტერჰახინგი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 14 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | ს | გლადბახი 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 6 |
| თასის მეთექვსმეტედფინალი | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 1:0 | 0 | | 1 | 2 | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 1:0 | 90 | | 2 | 0 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 1:0 | 0 | | 1 | 0 | |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ვესტ ჰემი 0:0 | 90 | | 8 | 1 | 20 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | საუთჰემპტონი 2:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ქრიუ 0:2 | 90 | | 11 | 3 | 18 |
| ლიგის თასის მეთექვსმეტედფინალი | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ნორვიჩი 3:0 | 90 | | 2 | 0 | |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ლივერპული 2:1 დ.დ. | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ფულემი 2:3 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ჰიბერნიანი 1:2 | 90 | | 13 | 0 | 7 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | ტილბურგი 1:0 | 0 | | 6 | 2 | 5 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | ვიტესი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| | პსვ ეინდჰოვენი | ს | ტვენტე 2:0 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| თასის მეთექვსმეტედფინალი | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | გეელი 0:2 | 90 | | 1 | 0 | |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | ლომელი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ლუცერნი 2:0 | 90 | 1 გოლი | 16 | 6 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ლუცერნი 2:0 | 90 | 1 გოლი | 14 | 6 | 8 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | შ | სიონი 1:1 | 86 | შეცვალეს | 16 | 6 | 10 |
| | არაუ | ს | ლოზანა 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 6 | 9 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ურალანი 9:0 | 90 | 2 საგოლე პასი | 21 | 5 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | შ | როსტსელმაში 1:0 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | კრ. სოვეტოვი 0:1 | ? | | ? | ? | 9 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | კრ. სოვეტოვი 0:1 | ? | | ? | ? | 9 |
| დავით გვარამაძე | კრ. სოვეტოვი | შ | ალანია 1:0 | ? | | ? | ? | 14 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | ტორპედო ზილი | შ | სპ. ნალჩიკი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 1 | 2 |
| | ტორპედო ზილი | შ | ჟემჩუჟინა 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 1 | 2 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | ტომი 0:3 | 90 | | 31 | 8 | 17 |
| | ჟემჩუჟინა | ს | ტორპ. ზილი 0:3 | 90 | | 32 | 8 | 17 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | კრისტალი 4:3 | 90 | 1 გოლი | 21 | 1 | 10 |
| | ბალტიკა | შ | შინიკი 1:2 | ? | | ? | ? | 12 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | ბალტიკა 3:4 | 0 | | 23 | 0 | 5 |
| | კრისტალი | ს | ლოკ. ს-პ 3:1 | 90 | 1 გოლი | 24 | 1 | 5 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | შ | სპ. ჩუკოტკა 3:0 | | ჩუკოტკა არ გამოცხადდა | 5 | 0 | 12 |
| | ვოლგარი | შ | რუბინი 1:3 | ? | | ? | ? | 13 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | შ | მეტალისტი 1:0 | 54 | შეცვალეს | 6 | 0 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | შ | მეტალისტი 1:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა, გოლი | 11 | 8 | 2 |
| თასის მეოთხედფინალი | | | | | | | | |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | შ | შახტარი 1:5 დ.დ. | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | ზაგლებე 2:0 | 0 | | 5 | 0 | 15 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | მეტალურგსი 3:1 | 90 | | 16 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | დაუგავა 2:1 | 90 | | 17 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | რიგა 2:0 | 90 | | 18 | 3 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | მეტალურგსი 3:1 | 73 | შეცვალეს, 1 გოლი, გააფრთხილეს | 16 | 5 | 1 |
| | სკონტო | შ | დაუგავა 2:1 | 80 | შეცვალეს | 17 | 5 | 1 |
| | სკონტო | შ | რიგა 2:0 | 60 | შეცვალეს | 18 | 5 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 3:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 4 | 1 |
| | სკონტო | შ | დაუგავა 2:1 | 67 | შეცვალეს | 14 | 4 | 1 |
| | სკონტო | შ | რიგა 2:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 15 | 5 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | დაუგავა 2:1 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | რიგა 2:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 3 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | შ | ვალმიერა 0:0 | 45 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 15 | 1 | 7 |
| | პოლიციასი | შ | რიგა 0:2 | 0 | სათადარიგო | 15 | 1 | 7 |
| | პოლიციასი | ს | დინაბურგი 0:3 | 45 | შეცვალეს | 16 | 1 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## საქართველოს თასი

მერვედფინალი. პირველი მატჩები. საპასუხო მატჩები 21 ნოემბერს

# სიონს თასი რად უნდა

თბილისი
7 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 70 900)

**დინამო 4:0 სიონი**

1:0 გოგოლაძე (7), 2:0 გადელია (29), 3:0 ვაშაკიძე (50), 4:0 გოგოლაძე (69)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე (ბურდული 79), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათვაძე (მონასელიძე 63), სიჭინავა, გადელია, მაზიაშვილი (თ. მაისურაძე 70), კ. გოგოლაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი, კანდელაკი, რუხაძე, გ. ვ. მიქაძე
**სიონი:** ვოლკოვი, ძაპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი, მინდიაშვილი, დ. ჯაბუარიძე (ისიანი 46), მოსეშვილი, კ. მეტრეველი, გამცემლიძე, ჩაგელიშვილი, დემურიშვილი (მ. სამხარაძე 46)
სათადარიგონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, კენქოშვილი
**გაფრთხილება:** დიმიტრიშვილი (40), მაისურაძე (84)
**გაძევება:** მაისურაძე (90)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე, ზ. ჯავარიძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

მამუკა კვანტალიანი

**ძირითადის** შვიდი ფეხბურთელი მოისაკლისა გუშინ სპარტაკ არჩვაძემ. აქედან სამის არყოფნას თავიდანვე შეგუებული იყო ბოლნისელთა თავკაცი. შაკიაშვილი და მაისურაძე ტრავმირებულები არიან, სოლოღაშვილი მინი-ფეხბურთს თამაშობს ესპანეთში.

კი მაგრამ, რა მოუვიდა ბარნოვს, კახა გოდერძიშვილს, მურმან გოგოლაძეს და წივწივაძეს? არაფერი, მათ ორ-ორი გაფრთხილება დაუგროვებიათ, შინ კი „ვიტ ჯორჯიასთან" პრინციპული საშინაო მატჩია. პრობლემებს თავი აარიდეს ბოლნისელებმა, თასი კი... აბა, „სიონს" თასი რად უნდაო, ალალად თქვეს სტუმრებმა.

რევაზ არველაძემ ზირაქიშვილი არ ათამაშა, დანარჩენები კი ჯანზე ჰყავდა. სრულ უპირატესობას ფლობდა „დინამო", გრიშიკაშვილს პირველ ტაიმში საქმე არ ჰქონია. მისი მოწინააღმდეგე კოლეგა ვოლკოვი კი... „სიონის" მეკარე ჯადოქარი არ არის, ბუნებრივია, თემური „დინამოს" ვერ შეაჩერებდა.

სტუმართა დაცვაში იმდენა ნაპრალები ჩანდა, შიგ მთელი „დინამო" თავისუფლად გაეტეოდა. ჰოდა, „სიონის" კარის დაწიოკება კახა გოგოლაძემ დაიწყო და მანვე დაასრულა.

მასპინძელთა თავდამსხმელმა ჯერ დათვაძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ გაუტანა მარჯვენათი ვოლკოვს, მეორე ტაიმში კი სახვაძეს დაუფასა გარჯა.

ამ ეპიზოდებს შორის გადელიამ და ვაშაკიძემ გაიტანეს. გიგამ სიჭინავას ჩაწოდებულს თავი მარჯვედ შეაგება და ბურთიც ვოლკოვისთვის მიუწვდომელი შეიქნა, ხოლო ირაკლიმ კუთხურისას იყოჩაღა და თავითვე შეაგდო.



თემურ გადელიას დარტყმის მერე ბურთმა თემურ ვოლკოვის კარი შემოირბინა

არაფერს ვიტყვი „დინამოს" გაცუდებულ მომენტებზე, რადგან ყველას აღწერას გაზეთის ერთი გვერდი დასჭირდება.

„სიონმა" კი თამაშის ბოლოსკენ ორი მომენტი შექმნა. პირველად მირზა სამხარაძემ შეაზანზარა გრიშიკაშვილის კარის ხარიხა, მეორედ მეკარესთან პირისპირ გასულ მოსეშვილს დარტყმა ნელი გამოუვიდა და ბურთი დინამოელთა გოლკიპერის იოლი ლუკმა გახდა.

# მატარებელი 0:3

მცხეთა
7 ნოემბერი
15 საათი
„არმაზი"
200 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 3:0 ზუგდიდი**

1:0, 2:0, 3:0 მელქაძე (20, 55, 74)
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ე. საჯაია, ტანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, თაყაძე (დ. დოლიძე 67), დეკანოსიძე (ზ. გვაზავა 78), ვ. გოჩაშვილი (სულთანიშვილი 58), მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა, ინწკირველი
**ზუგდიდი:** ნაყოფია, ქურდულია, გედენიძე, დოდიძე, დ. დანელია, ჩიქობავა (გამსახურდია 56), გოგიტაძე, ლ. ბუკია, კუტალია, არ. ჯიქია
სათადარიგონი: კვარაცხელია, ბულია, ზ. საჯაია
**გაფრთხილება:** გოჩაშვილი (11)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ო. ხუცაძე, კ. თბილელი (ორივე თბილისი); ლ. რაზმაძე (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

პაატა კვანტალიანი მცხეთიდან

**განსხვავებული** კლასის და შესაძლებლობების გუნდები შეხვდნენ გუშინ მცხეთურ სარბიელზე. ფინანსურად წელგამართული და ამბიციური „ვიტ ჯორჯია", რაღა თქმა უნდა, ფავორიტი იყო სათასო მატჩში „ზუგდიდთან".

ზუგდიდელები მედგრად კი იბრძვიან პირველ ლიგაში, მაგრამ ფინანსურად ერთობ სავალალო დღეში არიან. ის კი არა, სტუმრები საამმატჩოდ ერთი დღით ადრე გამოემართნენ მატარებლით და გუშინდელ შეხვედრამდე რამდენიმე საათს ღია ცისქვეშ მოუხდათ მოცდა. აბა, რაღა გასაკვირია, რომ ზუგდიდელები ასეთ სიტუაციაში შინ გულდაწყვეტილები გაბრუნდებოდნენ (რაღა თქმა უნდა, მატარებლით).

ვეტერინარებმა იოლად, ძალების დაზოგვით შეძლეს გამარჯვება. ის კი არა, მეტი მონდომებინათ უფრო დიდი სხვაობითაც გაიმარჯვებდნენ.

სტუმრების აქტივში მთელი მატჩის განმავლობაში ვიტელთა კარის მიმართულებით ორჯერ დარტყმა თუ ჩაითვლება. ჯერ პირველი ნახევრის შუაწელში ლაშა ბუკიამ სცადა თავისი გუნდის უიშვიათესი კონტრიერიშის შორეული დარტყმით დაგვირგვინება, მატჩის ბოლოს კი მერლანისგან ათ მეტრში დარჩენილ კუტალიას გამსახურდიას პასის შემდეგ ფეხები რომ არ აჰკანკალებოდა, ანგარიშს საპატიო სახეს მისცემდა. ეს იყო და ეს, მათ მეტი ვერაფერი მოახერხეს. ვიტელთა საგოლე მომენტის ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანს, ხან ზუგდიდელთა მეკარე ნაყოფია ყოჩაღობდა, უმეტესწილად კი თავად მასპინძლები სცოდავდნენ.

პირველ გოლამდე მოცდა „არმაზზე" თავშეყრილთ ოციოდ წუთს მოუხდათ, მარჯვენა ფრთაზე ედიკ საჯაიამრომეო გოგიტაძეს აჯობა და მიხეილ თაყაძე ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა, თანაგუნდელის საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს კი ლევან მელქაძემ თავი დაუხვედრა და — 1:0.

მელქაძე გუშინდელი მატჩის გმირი და გიორგი დეკანოსიძესთან ერთად ყველაზე აქტიური იყო თანაგუნდელთა შორის, ლევანმა მომდევნო ორი გოლიც თავით გაიტანა, ორივე მეორე ნახევარში. ჯერ ვერცხლისწყალივით მოძრავი დეკანოსიძის ზუსტ გადაცემას დაუხვდა ადგილზე, 74-ე წუთზე კი სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ზუგდიდელები ერთხელაც გააწბილა. ვეტერინარებს დარჩენილ დროში არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ორ-ორჯერ სულთანიშვილმა და მელქაძემ ვერ ივარგეს. სამი გოლის გამტანს ბოლო წუთზე ძელი გადაეღობა.

მოკლედ „ვიტ ჯორჯიამ" გაიმარჯვა და თუ დამერწმუნებით, მერვედფინალური წყვილის გამარჯვებულის ბედიც გაარკვია.

# თექვსმეტში ექვსეულზე

ფოთი
7 ნოემბერი
15 საათი
ფაზისი
700 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 6:0 მეტალურგი**

1:0 ტორჩინავა (73), 2:0 ქანტურიძე (33), 3:0 ე. გვასალია (48), 4:0 ტორჩინავა (77), 5:0 კრასოვსკი (82), 6:0 შავგულიძე (88)
ტორჩინავამ ვერ გაიტანა პენალტი (10, მეკარე)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა (თოფურია 80), პაპავა, გოგიაშვილი, ხუტუა, ლაღანიძე (შავგულიძე 77), ქანტურიძე (თედევი 46), ფანჩულიძე, ე. გვასალია, კრასოვსკი
სათადარიგონი: ჩემია, გ. ჩიტაია, მაღლაკელიძე, ახალკაცი
**მეტალურგი:** ნიქაბერიძე, გაგაშელიძე, მერებაშვილი (გურეშიძე 46), მახათაძე, ორმოცაძე, ქანჩველიძე (აჭარაძე 34), ფანცხავა, აბაზაძე, შემარნიშვილი (ფირცხალეიშვილი 81), მოდებაძე, კვანტრიშვილი
სათადარიგონი: ოდიკაძე, ამაშუკელი
**გაფრთხილება:** ორმოცაძე (9), თედევი (56), მოდებაძე (65), თოფურია (83)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. გრეკოვი

თენგიზ ძოწუა ფოთიდან

**ამ** მატჩის შედეგი შეხვედრის დაწყებამდე უკვე გადაწყვეტილი იყო. ერთი მიზეზი — ფოთელთა და ზესტაფონელთა სათამაშო კლასის განსხვავება, მეორე — ფოთში ზესტაფონელები მეორე შემადგენლობით ჩამოვიდნენ. აქედან გამომდინარე, ყველას მხოლოდ ის აინტერესებდა, თუ რა ანგარიშით მოიგებდნენ მასპინძლები.

მოლოდინი გამრთლდა. მეშვიდე წუთზე ტორჩინავამ დააწინაურა ფოთელები თერთმეტმეტრიანით. 3 წუთში მასვე შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ამჯერად მამუკა ნიქაბერიძემ ივარგა.

მთელი ტაიმის განმავლობაში ფაქტობრივად ცალკარა თამაში მიმდინარეობდა, მაგრამ მასპინძლებმა იმდენი საგოლე მომენტი გაატანეს ქარს, ნორმალური მეტოქე ამას არ აპატიებდა. მიუხედავად ამისა, ანგარიშის სხვაობის გაზრდა მაინც შეძლეს.

მეორე ტაიმში სცენარი არ შეცვლილა. მასპინძლები სულ უტევდნენ და სტუმრები მათ იერიშებს იგერიებდნენ. იგერიებდნენ, მაგრამ... 4 გოლი მაინც გაუშვეს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართა გუნდის თავკაცი შედეგის მიუხედავად მშვიდი, მასპინძელთა დამრიგებელი კი უკმაყოფილო იყო.

***ვასილ ჭეიშვილი, „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი:***

— ჩვენი ძირითადი მიზანი მეორე ლიგის ექვსეულში მოხვედრაა, რაც, მოგეხსენებათ, ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ ფოთში მეორე შემადგენლობით ჩამოვსულიყავით, რადგან ახლა ზედიზედ ორი მძიმე მატჩის გამართვა გვიწევს „ზუგდიდთან" და „ხობთან". ჯობს, ექვსეულზე ვიფიქროთ, ვიდრე...

***სოსო ფილია, „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი:***

— 6:0 მოგების შემდეგ თავდასხმაზე აბა, რა უნდა ვთქვა, მაგრამ თქვენ თვითონ დაინახეთ, რომ ასე შორს ვერ წავალთ. ძალიან ბევრი მომენტი გავაფუჭეთ. ეს არის ჩვენი პირველი ნაკლი და ამის აღმოფხვრაზე ვიფიქრებთ.

# ჯულელი: წინ, საკუთარი კარისკენ!

ლანჩხუთი
7 ნოემბერი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

**გურია 0:1 ლოკომოტივი**

1:0 ბალაშვილი (25)
**გურია:** მერკვილიშვილი, ვოსკანოვი, ორბელაძე, გაბრიჭიძე (ლორია 46), ძნელაძე (კირკიტაძე 63), მ. ჯღარკავა, სულაკაძე (დ. მინაშვილი 78), განევი, ჯულელი, ჩხეტია, ენდელაძე
სათადარიგონი: ბ. შევრილაძე, გ. სამხარაძე, შველიძე, პატარაია
**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა (ბეციაური 46), ქიქვეიშვილი, პარამონოვი, გონჩაროვი, ძოძუაშვილი, გილაური, დავითაშვილი
სათადარიგო: ლომაია
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

**გუშინ** ლანჩხუთში ერთგვარი რკინიგზული დერბი შედგა — უმაღლესი ლიგისკენ რელსებზე მქროლავი გარკინიგზელებული „გურია" ხომ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს „ლოკომოტივს" ეპაექრა სათასოდ.

წინასწარვე ბედსშეგუებულნი ჩანდნენ მასპინძლები. ეს საწყის წუთებიდანვე წარმოჩინდა, რა გასაკვირია, სტუმრები დომინირებდნენ. თუმცა, დიდად უინტერესო ბურთაობაში ეს არც თუ ისე თვალსაჩინო იყო.

გარკვეული რიდით გარჯილ გურულებს პირველ ტაიმში ერთხელ მიეცათ გატანის შანსი და ისიც მეათე წუთზე. დავით ჩხეტიას პასით საჯარიმოში შეჭრილ გოჩა სულაკაძეს ვალერი აბრამიძემ წამებით დაასწრო, თორემ ხიფათი გარდაუვალი იყო.

ეს იყო და ეს. აქედან მოყოლებული, სტუმრები პრესინგის წყალობით, მოწინააღმდეგის ნახევარზევე ახშობდნენ მეტოქის მცდელობებს და ამას მალე ლოგიკური გოლიც მოჰყვა.

ტაიმის შუისკენ ბალაშვილს მოსწყინდა უქმად ყოფნა. წინ გაიჭრა და გაიტანა კიდეც. მან ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, გაისწორა და ლაზათიანადაც დაჰკრა. ბურთი ოდნავ წინ გამოსული მერკვილიშვილის ზურგს უკან ბადეში ჩაეხვია.

ერთ წუთში „ლოკომოტივმა" ლამის მეორეც მოაყოლა, თუმცა ამაში ბრალი უფრო დაბნეულ გურულებს მიუძღვოდა. ალექსანდრე განევის და მეკარის შეუთანხმებლობას, საკუთარი კარისკენ გაგზავნილი თავური მოჰყვა. „გურიას" ბედად ბურთმა ცარიელ კარში შესვლა არ ინება.

კიდევ ხუთი წუთი და დიმიტრი პარამონოვს სტატისტებად მყოფი მცველების გარემოცვაში, ორიოდ მეტრიდან გატანა მართებდა, მაგრამ ოდენ კარის ხაზზე მყოფ განევს დაუმიზნა ბურთი.

პირველ ტაიმში ამით ყველაფერი მორჩა. აი, მეორეში „გურია" გაცილებით აგრესიულად ათამაშდა და ინიციატივის ხელში ჩაგდების სიმპტომებიც წარმოაჩინა. თუმცა, ენდელაძის და ჩხეტიას მცდელობებს, ფხიზლად მოთამაშე სტუმართა მცველებისთვის რაიმე გართულება არ მოუტანია.

„გურიას" შემადგენლობაში ექსლოკომოტიველი ივანე ჯულელი რასა იქმოდაო, ალბათ, იკითხავთ. რას და გურულთა დაცვას უნარიანად თავკაცობდა დიახ, ზაზა გურიელიძემ ჯულელი სეზონის დასაწყისში თავდასხმაში კი განამწესა, მაგრამ შემდეგ ჯერ ნახევარდაცვის ცენტრში დასწია, ხოლო გუშინ სულაც ლიბეროდ გამოიყენა. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ. ერთ დღეს ივანე მეკარედაც რომ მოგვევლინოს. ეს ისე ხუმრობით, თორემ ახალგამომცხვარ ლიბეროს არც თავდაცვაში შეურცხვენია თავი.

მასპინძელთა გასაყაიმებელ წინსვლას ახალი ელფერი შეცვლებმა მისცეს. ეს უფრო გრიგოლ კირკიტაძეზე და დავით მინაშვილზე ითქმის, რომელთა მონდომება სხვებსაც გადაედოთ და სასწორიც გურულთა მხარეს გადაიხარა. თუმცა „ლოკომოტივში" ახალდაბრუნებულ მეკარე დავით ასლანაძეს საბოლოო ჯამში პრობლემა არც ჰქონია.

გაცილებით მაღალ ტემპში ჩავლილ მეორე ტაიმში, საგოლე მომენტი კანტიკუნტად შეიქმნა. მათ შორის ერთადერთი ეპიზოდის გახსენება ღირს, როცა მატჩის მიწურულისკენ შეცვლაზე შესული დავით არჩვაძის მზაკვრული დარტყმული ხარიხამ აისხლიტა.

ასე რომ, საბოლოო შედეგის შემხედვარე, მეოთხედფინალისტის ვინაობაში ეჭვი ალბათ, კაცს ძნელად შეეპარება. „ლოკომოტივს" საპასუხო მატჩში, ძალების დიდად დაძაბვის გარეშეც შეუძლია გარჯა.

# რეპუტაცია გარანტიით?

წყალტუბო
7 ნოემბერი
15 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 2:0 თსუ**

1:0 დარსაძე (28პ), 2:0 კიკვიძე (77)
ჯინჭარაძემ ვერ გაიტანა პენალტი (87, ააცილა)
სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, თირქია, ფხაკაძე, ქელიძე, ქობულაძე, ბაბუნაშვილი (დ. ჯიქია 85), მ. ჯინჭარაძე, კიკვიძე, დარსაძე (გოლეთიანი 75), ქუთათელაძე (ბარაბაძე 88)
სათადარიგონი: გიორგაძე, ლეინჯილია, მაჭარაძე
თსუ: გუგუნავა, ზ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, არეშიძე (ბ. ნოზაძე 46), რ. გოცირიძე, წუწუნავა (ურაძე 78), ახალაძე, მესხი, მორჩილაძე (ვადაჭკორია 46), ადამია
სათადარიგონი: მამარდაშვილი, ე. ბლადაშვილი, სვანაძე
გაფრთხილება: მორჩილაძე (27)
მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ბ. ბრეგვაძე ჯ. ბუიშვილი (ორივე ქიათურა)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

**„26 მაისზე"** ქვედალიგელმა ზედალიგელს ალალად, შეიძლება ითქვას, უპრობლემოდ მოუგო. მეტიც, მასპინძლებს ცოტა იღბალიც რომ დაჰყოლოდათ, უფრო დამაჯერებლად აჯობებდნენ სტუდენტებს და თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩისათვის, ალბათ, თავი ქუდში ექნებოდათ.

„სამგურალს" ამ თამაშში დიდი უპირატესობა ჰქონდა, იმდენად დიდი, რომ, წინასწარ ვიტყვით, მეტოქე თითქმის არც კი მიაკარა საკუთარ საჯარიმოს, მაშინ როცა თავად ხშირად და, რაც მთავარია, მიზანსწრაფულად უტევდა. საწყის 20 წუთში წყალტუბოელებმა სამი საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. კიკვიძის სახიფათო დარტყმის შემდეგ გუგუნავამ ბურთის კუთხურზე გადაგდება მოახერხა. მერე ბაბუნაშვილმა ვერ ისარგებლა პარტნიორის ზუსტი პასით, მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა მიზანს. ამას მალე ჯინჭარაძის საჯარიმო დარტყმა მოჰყვა, მაგრამ გუგუნავამ იმარჯვა. მასპინძლები ჯიუტად მიიწევდნენ წინ და მათმა მონდომებამ ნაყოფიც გამოიღო. საჯარიმოში მაღალი ბურთისათვის ქუთათელაძესთან ბრძოლაში სტუდენტთა კაპიტანმა ებრალიძემ ხელით ითამაშა და არბიტრმაც უყოყმანოდ დააფიქსირა პენალტი. დარსაძემ უნაკლოდ დაარტყა და „სამგურალი" დაწინაურდა. შესვენებამდე სხვა რამ საყურადღებო მოედანზე აღარც მომხდარა.

მეორე ტაიმი კი კვლავაც წყალტუბოელთა შეტევებით დაიწყო და 48-ე წუთზე პენალტის გამტანს შიეცა ანგარიშის გაზრდის საუკეთესო შანსი, დარსაძე, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ცოტა იჩქარა, შორიდან დაარტყა და ხარიხას ოდნავ გადააცილა.

67-ე წუთი იყო, მასპინძლებმა სწრაფი იერიში განახორციელეს ცენტრიდან, გუგუნავამ საჯარიმოს წინა ხაზთან მოიგერია დარსაძის დარტყმული, მოგერიებულს დაახლოებით 30 მეტრიდან ჯინჭარაძემ ზუსტად დაამატა და... მეკარის მაგიერად კარში ჩამდგარ ებრალიძეს მეორედ მოხვდა ბურთი ხელზე. აქ კი დაინდო სტუმრები მალალურაძემ. ეტყობა, ჩათვალა სტუდენტს ბურთი შემთხვევით მოხვდა ხელზე. არ ვდავობთ, იქნებ ასეც იყო, მაგრამ ესეცაა, ებრალიძის ხელი რომ არა, ბურთი ბადეში აღმოჩნდებოდა.

ამ ეპიზოდიდან ორიოდ წუთში ქუთათელაძეს უნდა გაეტანა, თუმც კარის კუთხესთან ბურთი ვერ დაიმორჩილა. წყალტუბოელთა გოლეადორმა მაინც მალე გამოასწორა თავისი შეცდომა. მართალია, თავად არ გაუტანია, მაგრამ საგოლე პასი კი გასცა სტუმართა საჯარიმოში უმეთვალყუროდ დარჩენილ პარტნიორზე და კიკვიძემ შორეულ კუთხეში ზუსტად დაურტყა გუგუნავას — 2:0.

საფინალო სასტვენამდე სამი წუთიღა რჩებოდა, „სამგურალს" გასამების საუცხოო შესაძლებლობა რომ მიეცა. გუგუნავამ მასთან ერთი ერთზე გასული ქუთათელაძე აშკარად მოცელა და მალალურაძეს მაინც მოუხდა 11-მეტრიანისკენ მეორედ ხელის გაშვერა. რად გინდა? ჯინჭარაძეს დარტყმა გაუცუდდა, ბურთმა ძელს გარედან ჩაუქროლა.

2:0-ს დაყაბულებულმა „სამგურალმა" ერთხელაც დაგვიმტკიცა სათასო გუნდის რეპუტაცია და საპასუხო მატჩშიც თუ ასეთი შემართებით იბრძოლა, მეოთხედფინალი გარანტირებული აქვს. ვნახოთ...

# მუშტაიდიც ზედმეტია

თბილისი
7 ნოემბერი
15 საათი
მუშტაიდი
100 (ტევადობა 300)

**თბილისი 0:1 მერანი**

0:1 მინაშვილი (79)
თბილისი: კუპატაძე, ჩალაძე, ზ. ნიკურაძე (გუმარაშვილი 46), მახარაძე, ქუხილავა, ფირცხალავა (გოგმაჩაძე 65), დ. სტურუა, აბრამიშვილი, მისაბიშვილი (ლაშა კაპანაძე 86), სალარეიშვილი, მანჭარაული
სათადარიგონი არ ჰყოლია
მერანი: ნაჭყეპია, გუჯაბიძე, ჩანადირი, კოშკაძე, მუხინი, პოდლესნი, კაკუბავა, ჭინჭარაული, მ. მინაშვილი, ბაჯელიძე, ბოლქვაძე
სათადარიგონი: კორომზინაძე, ივანიშვილი, ოდიშარია, თოლორდავა, გ. ილურიძე
გაფრთხილება: ჩანადირი (82)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი, ზ. ელისაბედაშვილი; მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

**ვანო ოძროპირიძე**

**ერთი** წლის წინ იყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სამტრედიის „იბერიას" სტადიონი რომ დახურა, „ეროსი მანჯგალაძეზე" თამაში როგორ შეიძლება, არც მინდორი ვარგა და არც გასახდელებიო. საინტერესოა, როგორ აფასებენ ფედერაციელები „ნორჩი დინამოელის" სკოლის მინდორ-გასახდელებს (ისე, მინდორს კიდევ არა უშავდა). თავად განსაჯეთ, დოგრაშვილმა პირველი ტაიმი რომ დაასრულა, ორივე გუნდის ფეხბურთელები იქვე მოედნის კიდესთან ჩამოსხდნენ და მწვრთნელების დარიგებებიც ამგვარად მოისმინეს.

ისე, სხვისი არ ვიცი და მე თუ მკითხავთ, გუშინდელი დონის თამაშისთვის „მუშტაიდის" სიყვითლეშეპარული ბალახიც ზედმეტი იყო. პირველ ტაიმში მინდორზე ვინ რას აკეთებდა, მგონი, თავადაც არ უწყოდა. იყო ერთი საჯარიმოს მისადგომებიდან მეორემდე უთავბოლო სირბილი. ბურთს უმეტესწილად უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის მქონე „მერანი" კი აკონტროლებდა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა, საქმე კარში დარტყმამდე მთელი 45 წუთის განმავლობაში ერთი-ორჯერ თუ მივიდა, მაშინაც ბურთი გვარიანად ასცდა კარს. „თბილისი" კი... ნაჭყეპია ერთხელაც არ გადამხტარა. ასე იყო მეორე ტაიმშიც.

ცხადია, „მერანის" თამაშზე ძირითადი მოთამაშეების არყოფნამაც მოახდინა გავლენა. შაბათს ფოთის „კოლხეთთან" მატჩის შემდეგ ავჭალელთა თავკაცმა სერგო გაბელაიამ შემადგენლობა გვარიანად შეცვალა. ძირითადში მხოლოდ უკრაინელი ლეგიონერები — მუხინი და პოდლესნი დატოვა. დევაძე, ცქიფურიშვილი, კვეტენაძე, დევიძე, კობესაშვილი, ფოცხვერია, როსტიაშვილი და გრდერძიშვილი კი განაცხადში საერთოდ არ შეიყვანა.

შესვენებაზე, ეტყობა, გაბელაიამ საკმაოდ შეაფუცხუნა შეგირდები, რადგან „მერანმა" მეორე ტაიმი უფრო აქტიურად დაიწყო და მალე საგოლე მომენტიც შექმნა, როცა ბოლქვაძის საჯარიმოში ჩაწოდებულს მინაშვილი გამოეხმაურა, მაგრამ ბურთი კარს ასცდა. ამის მერე კუპატაძის კართან სიმშვიდემ დაისადგურა, „მერანი" გამუდმებით უტევდა, თუმცა ამაოდ, სახეიროს ვერაფერს ქმნიდა. სტუმართაგან კაკუბავა და პოდლესნი აქტიურობდნენ. პირველი ბრძოლებს არ ერიდებოდა და ხისტი თამაშით მეტოქეს გასაქანს არ აძლევდა. უკრაინელი კი მარჯვენა ფლანგზე ბატონობდა, ოღონდ ამ საქმეში ბოლქვაძეც ეხმარებოდა. რად გინდა, პოდლესნის ხშირ ჩაწოდებებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

73-ე წუთზე „თბილისი" მეორედ გადარჩა: მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბაჯელიძემ თავად დარტყმას უკეთეს პოზიციაში მყოფი ბოლქვაძისთვის პასის მიცემა არჩია, მას კი ბურთის ცარიელ კარში შეგორების მეტი არაფერი დარჩენოდა, მაგრამ მომენტი მაინც გააფუჭა, ფეხი ცუდად მოიქნია. ექვს წუთში კი... კაკუბავას მიერ მოედნის სიღრმიდან გაკეთებული ჩინებული პასის შედეგად მინაშვილი კუპატაძესთან პირისპირ დარჩა და „მუშტაიდის" სტადიონს ტაბლო რომ ჰქონოდა, იქ 0:1 აინთებოდა. ამას ბოლქვაძის ძელსარტყმელი ბურთი მოჰყვა. მერე კი მატჩიც დასრულდა.

ამ წყვილში მეოთხედფინალში გამსვლელის ვინაობა ჩათვალეთ, უკვე ცნობილია.



[illegible] ფოტო

„მერანის" უკრაინელ საყრდენს ანდრეი მუხინს ერთ-ერთი თბილისელი ეთამაშება

# გორი მეკარეს არ ინდობს

გორი
7 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 8 200)

**დილა 2:0 გორდა**

1:0 ხმალაძე (32), 2:0 ფოჩხუა (38 ს.კ.)
დილა: მდივანი, გრიგალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, კოტორაშვილი (ტულუში 75), ხორგუაშვილი (ეჯოშვილი 66), ა. ხმალაძე, დ. მაისურაძე, რევაზაშვილი, ფეხუაშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე, ხოხობაშვილი, ციცქიშვილი, გ. გოჩაშვილი
გორდა: ნიკურაძე (გონგაძე 38), მ. სახვაძე, ბერიძე, გაბელია, ფოჩხუა, ბუკია (კაპანაძე 46), ბაჩილავა, პატარიძე (გ. მიქაძე), ლაბაძე, კიტეიშვილი, ივეჩიანი
სათადარიგონი: წიკლაური
გაფრთხილება: გაბელაია (15), რევაზიშვილი (70)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. მაისურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. თანანაშვილი

**დავით თავართქილაძე გორიდან**

**მეზობლად** იმყოფებიან ეს გუნდები XII ეროვნულის გათამაშების ცხრილში და მათი სათასო მატჩი უდავოდ საინტერესო იყო ძალთა ბალანსის ნათელსაყოფად.

რუსთაველებმა ყოჩაღად დაიწყეს მატჩი, სტუმარ-მასპინძელს ძნელად თუ გაარჩევდა კაცი, პირველი სახიფათო მომენტიც „გორდამ" შექმნა, როცა სანდრო ბუკიას ოცდაათიოდე მეტრიდან გასროლილი ჯარიმა დავით მდივანმა ვერ დაიმორჩილა, მაგრამ დამატებაზე ვერც სტუმართა ფორვარდებმა ივარგეს.

მერე ინიციატივას მთლიანად მასპინძლები დაეუფლნენ. კარგი შანსი ვერ გამოიყენა გორელთა მარცხენაფლანგელმა დავით მაისურაძემ — მის ეშმაკურად დარტყმულს ნიკურაძემ მხოლოდ თვალი გააყოლა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. ვერ ვიტყვით, გოლი გინდა თუ არა მწიფდებოდაო, თუმც „დილა" უკვე აშკარად დომინირებდა მშობლიურ სარბიელზე. პირველი გოლი ორდინალურად, ყოველგვარი კაზუსისა და ჯადოქრობის გარეშე გავიდა — გიორგი რევაზიშვილის კუთხურს ტანმაღალმა ამირან ხმალაძემ 3-4 მეტრიდან საგოლე თავური მიაყოლა.

...სამი კვირით ადრე მოხდა ეს ამბავი, მერვე ტურში გორელები „დინამოს" მასპინძლობდნენ: „სტუმართა მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე გორელი ფორვარდის უხეირო დარტყმის შემდეგ ბურთს იოლად დაეუფლა, მერე მარჯვენა ხელში გადაიტანა, სურდა ბურთი მარცხნივ, თავისუფლად მყოფი მცველისთვის მიეწოდებინა, ჩიხრაძემ ხელი გაიქნია, ბურთისთვის ხელი არ გაუშვია, საყრდენი ფეხი დაუცდა, ხელმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა და ბურთი მცველისკენ კი არა, კარისკენ წავიდა. გამოეკიდა ბურთს მეკარე, მაგრამ მხოლოდ კარში შეგორებულს დაეწია" — ნაწყვეტი იმ მატჩის სარბიელური რეპორტაჟიდან შემთხვევით არ მოგვიყვანია.

გუშინ ასეთი რამ მოხდა გორის ცენტრალურ სტადიონზე: მასპინძელთა მორიგი, არამწვავე შეტევა რუსთაველებმა თავიანთი საჯარიმოს მისადგომებთან ჩაშალეს, ფოჩხუამ ბურთი ნიკურაძეს დაუგორა, რომელსაც არც ერთი გორელი არ დადევნებია, „გორდას" მეკარე კარიდან გამოემართა, ღონივრად მოიქნია ფეხი ბურთის შორს გასაგზავნად, მაგრამ სრულებით ვერ შეეხო მას და თანაგუნდელ ფოჩხუასაც აქტივში ავტოგოლი ჩააწერინა. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველა ავტოგოლი კურიოზულია, მაგრამ გორში ამ ბოლო დროს, როგორც ხედავთ, ერთობ არაორდინალური, წარმოუდგენელი ავტოგოლები გადის და მხოლოდ სტუმართა კარში. ვითომ ჩვენშიც დააჭაშნიკეს მაკუმბას თუ სხვათა ჯადოები?

მტერს არ უსურვებს კაცი, იმ დღეში ჩავარდა „გორდას" ახალგაზრდა გოლკიპერი — ინციდენტის შემდეგ მყისვე მოიხსნა ხელთათმანები, შეცვლა ითხოვა და წამსვე გასახდელისკენ გაეშურა. არადა, ბევრჯერ უმარჯვია გიორგი ნიკურაძეს, არაერთხელ გამოუტანია მკვდარი ბურთები კარიდან, კურიოზები კი მასზე გაცილებით გამოცდილ და სახელოვან მეკარეებსაც დამართნიათ. ასე რომ, ცხოვრება გრძელდება...

შესვენების შემდეგ „დილა" დაშოშმინებული ჩანდა. აშკარა იყო, რომ გორელები საპასუხო მატჩისთვის მშრალ ორბურთიან ფორას ერთობ უფრთხილდებოდნენ, მაგრამ „გორდამ" ვერ შეძლო მწვავე იერიშების მიტანა მდივანის კარზე. რუსთაველთგან მხოლოდ კიტეიშვილს თუ გამოვარჩევთ. რუსთაველების თამაშს დიდი დაღი ალბათ ტრავმირებული მცველების, სანდრო ბურნაძისა და პავლე ბექაურის არყოფნამაც დაასვა.

მასპინძლებმა ნელ-ნელა კვლავ დიდი ძალებით შეუტიეს და მეტოქის ნახევარზეც დასახლდნენ. სამჯერ მარტო ხმალაძეს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, ორჯერ — რევაზიშვილს, ერთხელაც — ხორგუაშვილს, ხარიხაც ჩაერთო საქმეში...

გაუჭირდება „გორდას" შინ მშრალი ორბურთიანი ბარიერის გადალახვა, მაგრამ ჩემპიონატის ცხრილის მეზობელთან ჯაბანობა მეტად უნდა აგულისებდეს, უბრალოდ, პრინციპის ამბავია.

ქუთაისი
7 ნოემბერი
15 საათი
ტორპედო
5 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 2:0 ბათუმი**

1:0 იონანიძე (54), 2:0 ბობოხიძე (76)
ტორპედო: ზოიძე, ზ. არჩვაძე, თურმანიძე, ა. შუქრილაძე, ახვლედიანი, გ. ჩხაიძე, გუჩუა, კ. კვეტენაძე, ძაათიანი (დაბიდაური 85), კვერნაძე (მ. ბობოხიძე 51), იმედაძე (იონანიძე 51)
სათადარიგონი: ქანტურია; ვაჩიბერაძე, მახვილაძე, თავბერიძე
ბათუმი: ბედიაშვილი, ჩიჩუა (ქაცარავა 87), მინდაძე, პაპიძე, მეავანაძე, გელა ქორიძე, ლლონტი, დარჩიძე, რომანაძე, ფულეჯიშვილი (ბეჟანიძე 46), ა. მუჯირი (ო. გველესიანი 84)
სათადარიგონი: სამნიძე, ფურცხვანიძე, სიხარულიძე
გაფრთხილება: შუქრილაძე (33), ლლონტი (79), ბეჟანიძე (84)
მსაჯები: ა. შილაკაძე (61-ე წუთიდან ა. კრიჭაშვილი); ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე წრე

**12 ტური**

# მეთორმეტე თორმეტისთვის

**სიმართლეს** დაწერ, ჟურნალისტი უფრო თავშეკავებული უნდა იყოო, ჭკუას დაგარიგებენ. ვიღაც რაღაცას წამოიძახებს და ისევ ჩვენ გვთხოვენ პასუხს, წააგებს გუნდი და მწვრთნელს თავის სამართლებელი საბუთი ხელთ აქვს, ჟურნალისტებმა პროვოკაცია მომიწყვესო.

სულაც არ ვაპირებთ, ვინმეს რამე ვუმტკიცოთ, ყველას თავისი სიმართლე შეეწიოს. უბრალოდ, რამდენიმე სიტყვას შევკადრებთ ფოთის „კოლხეთის" თავკაც სოსო ფილიას, რომელმაც გვგონია, ვერ გაგვიგო და ამან გამოიწვია მისი აღშფოთება. მეთორმეტე ტურის სარბიელისეულ ანონსში მხოლოდ სიმართლეა დაწერილი. არავის ბრალი არ არის, რომ იქ მოყვანილი სიტყვები „კოლხეთი" — „მერანის" ორთაბრძოლას დაემთხვა. ფაქტი მაშინ დაფიქსირდა, როცა ის სიტყვები წარმოითქვა და გვერწმუნეთ, „კოლხეთის" წინააღმდეგ პროვოკაციებსაც არავინ აწყობს.

ისე, ჩვენი ცოდვა იყოს აკაკი დევაძის და არბიტრ ავთანდილ ორდინიძის კისერზე. კაკოს რომ ერთი გოლი გაეშვა, ანაც მსაჯს დაენიშნა ფოთელთათვის ნანატრი პენალტი, მოიგებდა მაშინ „კოლხეთი" და ჩვენც გადავრჩებოდით სოსო ფილიას შემოტევას და რისხვას.

არ ინდომა დევაძემ გოლის გაშვება. თითქმის მარტოკამ წამოიღო ფოთიდან ქულა. არ დანიშნა ორდინიძემ თერთმეტმეტრიანი, არ გაწირა თავგანწირული „მერანი".

„რას აკეთებდნენ დანარჩენი ავჭალელები, როცა დევაძე მკვდარ ბურთებს იგერიებდა?" — ვკითხეთ მატჩის ერთ-ერთ თვითმხილველს.

„ერთი-ორი მართლა თამაშობდა, დანარჩენები მეკარის ჩადენილი ყველა სასწაულის შემდეგ დევაძეს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და ასე გრძელდებოდა თამაშის ბოლომდე" — ასეთი პასუხი მივიღეთ.

დევაძემვე შექმნა ერთადერთი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან. კიდევ კარგი, გოდერძიშვილმა ვერ ივარგა და კოლხთა მეკარე მამუკა გვასალიამ გადაგვარჩინა, თორემ მტრისას, ჩვენ დღე დაგვადგებოდა.

ფოთელი ქომაგი თამაშის შემდეგ ტაშს არ იშურებდა და ოვაციებით მიაცილებდნენ გასახდელისკენ ავჭალელთა ნაჯაფარ და სასწაულმოქმედ მეკარეს. რისხვა ერგო მსაჯ ორდინიძეს, მაგრამ „კოლხეთის" მწვრთნელებმა და წესრიგის დამცველებმა მსაჯს საფრთხე ააცილეს.

„მერანს" მიხეილ ფოცხვერია დაუშავდა. დასანანია, მიშა ნელ-ნელა ფორმაში შედიოდა.

„კოლხეთი" მოგებას იმსახურებდა — კარგა ხანია, ფოთელებს ერთ მატჩში ამდენი საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ, მაგრამ რას იზამ, როცა მეტოქე აკაკი დევაძეა.

ახალი სახელი გამოჩნდა ეროვნულ ჩემპიონატში. დავით კვირკველია დღეს „სარბიელის" სიმბოლური ნაკრების წევრია. სოსო ფილიამაც გვიქო და ვნახოთ, ახლა ყველაფერი თავად კვირკველიაზეა დამოკიდებული.

მაინცდამაინც შთამბეჭდავი დებიუტი ვერ გამოუვიდა ისრაელმოვლილ ექსტორპედოელ გიორგი გოგიაშვილს, მაგრამ მისი შესაძლებლობები კარგად მოგვეხსენება და თუ ამიერიდან „კოლხეთის" შეტევები გაცილებით დალაგებული და მიზანმიმართული გახდება, ნამდვილად არ გაგვიკვირდება.

„მერანმა" კი ოქროს ქულა წამოიღო ფოთიდან, მაგრამ ექვსეულამდე სავალი გზა ჯერ არ შემოკლებულა.

ეს რაც შეეხება მეთორმეტე ტურის ცენტრალურ მატჩს. მიმოხილვა კი პარასკევის „დინამო" — თსუ-თი გავაგრძელოთ.

ვერაფერი გააწყვეს სტუდენტებმა „დინამოსთან". სწორედ ახლა ჰყავს რევაზ არველაძეს გუნდი სათამაშო ფორმის პიკზე. ათგზის ჩემპიონებმა პირველივე ტაიმში გაინაღდეს სამი ქულა, მერე მოეშვნენ და ეს ეწყინა დინამოელთა თავკაცს.

თსუ კი ჯერაც ვერ გამოირჩევა სტაბილურობით, თუმც ძალიან ახალგაზრდულ გუნდს მეტსაც ვერავინ მოსთხოვს. მათ ჩავარდნები კიდევ ექნებათ.

მცხეთაში „ვიტ ჯორჯიამ" ნახევარი ძალით მოუგო შესუსტებულ „დილას". ხაჩირაშვილმა ვერ ათამაშა ლევან გოჩაშვილი, აკოფიანი და საყვარელიძე. შაბათი სტუმართა დაცვისა და მეკარის დღე ნამდვილად არ იყო და შედეგიც კანონზომიერი გახლდათ.

მოულოდნელად დიდი წინააღმდეგობა გასწია ბათუმში ჩასულმა „გორდამ". სანდრო ბურნაძის არყოფნაში პავლე ბექაურმა და ლაშა სილაგაძემ გამოიდეს თავი და სტუმრებიც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ 81-ე წუთზე...

პაპიძის ზუსტმა თავურმა დაღუპა „გორდა". სტუმართა მეკარეც უძლური შეიქნა და სამი ქულაც „ბათუმმა" მიითვალა.

ვის ეპარებოდა ეჭვი „ლოკომოტივის" გამარჯვებაში? ასეთი კაცი საქართველოში არ მოიძებნებოდა, ჰოდა, მოიგო „ლოკომოტივმა".

„იბერიას" ყოფა ადრინდელზე გაუსაძლისი გახდა. საეჭვოა, უკეთესობისკენ შემობრუნდეს განწირული აუტსაიდერი სამტრედიული კლუბი. ის თუ გაახარებს სოსო ფრუიძეს, მისი დამოძღვრილი ახალგაზრდა ბიჭები ხანდახან პრესტიჟის გოლს რომ გაიტანენ. სხვა სასიხარულო არაფერი დარჩენია.

ქუთაისური „ტორპედო", ქვეყნის ჩემპიონი, ბოლნისს ეწვია და დაუმარცხებელია დღესაც, მაგრამ გვარიანი კვანტი დაუდო სტუმარს „სიონმა".

ასე ადვილი წასაქცევი როდია რიონისპირული გუნდი, მაგრამ წაიფორხილა „ტორპედომ" და ნელ-ნელა ქრება ის დამამშვიდებელი უპირატესობა, ქუთაისელებს დანარჩენთაგან რომ აშორებდა.

არადა, სტუმრებმა თამაში ისე დაიწყეს, ცოტას თუ შეეპარებოდა ეჭვი მათ გამარჯვებაში. იონანიძე ისევ გუნდის უდავო ლიდერია და სწორედ მის აქტიურ მოქმედებას მოჰყვა მასპინძელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი.

„სიონმა" მეორე ნახევარში იმძლავრა, წონასწორობაც თერთმეტმეტრიანით აღადგინა, მერე გატანა ორივეს შეეძლო, მაგრამ...

...და ისევ არბიტრი კახა მესხი. სტუმარს თერთმეტმეტრიანი დაუნიშნა და უწყინეს. მასპინძელს იგივე ჰკადრა და შავი დღე აყარეს, არადა, შავოსანს ბევრიც არაფერი დაუშავებიაო, ამბობენ.

„ლოკომოტივი" კი სულ ახლოსაა. ქუთაისელებს მეტოქის სუნთქვა უკვე ზურგსუკან ესმით. ცოტა შორსაა „დინამო" და უფრო შორს — „ვიტ ჯორ[...]ია", მაგრამ ფაქტი ერთია, „ტორპედო[...]" უფლება არა აქვს, კიდევ ერთხელ წა[...]იფორხილოს.

დაიწყო და მალე გახურდება მეთო[...]რმეტე ეროვნულის მეორე წრე. ა[...] მეთორმეტე ტურმა ისტორიაში გად[...]ნაცვლა. თამაშების ხარისხი ისევ დაბ[...]ლია, დაძაბულობა და ინტრიგა კი მ[...]ტულობს.

კიდევ ბევრს უმტყუნებს ნერვები, ბ[...]ვრი შეეცდება, განტევების ვაცად გ[...]ქციოს. ისევ წამოაძახებენ ტყუილ-მ[...]რთალს ერთმანეთს ჩვენებური გუნდ[...]ბი და ასე შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რო[...] ეროვნულ ჩემპიონატში ცხოვრება გრ[...]ძელდება თავისი დადებით-უარყოფით[...] მხარეებით.

მეთორმეტე ტურის ექვს მატჩში სუ[...] 15 გოლი გავიდა. ოთხჯერ იმარჯვა მას[...]პინძელმა და ორჯერაც ფრეს დასჯე[...]რდა. ბურთების სხვაობა 12:3 მათ უპ[...]რატესობაზე მეტყველებს.

ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ და მ[...]მავალ ტურს დაველოდოთ, იმ იმედი[...] რომ ის გაცილებით საინტერესო [...] უკეთესი სანახავი იქნება, ოღონდ ბრ[...]ლდებების გარეშე.

**მამუკა ქვანტალიან[...]**



სიონელი კახა გოდერძიშვილი (მარცხნივ) და პენალტის გამტანი ტორპედოელი გიორგი იმედაძე



გორელი დავით ეჯოშვილი (მარცხნივ) და ვიტელთა ბომბარდირი ლევან მელქაძე

# გორის ვაშლი და[...] დანიელი მედიკოსი[...]

**ალბათ** ნებისმიერი ჩვენებური გუნდი კეთილმოწყობილი ბაზის და სანიმუშოდ მოვლილი საფეხბურთო მინდვრის გარდა სწორ და კომპლექსურ კვებას, ტრავმირებულ ფეხბურთელთა თანამედროვე სარეაბილიტაციო ცენტსაც ინატრებდა...

არადა, წინ წავიდა მედიცინა და ფარმაკოლოგია. წამყვანი ევროპული კლუბები კვირაში ხარდახან სამ მნიშვნელოვან მატჩს ატარებენ და მათი ფეხბურთელები თამაშიდან თამაშამდე ჩიტებივით დაფრინავენ. სამედიცინო მეცნიერების პროგრესმა მოთამაშეებს აქტიურ პროფესიულ სპორტში სიცოცხლე გაუხანგრძლივა. ჩვენთან კი...

ერთხელ საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცებმა სარკაზმით (იქნებ სერიოზულადაც) აღნიშნეს, ჩვენი გუნდების ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციების ძირითადი აღმდგენი საშუალება ოდენ გორის ვაშლიაო...

ამ ცოტა ხნის წინ სფფ-მ თხოვ[...] მიმართა უეფას, ვინმე ისეთი კაცი [...] მოგვიძებნეთ, რომელიც ქართულ გ[...]დებში დასაქმებულ მედიკოსებს პრ[...]გრეს-კურსებს ჩაუტარებსო. უეფაში [...]დხანს არ უფიქრიათ და ასეთ სპე[...]ალისტად დანიელი მორგენს როი[...] ფელდი წარმოადგინეს. ეს კაცი დან[...] ფეხბურთის ფედერაციაში მოღვაწე[...] და ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრე[...] მთავარი ექიმი გახლავთ.

პროგრეს-კურსები 19-20 დეკემბ[...] ჩატარდება თბილისში, სასტუმრო „[...]რში". დანიელი ეროვნული ჩემპიონა[...] უმაღლესი ლიგის გუნდებში დასაქ[...]ულ სამედიცინო პერსონალის გა[...] ჩვენი ნაკრებების მედიკოსებსაც და[...]ძლვრავს. აი, ასეთ საჩუქარს უმზად[...] სფფ ჩვენს საფეხბურთო ექიმებს [...] პროგრეს-კურსების ხარჯებს ხომ [...]ლიანად ეს ორგანიზაცია გაიღებს.

**დავით თავართქილა[...]**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · პირველი წრე

# 12 ტური

სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 12 |
| მატჩი | 71 |
| გოლი | 171 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,41 |
| მასპინძელთა მოგება | 38 (54%) |
| ფრეები | 12 (17%) |
| სტუმართა მოგება | 21 (29%) |
| საერთო დასწრება | 90 800 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 278 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 6 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 95 | 15,83 |
| სტუმარი | 105 | 17,05 |
| სულ | 200 | 33,33 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 40 | 6,66 |
| სტუმარი | 34 | 5,66 |
| სულ | 74 | 12,33 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 32 | 5,33 |
| სტუმარი | 19 | 3,16 |
| სულ | 51 | 8,50 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 34 | 5,66 |
| სტუმარი | 17 | 2,83 |
| სულ | 51 | 8,50 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 24 | 4,00 |
| სტუმარი | 25 | 4,16 |
| სულ | 49 | 8,16 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### დინამო 4:1 თსუ

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 7 |
| 7 | კუთხური | 3 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კარში დარტყმა | 2 |
| 6 | თამაშგარე | 5 |

### კოლხეთი 0:0 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 29 |
| 11 | კუთხური | 2 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 0 |
| 9 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 7 |

### ვიტ ჯორჯია 3:0 დილა

| | | |
|---|---|---|
| 22 | დაჯარიმდა | 15 |
| 4 | კუთხური | 8 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 6 | კარში დარტყმა | 5 |
| 9 | თამაშგარე | 4 |

### ლოკომოტივი 3:1 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 9 | დაჯარიმდა | 15 |
| 5 | კუთხური | 11 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 8 | კარში დარტყმა | 2 |
| 0 | თამაშგარე | 3 |

### ბათუმი 1:0 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 19 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 5 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 3 |

### სიონი 1:1 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 20 |
| 5 | კუთხური | 7 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 2 | კარში დარტყმა | 5 |
| 6 | თამაშგარე | 3 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 8 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 7 - იონანიძე | ტორპედო |
| 6 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| რუსია | ლოკომოტივი |
| ზირაქიშვილი | დინამო |
| 5 - აფხაზავა | ბათუმი |
| ფუფუნავა | თსუ |
| 4 - მოსეშვილი | სიონი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| ფანჩულიძე | კოლხეთი |
| იმედაძე | ტორპედო |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |



სიონელებს, ბახვა მოსეშვილს და ჰამლეტ წიწვიძეს ტორპედოელები ზურაბ არჩვაძე (№4) და ირაკლი ზოიძე დაუხვდნენ

### დინამო 4:1 თსუ

თბილისი, 3 ნოემბერი, 15 საათი, ეროვნული, 600 (ტევადობა 70 900)

1:0 ჯინჭარაძე (20), 2:0 გაღელია (32), 3:0 ზირაქიშვილი (35), 4:0 მიქაძე (53), 4:1 ადამია (60)
**დინამო:** ჩიხრაძე, ქემოკლიძე (კანდელაკი 56), ი. ვაშაკიძე, ა. სახვაძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათუაძე (რუხაძე 56), სიჭინავა, გაღელია, ზირაქიშვილი (გ. ვ. მიქაძე 46)
სათადარიგონი: ბათიაშვილი; გოგოლაძე, მაზიაშვილი, ბურდული
**თსუ:** გუგუნავა, ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, ე. ალადაშვილი, სვანაძე, გოცირიძე, წუწუნავა, ახალაძე (ვადაჭკორია 46), მესხი (ბ. ნოზაძე 70), ერაძე (ადამია 46)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; არეშიძე, მორჩილაძე
**გაფრთხილება:** მიქაძე (86)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი; მ. მაღალურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

### კოლხეთი 0:0 მერანი

ფოთი, 4 ნოემბერი, 15 საათი, ფაზისი, 1 000 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქუთელია (კრასოვსკი 71), ფანჩულიძე ახალკაცი, ლაღიძე, კაკლიაშვილი, გოგიაშვილი, კვირკველია, ხუტუა
სათადარიგონი: ჩემია; პაპავა, გ. ჩიტაია, ქანთურიძე, შავგულიძე, თედეევი
**მერანი:** დევაძე, გ. ილურიძე, ცქიფურიშვილი, გ. კვეტენაძე, დევიძე, პოდლესნი (ბოლქვაძე 70), კობესაშვილი (ქინქლარაული 71), მუხინი, ფოცხვერია (ბაჯელიძე 58), როსტიაშვილი, დ. გოდერძიშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია; თოლორდავა, კაკუბავა, მინაშვილი
**გაფრთხილება:** ილურიძე (6), როსტიაშვილი (7), დევიძე (23), ახალკაცი (35), კვეტენაძე (75), ქინქლარაული (80)
**გაძევება:** დევიძე (84)
**მსაჯები:** ა. ორდენიძე (ონი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

### ვიტ ჯორჯია 3:0 დილა

მცხეთა, 4 ნოემბერი, 15 საათი, „არმაზი", 400 (ტევადობა 3 000)

1:0 დოლმელაშვილი (5), 2:0 ნოზაძე (15), 3:0 მელქაძე (47)
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ქანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე (იმნაკირველი 72), დოლმელაშვილი, თაყაძე, დეკანოსიძე, სულთანიშვილი (ვ. გოჩაშვილი 57), მელქაძე (გვაზავა 64)
სათადარიგო: სტურუა
**დილა:** სოლოლაშვილი (თ. ილურიძე 46), ლომიძე, გაგნიძე, ხოხობაშვილი, გრიგალაშვილი, ფეხუაშვილი, რევაზიშვილი, დ. მაისურაძე, ციცქიშვილი (ქეთოშვილი 46), კოტორაშვილი (ა. ხმალაძე 41), ხორგუაშვილი
სათადარიგონი: გ. ტულუში, ოლგესაშვილი, გ. გოჩაშვილი, გოგინაშვილი
**გაფრთხილება:** დოლმელაშვილი (35), გაგნიძე (38)
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

### ლოკომოტივი 3:1 იბერია

თბილისი, 4 ნოემბერი, 15 საათი, ეროვნული, 300 (ტევადობა 70 900)

1:0, 2:0 შენგელია (23, 48), 3:0 რუსია (73), 3:1 მუმლაძე (76)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე (პარამონოვი 57), თოდუა, კვარაცხელია, ტიტვიაშვილი, ხიზანიშვილი, გ. შენგელია, ძოწუაშვილი (რუსია 46), გოგიჩაიშვილი (დავითაშვილი 64)
სათადარიგონი: ივარდავა; გილაური, აფციაური, დ. არჩვაძე
**იბერია:** ჩომახიძე, ქვარია, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, ლ. ხმალაძე (ბანძელაძე 63), ონიანი, ყურაშვილი, ოდიკაძე, გიგიაძე, ბიწაძე, მუმლაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე, ქოლაძე
**გაფრთხილება:** მიქელთაძე (23), გიგიაძე (36)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ო. ხეცაძე; ა. შალამბერიძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ციციანი

### ბათუმი 1:0 გორდა

ბათუმი, 4 ნოემბერი, 15 საათი, დინამო, 800 (ტევადობა 18 000)

1:0 პაპიძე (81)
**ბათუმი:** ბედიაშვილი, ჩიჩუა, მინდაძე, მგალობლიშვილი, პაპიძე, თედორაძე (ყულევიშვილი 46), ლლონტი, დარჩიძე, რომანაძე, აფხაზავა (სიხარულიძე 88), ა. მუჯირი (გველესიანი 89)
სათადარიგონი: ჯაში; ბეჟანიძე, კაკაბაძე, ქაცარავა
**გორდა:** ნიკურაძე, გაბელაია, ბექაური, ლაშა სილაგაძე, მჭედლიძე (ბერიძე 68), ბაჩილავა (კიტეიშვილი 67), ლაბაძე, კ. ალადაშვილი, მელაძე, იგეჩიანი (ბუკია 72), მიშველიძე
სათადარიგონი: გონგაძე, მ. სახვაძე, პატარიძე, ფოჩუა
**გაფრთხილება:** მჭედლიძე (15), აფხაზავა (23), ნიკურაძე (75)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

### სიონი 1:1 ტორპედო

ბოლნისი, 4 ნოემბერი, 15 საათი, თემურ სტეფანია, 1 500 (ტევადობა 3 000)

0:1 იმედაძე (18პ), 1:1 ისიანი (62პ)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (მ. გოგოლაძე 46), მინდიაშვილი, ჯაფარიძე (კ. მეტრეველი 46), ბარნოვი, მოსეშვილი, ისიანი, წიწვიძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი; სვანიძე, ჩაგელიშვილი, დემურიშვილი
**ტორპედო:** ზოიძე, აბელედიანი, მახვილაძე, ზ. არჩვაძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, ხვადაგიანი, ასათიანი, იმედაძე, კვერნაძე (ჩხაიძე 73), იონანიძე
სათადარიგონი: ქანთურია; შეყრილაძე, მ. ბობოხიძე, ვაჩიბერაძე, თურმანიძე, გაბიდაური
**გაფრთხილება:** კვერნაძე (45), წიწვიძე (65), არჩვაძე (80)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩოგოგიძე (ორივე სამტრედია), ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

## სიმბოლური ნაკრები

გიორგი შენგელია (ლოკომოტივი), ზურაბ იონანიძე (ტორპედო)
დავით ქვირკველია (კოლხეთი), გიორგი დეკანოსიძე (ვიტ ჯორჯია), მურმან მოგოლაძე (სიონი), დავით დოლმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)
ნუკრი მინდიაშვილი (სიონი), ზურაბ არჩვაძე (ტორპედო), გიორგი კვეტენაძე (მერანი), ზაზა ცქიფურიშვილი (მერანი)
აკაკი დევაძე (მერანი)

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: საურმაგ არჩვაძე



ლოკომოტიველ დიმიტრი პარამონოვს (№22) იბერიელი ალექსანდრე ჩომახიძე გაუმკლავდა

## უმაღლესი ლიგა

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 12 | 10 | 2 | 0 | 20:4 | 16 | 32 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 16 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | 9 | 16 |
| 2 | ლოკომოტივი | 12 | 10 | 0 | 2 | 27:7 | 20 | 30 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:3 | 13 | 15 | 6 | 5 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 15 |
| 3 | დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 25:13 | 12 | 25 | 6 | 5 | 0 | 1 | 15:6 | 9 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 10 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 3 | 2 | 19:6 | 13 | 24 | 6 | 4 | 0 | 2 | 6:2 | 4 | 12 | 6 | 3 | 3 | 0 | 13:4 | 9 | 12 |
| 5 | კოლხეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:13 | -1 | 16 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 13 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:9 | -4 | 3 |
| 6 | ბათუმი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:14 | 1 | 16 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | 9 | 15 | 6 | 0 | 1 | 5 | 2:10 | -8 | 1 |
| 7 | სიონი | 12 | 4 | 2 | 6 | 10:11 | -1 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 0 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 7 |
| 8 | მერანი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | -4 | 14 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | -8 | 2 |
| 9 | თსუ | 12 | 4 | 1 | 7 | 14:23 | -9 | 13 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:12 | -6 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | -3 | 7 |
| 10 | გორდა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:19 | -9 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 2 |
| 11 | დილა | 12 | 2 | 2 | 8 | 8:22 | -14 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 | 6 | 1 | 0 | 5 | 2:12 | -10 | 3 |
| 12 | იბერია | 12 | 0 | 1 | 11 | 2:26 | -24 | 1 | 6 | 0 | 1 | 5 | 0:13 | -13 | 1 | 6 | 0 | 0 | 6 | 2:13 | -11 | 0 |

## დღეს ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტური

# პაითუ, ვერ გაპიდნენ: „იუვენტუსი“, „მანჩესტერი“, „ბარსელონა“

**დღევანდელი** საღამო გუშინდელზე ბევრად დაძაბული იქნება. გუშინ „ლიონი“ და „ოლიმპიაკოსი“, „გალათასარაი“ და „შტურმი“, „რეინჯერსი“ და „მონაკო“ არკვევდნენ ურთიერთობას, დღეს კი „იუვენტუსის“, „მანჩესტერის“ და „ბარსელონას“ ჯერი დადგა.

F ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია — „ბაიერნი“ და „პარი სენ ჟერმენი“ შემდეგ ეტაპზე არიან, აი, დანარჩენ ჯგუფებში კი...

ყველაზე დიდი ინტრიგა მაინც H ჯგუფს აქვს, სადაც ან „ბარსელონა“ უნდა გაიწიროს, ან „ლიდსი“, ხოლო „ბარსას“ ბედი იმავდროულად „მილანის“ ხელშია. იტალიელთა ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ამბობს, რომ „მილანი“ კაცურ პრინციპებს არ უღალატებს და თავისთვის არაფრისმომტან მატჩში ბოლომდე ითამაშებს.

რამდენიმე დღის წინ კატალონიურ გაზეთ „სპორტში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ „ლიდსის“ დამარცხების შემთხვევაში „ბარსელონა“ მილანელ ფეხბურთელებს პრემიებს დაჰპირდა. ციფრები ასეთია: თითოეული მილანელი, მიუხედავად იმისა, ითამაშებს თუ არა, 90 ათას დოლარს მიიღებს. პრემია კლუბის მწვრთნელებს და ხელმძღვანელობასაც ერგება და მთლიანად 3,2 მილიონი დოლარი იქნება.

ამ ცნობამ ადრიანო გალიანო აღაშფოთა: „არანაირი შეთანხმება არ არსებობს და ცილისწამებისთვის გაზეთს ვუჩივლებთ.“ იმავე სტატიაში „მილანის“ ესპანელი ხოსე მარისთვის ასეთი სიტყვები მიუწერიათ: „პრემიის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. საკუთარი შრომისთვის გასამრჯელოს მიღება სამარცხვინო სულაც არაა.“ ხოსე მარი ამას უარყოფს: „მსგავსი არაფერი მითქვამს და არავის არაფერი შემოუთავაზებია, თუმცა კარგად მესმის, რომ „ლიდსს“ გოლი თუ გავუტანე, კატალონიელთათვის გმირი გავხდები.“

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი უეფას პრესმდივანმა მაიკ ლიმაც გააკეთა: „რაც ითქვა, მხოლოდ ჭორებია, გარიგების არანაირი ფაქტი არ გაგვაჩნია. თუ ვინმემ რამე იცის, გვითხრას და ჩვენც მაშინვე შევუდგებით საქმის გამოძიებას.“

ჭორ-მართლის გარკვევიდან გუნდების შემადგენლობებზე გადავერთოთ. ლორენს სერა ფერერმა განაცხადში შეიყვანა პატრიკ კლუივერტი და მარკ ოვერმარსი, თუმცა ჯერაც არავინ იცის, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ რამდენად დაიბრუნეს სათამაშო ფორმა. უფრო სავარაუდოა, რომ მწვრთნელი მათ სათადარიგოთა სკამზე დასვამს და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეუშვებს მინდორზე. მაგრამ პირიქით თუ მოხდა, დანის და სერხის მოუწევთ სკამზე ჯდომა.

თურქები მძიმე დღეში არიან. მათ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგული აქვთ და მხოლოდ მესამე ადგილისთვის — უეფას თასზე გადასასვლელად იბრძვიან. ეს ძნელი იქნება თუნდაც იმიტომ, რომ პასკალ ნუმა ისევ დისკვალიფიცირებულია, ხოლო მიროსლავ კარჰანი, სეად ჰალილაჯიჩი და ულუსალ ფაზლი დაშავებულნი არიან. თურქებს მცირეოდენ იმედს მხოლოდ ის ფაქტი აძლევთ, რომ პირველ წრეში „ბარსელონას“ 3:0 მოუგეს.

„ბარსელონას“ ქომაგთა გულის გასახეთქად ბლომად ტრავმირებულები ჰყავს „მილანსაც“: იტალიელებს არ ეყოლებათ მეკარე კრისტიან აბიატი და კარის დაცვას ბრაზილიელ დიდას ანდობენ; მუხლი სტკივა ალესანდრო კოსტაკურტას, ხოლო ფრანჩესკო კოკოს ყბაყურა დამართნია. გაურკვეველია პაოლო მალდინის, დემეტრიო ალბერტინის და ხოსე მარის საკითხიც. მართალია, მათ არაფერი აწუხებთ, მაგრამ ორ-ორი გაფრთხილება აქვთ მიღებული და ალბერტო ძაკერონი შიშობს, უპრინციპო მატჩში მორიგი ყვითელი ბარათი რომ მიიღონ, მომდევნო მნიშვნელოვან შეხვედრაში დისკვალიფიცირებულნი იქნებიანო.

„ლიდსს“ დაშავებული ჰყავს ჯონათან ვუდგეიტი და დენი მილსი, ოღონდ უმნიშვნელოდ, რაკი დევიდ ოლირიმ ისინი სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში მოიხსენია. გუნდს ახლავს ლუკას რადებეც, თუმც საეჭვოა, ის ბოლომდე მომჯობინებულიყო და თამაში შეძლოს. კარგა ხნის წინ დაშავებულ ნაიჯელ მარტინს, ჰარი კიუელს და ჯეისონ უილკოქსს ახლა მაიკლ ბრიჯისიც შეუერთდა. მიუხედავად ამდენი დანაკლისისა, ინგლისელთა მწვრთნელი ამბობს: „მილანში ფრეს მისაღწევად არ მივდივართ. უაზრობაა, „სან სიროზე“ გახვიდე და იმის იმედით, რომ გოლს არ გაუშვებ, ყრუ დაცვაში ჩაჯდე. ჩვენ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ.“

E ჯგუფიდან „დეპორტივოს“ თავი ქუდში აქვს და „ჰამბურგს“ სტუმრობს. თითქოს მეორე ადგილისთვის მებრძოლ გერმანელებს ესპანეთის ჩემპიონის ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ არც გამარჯვება აძლევთ მათ რაიმე გარანტიას — ამისთვის პარალელურად გამართული „პანათინაიკოსი“ — „იუვენტუსის“ მატჩი ფრედ უნდა დასრულდეს. მაგრამ ფრე ბერძნებს და იტალიელებს რომ ხელს არ აძლევთ? ათენში უშელავათო ბრძოლას უნდა ველოდოთ — გამარჯვებული ჯგუფიდან გადის.

კარლო ანჩელოტის გეგმა ასეთია: ანტონიო კონტე და ალესიო ტაკინარდი ცენტრში, ცოტა წინ, დისკვალიფიცირებული ზინედინ ზიდანის ადგილზე — ალესანდრო დელ პიერო და თავდასხმაში ინძაგი და ტრეზეგე. აღსანიშნავია, რომ ტრეზეგე კარგ ფორმაშია და გასულ უქმეებზე სერია A-ში ორი გოლიც შეაგდო. ტურინელებს ვერ დაეხმარებათ ურუგვაელი პაოლო მონტერო და ხორვატი იგორ ტუდორი, რომელსაც იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი მარკო ძანკი შეცვლის.

ბერძენთა უძლიერეს შემადგენლობას მხოლოდ ერთი კაცი, მეკარე კოსტას კალკიასი აკლია, რომელმაც „დეპორტივოსთან“ შეხვედრაში მხარი იტკინა. ტრავმის მოშუშებისა და მწვრთნელთან კონფლიქტის მოგვარების შემდეგ გუნდს პორტუგალიელი პაულუ სოუზა დაუბრუნდა. სასტარტო შემადგენლობაში იქნება ვეტერანი პოლონელი თავდამსხმელი კრჟიშტოფ ვარჟიხაც. საინტერესოა, რომ პოლონელმა კვირას საბერძნეთის ჩემპიონატში ორი გოლი გაიტანა და ქვეყნის ყველა დროის ბომბარდირთა შორის მესამე ადგილზე აინაცვლა.

G ჯგუფში ერთი რამაა გარკვეული — კიევის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგიდან ვარდება. უკრაინელებს უეფას თასზე გადასვლისთვისაც გაუჭირდებათ ბრძოლა, რაკი მანჩესტერს ტრავმირებული ანდრეი გუსინის, ვიტალი კოსოვსკისა და გენადი მოროზის გარეშე მოუხდათ ჩასვლა.

თუმც პრობლემები ინგლისელებსაც აქვთ. პოლ სქოულზი დისკვალიფიცირებულია და მას ნიკი ბათი შეცვლის; შაბათს, „ქოვენთრისთან“ მატჩის დროს, დევიდ ბექჰემმა კოჭი იტკინა, მაგრამ სერ ალექსი ალბათ, მაინც ათამაშებს. მასპინძლებს მთავარი პრობლემები დაცვაში ექნებათ, რაკი იაპ სტამი და რონი იონსენი დაშავებულნი არიან და მწვრთნელი უესლი ბრაუნს უპირებს გაყვანას.

**გიორგი დარჯანია**




იყიდება
ბილიარდის მაგიდა
(1.50×2.80)
კარგ მდგომარეობაში
☎ 95 00 66


## ინგლისი

XII ტური

**დერბი ქაუნთი 0:0 ვესტ ჰემი**

დერბი ქაუნთი: პოომი, მარტინი (მორისი 87), რიგოტი, კარბონარი, შნური, დ. პაუელი (ვალაკარი 46), დელაპი, ბარლი, ჯონსონი, ძინძლაძე, კრისტი (დ. ბარტონი 81)

მწვრთნელი: ჯიმ სმიტი

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ტ. სინკლერი, რ. ფერდინანდი, ს. პირსი, ი. პირსი, ლომასი, ლამპარდი, კარიკი, შუკერი (დიაგარა 64), დი კანიო, კანო (მონკუ 75)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: მარტინი, კანო

24 621 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 12 | 8 | 3 | 1 | 33:9 | 27 |
| არსენალი | 12 | 8 | 3 | 1 | 23:10 | 27 |
| ლესტერი | 12 | 6 | 4 | 2 | 10:7 | 22 |
| ლივერპული | 12 | 6 | 3 | 3 | 23:18 | 21 |
| ასტონ ვილა | 11 | 5 | 4 | 2 | 14:9 | 19 |
| ნიუკასლი | 12 | 6 | 1 | 5 | 13:11 | 19 |
| იფსვიჩი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:14 | 18 |
| ლიდსი | 11 | 5 | 3 | 3 | 19:17 | 18 |
| ჩარლტონი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:18 | 18 |
| ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 17:18 | 17 |
| ჩელსი | 12 | 4 | 4 | 4 | 24:17 | 16 |
| სანდერლენდი | 12 | 4 | 4 | 4 | 10:13 | 16 |
| სიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:20 | 14 |
| საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 15:22 | 13 |
| ვესტ ჰემი | 12 | 2 | 6 | 4 | 13:14 | 12 |
| ევერტონი | 12 | 3 | 3 | 6 | 14:20 | 12 |
| ქოვენთრი | 12 | 3 | 2 | 7 | 12:24 | 11 |
| მიდლსბრო | 12 | 2 | 4 | 6 | 16:19 | 10 |
| ბრედფორდი | 12 | 1 | 4 | 7 | 5:19 | 7 |
| დერბი ქაუნთი | 12 | 0 | 6 | 6 | 16:28 | 6 |

## დანია

მე-15 ტური. აკადემისკი — ოლბორგი 1:1; ბრონდბიუ — ჰადერსლევი 4:2; მიდტიულანდი — ორჰუსი 1:4; ვიბორგი — კოპენჰაგენი 2:1; ჰერფიოლგე — ლიუნგბიუ 2:3; სილკებორგი — ოდენსე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 15 | 9 | 2 | 4 | 41:19 | 29 |
| ლიუნგბიუ | 15 | 9 | 1 | 5 | 27:26 | 28 |
| მიდტიულანდი | 15 | 7 | 5 | 3 | 25:19 | 26 |
| კოპენჰაგენი | 15 | 7 | 4 | 4 | 22:12 | 25 |
| სილკებორგი | 15 | 6 | 7 | 2 | 20:19 | 25 |
| ოდენსე | 15 | 7 | 2 | 6 | 23:15 | 23 |
| ვიბორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 20:13 | 22 |
| ოლბორგი | 15 | 5 | 4 | 6 | 24:26 | 19 |
| ორჰუსი | 15 | 6 | 1 | 8 | 23:29 | 19 |
| აკადემისკი | 15 | 3 | 6 | 6 | 20:23 | 15 |
| ჰერფიოლგე | 15 | 3 | 4 | 8 | 19:32 | 13 |
| ჰადერსლევი | 15 | 0 | 4 | 11 | 14:45 | 4 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა. XI ტური

**ზაარბრიუკენი 2:2 ნიურნბერგი**

1:0 კრიგი (5), 1:1 ვიგლი (47), 2:1 შუტველკერი (90), 2:2 შტორნცერმოფკერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 11 | 8 | 3 | 0 | 23:8 | 27 |
| ობერჰაუზენი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:11 | 20 |
| ჰანოვერი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:10 | 19 |
| ზტ. პაული | 11 | 5 | 3 | 3 | 28:19 | 18 |
| ზაარბრიუკენი | 11 | 5 | 3 | 3 | 18:17 | 18 |
| როიტლინგენი | 11 | 5 | 2 | 4 | 21:22 | 17 |
| არმინია | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 16 |
| ფიურტი | 11 | 4 | 3 | 4 | 18:14 | 15 |
| ალემანია | 11 | 4 | 3 | 4 | 15:15 | 15 |
| ვალდჰოფი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:18 | 15 |
| გლადბახი | 11 | 3 | 5 | 3 | 18:15 | 14 |
| ულმი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:18 | 14 |
| დუისბურგი | 11 | 3 | 3 | 5 | 15:15 | 12 |
| მაინცი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:16 | 12 |
| ალენი | 11 | 2 | 5 | 4 | 17:24 | 11 |
| ოსნაბრუკი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:19 | 9 |
| კიკერსი | 11 | 1 | 5 | 5 | 6:16 | 8 |
| ქემნიცი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:25 | 8 |

## უკრაინა

გადადებული მატჩი

**ცსკა 2:0 ვორსკლა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 13 | 8 | 3 | 2 | 14:9 | 27 |
| დინამო | 11 | 8 | 2 | 1 | 22:9 | 26 |
| შახტარი | 10 | 7 | 2 | 1 | 31:11 | 23 |
| მეტალურგი | 12 | 6 | 4 | 2 | 15:12 | 22 |
| კარპატი | 13 | 7 | 0 | 6 | 23:18 | 21 |
| ცსკა | 13 | 5 | 6 | 2 | 16:9 | 21 |
| ტავრია | 12 | 4 | 6 | 2 | 14:11 | 18 |
| მარიუპოლი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | 16 |
| ზაპოროჟიე | 12 | 4 | 3 | 5 | 15:19 | 15 |
| მეტალისტი | 13 | 3 | 4 | 6 | 10:19 | 13 |
| კრივბასი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | 12 |
| ნივა | 13 | 2 | 3 | 8 | 15:27 | 9 |
| ვორსკლა | 13 | 2 | 2 | 9 | 6:18 | 8 |
| სტალი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:22 | 5 |

## პოლონეთი

მე-13 ტური. გროცლინი — კატოვიცე 1:0; ზაგლებე — რუხი 0:2; ვიძევი — სტომილი 1:1; პოგონი — ოდრა 2:1; ვისლა — ამიცა 4:0; ლეგია — პლოცკი 1:1; რაძიონკოვი — შლიონსკი 2:0; გურნიკი — პოლონია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 13 | 11 | 1 | 1 | 36:6 | 34 |
| პოგონი | 13 | 9 | 2 | 2 | 19:9 | 29 |
| ლეგია | 13 | 7 | 5 | 1 | 19:8 | 26 |
| პოლონია | 13 | 7 | 3 | 3 | 18:11 | 24 |
| ამიცა | 13 | 6 | 3 | 4 | 25:20 | 21 |
| ზაგლებე | 13 | 6 | 1 | 6 | 17:16 | 19 |
| ვიძევი | 13 | 4 | 4 | 5 | 20:23 | 16 |
| გროცლინი | 13 | 4 | 4 | 5 | 13:16 | 16 |
| სტომილი | 13 | 4 | 4 | 5 | 11:17 | 16 |
| ოდრა | 13 | 4 | 3 | 6 | 12:19 | 15 |
| კატოვიცე | 13 | 2 | 7 | 4 | 7:8 | 13 |
| გურნიკი | 13 | 3 | 3 | 7 | 12:17 | 12 |
| შლიონსკი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:21 | 12 |
| რუხი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:22 | 12 |
| პლოცკი | 13 | 3 | 3 | 7 | 14:25 | 12 |
| რაძიონკოვი | 13 | 3 | 1 | 9 | 11:22 | 10 |

## ჩეხეთი

მე-13 ტური. ცოცკოვი — სინოტი 3:1; იაბლონეცი — დრნოვიცე 0:0; პრჟიბრამი — ბოჰემიანსი 3:0; სიგმა — ლიბერეცი 1:1; ტეპლიცე — ბანიკი 4:0; ბრნო — პლზენი 1:0; ბუდეიოვიცე — სლავია 3:2; სპარტა — ბლშანი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 10 | 0 | 1 | 34:9 | 30 |
| ტეპლიცე | 12 | 7 | 3 | 2 | 22:10 | 24 |
| ლიბერეცი | 13 | 7 | 3 | 3 | 22:14 | 24 |
| პრჟიბრამი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:13 | 21 |
| სიგმა | 11 | 5 | 4 | 2 | 20:11 | 19 |
| სინოტი | 12 | 5 | 4 | 3 | 20:15 | 19 |
| სლავია | 10 | 5 | 3 | 2 | 15:11 | 18 |
| ბოჰემიანსი | 13 | 3 | 7 | 3 | 17:17 | 16 |
| ჟიჟკოვი | 12 | 4 | 3 | 5 | 19:22 | 15 |
| ბლშანი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:14 | 13 |
| დრნოვიცე | 13 | 3 | 3 | 7 | 12:19 | 12 |
| იაბლონეცი | 13 | 2 | 6 | 5 | 11:20 | 12 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 2 | 5 | 5 | 13:23 | 11 |
| ბანიკი | 13 | 2 | 5 | 6 | 10:25 | 11 |
| ბრნო | 11 | 2 | 2 | 7 | 10:16 | 8 |
| პლზენი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:28 | 8 |

## პორტუგალია

X ტური

**ფერეირა 4:2 ბრაგა**

1:0 დიასი (15), 2:0 პეტუ სანტუში (22), 3:0 პაულუ ვიდა (45), 3:1 მ. ფეპერი (74პ), 4:1 პაულუ ვიდა (87პ), 4:2 მ. ფეპერი (88)

**კამპომაიორენსე 0:1 ბელენენსეში**

0:1 ელიელ სანტუში (7)

**სალგეირუში 2:1 ავეში**

0:1 კუინზინიუ სილვა (7), 1:1, 2:1 პაკიტუ (13, 76)

**ალვერკა 0:1 ბეირა მარი**

0:1 ლობაუ (62)

**მარიტიმუ 3:0 ბენფიკა**

1:0, 2:0, 3:0 ლაგორიუ (12, 54, 60)

**ფარენსე 2:2 ბოავიშტა**

0:1 პედრუ სანტუში (9), 1:1 ნადერი (20), 2:1 ჯურჯიევიჩი (22), 2:2 ჟორჟე კოუტუ (73)

**ჟილ ვისენტე 2:2 პორტუ**

1:0 პაულუ სეზარი (11), 1:1 ხესუს პენა (21), 1:2 ესკერდინია (53პ), 2:2 მარტინსი (81პ)

**სპორტინგი 4:0 ლეირია**

1:0 ბილრუ (ს.კ.), 2:0, 3:0 ბარბოსა (22, 43), 4:0 ანდრე კრუზი (89)

**გიმარაეში 4:0 ამადორა**

1:0, 2:0 სერჟიუ ჟუნიორი (33, 52), 3:0, 4:0 კონგო (58, 65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 8 | 1 | 1 | 24:6 | 25 |
| სპორტინგი | 10 | 7 | 1 | 2 | 21:9 | 22 |
| სალგეირუში | 10 | 7 | 0 | 3 | 14:10 | 21 |
| ბრაგა | 10 | 6 | 2 | 2 | 18:13 | 20 |
| ბოავიშტა | 10 | 5 | 4 | 1 | 18:9 | 19 |
| ბელენენსეში | 10 | 5 | 4 | 1 | 13:7 | 19 |
| ფერეირა | 10 | 5 | 2 | 3 | 18:10 | 17 |
| მარიტიმუ | 10 | 5 | 1 | 4 | 11:8 | 16 |
| ბენფიკა | 10 | 4 | 3 | 3 | 12:11 | 15 |
| ფარენსე | 10 | 4 | 3 | 3 | 12:11 | 15 |
| გიმარაეში | 10 | 3 | 3 | 4 | 16:15 | 12 |
| ლეირია | 10 | 2 | 5 | 3 | 9:17 | 11 |
| ალვერკა | 10 | 2 | 3 | 5 | 11:18 | 9 |
| ავეში | 10 | 2 | 2 | 6 | 14:21 | 8 |
| ბეირა მარი | 10 | 1 | 3 | 6 | 10:19 | 6 |
| კამპომაიორ. | 10 | 0 | 5 | 5 | 6:19 | 5 |
| ამადორა | 10 | 1 | 1 | 8 | 7:19 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 10 | 0 | 3 | 7 | 5:17 | 3 |

# სუპერმარიოს ტაში 15 ათასი დაუჯდა




მარიო ბასლერი

**„კაიზერსლაუტერნის“** ხელმძღვანელობამ გუშინ კრება ჩაატარა, რომელზეც ქომაგების მასხრად აგდებისთვის კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელ მარიო ბასლერს 15 ათას მარკიანი ჯარიმა გამოუწერა. ამით კლუბის უფროსობამ გულშემატკივრების გული მოიგო.

გასულ შაბათს, ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში „კაიზერსლაუტერნი“ — „შალკეს“ მატჩის ერთ-ერთ მომენტში ბასლერის თამაშით უკმაყოფილო გულშემატკივრების სტვენას „სუპერმარიო“ ტაშით შეეგება, რამაც ქომაგები უფრო გაალიზიანა. მოგვიანებით „ლაუტერნის“ თავკაცმა ანდრეას ბრემემ მდგომარეობის განსამუხტავად ბასლერი საერთოდ შეცვალა, ამით აღშფოთებული ფეხბურთელი კი მწვრთნელს გაუწყრა.

„ბასლერი ცუდად მოიქცა, „კაიზერსლაუტერნის“ წევრს ეს არ შეეფერება“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა მომხდარს კლუბის თავმჯდომარე იურგენ ფრიდრიხმა.

„მივხვდი, რომ დამნაშავე ვარ და არასწორად მოვიქეცი. მინდა, ქომაგებს ჩემი საქციელისთვის ბოდიში მოვუხადო. დიდი იმედი მაქვს, რომ ისინი მაპატიებენ — განაცხადა ბასლერმა გუშინ სახალხოდ და დაამატა — ჩემი სურვილი ყოველთვის ერთია, „ფრიც ვალტერ შტადიონზე“ „კაიზერსლაუტერნის“ მაისურით თამაში, ამიტომ ჩემი ქომაგების სტვენა მეტად მტკივნეულად აღვიქვი. ახლა მეც მესმის მათი. ისინი ალბათ დაივიწყებენ ყველაფერს, ისევე როგორც მე და ჩვენს შორის სრული ურთიერთგაგება იქნება.“

„მარიომ მომიბოდიშა, მეც ვაპატიე. ჩათვალეთ, რომ ყველაფერი მოგვარდა. ჩვენს შორის ძველებური ურთიერთობა აღდგება, მით უმეტეს, ბასლერმა თავად აღიარა შეცდომა“ — ბრძანა თავად ბრემემ.

აქვე კიდევ ერთ დაჯარიმებულზე ვთქვათ. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა „მიუნხენ 1860“-ის თავკაცი ვერნერ ლორანტი 7500 გერმანული მარკით დასაჯა, „კაიზერსლაუტერნთან“ 0:4 წაგებული მატჩის შემდეგ მსაჯები რატომ გააკრიტიკეო. სხვათა შორის, ლორანტი შარშანაც ყოფილა ასეთ ამბავში შემჩნეული და მაშინ ეს მიუნხენელთა მწვრთნელს სათადარიგოთა სკამიდან ორმატჩიან მოკვეთად დაუჯდა.

**ვანო ოქროპირიძე**


თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი
სიგარეტის გადაგდება,
ნიკოტინიზმისგან განკურნება
ეფექტური მეთოდი;
საუკეთესო შედეგი; ხელმისაწვდომი ფასები;
განკურნების შემდგომი ზედამხედველობა და რეაბილიტაცია.
☎ 95 58 26; 96 85 67 ყოველდღე, 10-დან 19 საათამდე,
შაბათ-კვირას 10-დან 13 საათამდე

დავით აღმაშენებლის გამზირი 60

# ბანქო მავნებელია თქვენი თამაშისთვის!

## ამბავი მერსონზე, ოლსონზე და ერიქსონზე



ტორდ გრიპი, რობერტო მანჩინი და სვენ გორან ერიქსონი

გაზეთ „დეილი მეილისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ასტონვილელმა პოლ მერსონმა სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები ევრო 2000-ზე მთელ ყურადღებას კარტის ფულზე თამაშს უთმობდნენ.

„ახლანდელი ფეხბურთელები მდიდარი ხალხია — ამბობს მერსონი — მათთვის თითო ხელზე 50 ათასის წაგება არაფერს ნიშნავს. თუმცა საქმე ფსონის რაოდენობაში როდია. მთავარია, რომ კარტმა ჩათრევა იცის და სხვაზე ვერაფერზე ფიქრობ. ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რა შეიძლება უქნას კაცს ფულზე თამაშმა“.

მერსონს დაეჯერება, ის თავის დროზე თავგადაკლული მოთამაშე იყო (ამბობს, შევეშვიო). „როცა ვთამაშობდი, მეორე დღეს მინდორზე არაფერი გამოდიოდა და ჩემმა საფეხბურთო კარიერამ დაღმასვლა დაიწყო. კარტს უზარმაზარი ენერგია მიაქვს და მატჩის დაწყების წინაც კი ფეხზე ძლივს ვიდექი ხოლმე. მსგავსი რამ ევროპის ჩემპიონატზეც შევნიშნე და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ფეხბურთელები ღამეებს ბანქოს მაგიდასთან ატარებდნენ“.

პოლ მერსონს რაგინდ გამჭრიახი თვალი ჰქონდეს და ამგვარ რამეებში დიდად გამოცდილი იყოს, მისი მოსაზრება მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია, დაკვირვების საფუძველზე გაკეთებული. ამიტომ უფრო ღირებული და მნიშვნელოვანია ის, რაც „სანდერლენდის“ თავდამსხმელმა კევინ ფილიპსმა, ევროპის ჩემპიონატის უშუალო მონაწილემ თქვა: „ნაკრების ფეხბურთელები ამრეზით მიყურებენ, რადგან კარტს არ ვთამაშობ. ასეა დაკანონებული: კარტს ან დოლზე ტოტალიზატორს თუ არ თამაშობ, სრულფასოვან პიროვნებად არ გთვლიან. ამიტომაც იყო, რომ ვარჯიშის მერე ბიჭები სადღაც გადაიკარგებოდნენ ხოლმე, მე კი მარტო ვიჯექი ჩემს ოთახში“.

ინგლისელ ფეხბურთელთა აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილება აწ უკვე სვენ გორან ერიკსონის პრობლემაა, თუმცა შვედ სპეციალისტს ამისთვის ჯერ არ სცალია, ის თავის შიშზე მოგვითხრობს.

ერიკსონს ბრიტანული პრესის ეშინია. „გულახდილად გეტყვით, ვშიშობ, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში დაიწყებენ ქექვას და ათას ჭორ-მართალს დაწერენ — ამბობს მწვრთნელი — ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე ჟურნალისტები უკვე ესტუმრნენ დედაჩემს და ჩემს ძმას, რომლებიც პორტუგალიაში ცხოვრობენ, ჩემს შვილს — ის ამერიკაში სწავლობს, ყოფილ ცოლს, რომელიც თავად ექვსი წელია, არ მინახავს და თქვენ წარმოიდგინეთ, ყოფილ სიდედრსაც კი.“

ცნობილია, რომ ინგლისური პრესა დიდი გულისყურით ადევნებს თვალს ცნობილ ადამიანთა ცხოვრებას და ნაკრების მწვრთნელი გამონაკლისი ვერ იქნება. და რას ნიშნავს ინგლისელ რეპორტიორთა ყბაში ჩავარდნა, ბობი რობსონს ან გლენ ჰოდლს ჰკითხეთ.

„ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა — განაგრძობს ერიკსონი — მაგრამ ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე უარის თქმა არ შემეძლო. ჩემთვის ადრეც შეუთავაზებიათ სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებთა თავკაცობა, მაგრამ უარს ვამბობდი, ინგლისი კი სულ სხვა დონეა“.

რაკი ერიკსონის პირადი ცხოვრება ვახსენეთ, ბარემ მისი ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილი ამბები გავიხსენოთ. აი, თუნდაც ის, 36 წლის წინ ყმაწვილი სვენ გორანი შვედურ მეოთხედივიზიონელ „ტორბსში“ რომ ჩაირიცხა.

ერიკსონის პირველი მწვრთნელი, 71 წლის სვენ აკე ოლსონი იგონებს: „როცა სვენი შემადგენლობაში დავაყენე, ბევრი უკმაყოფილო დარჩა. ამბობდნენ, ეს გამოუცდელი ბიჭი თამაშს წაგვაგებინებსო, მაგრამ მატჩის შემდეგ აღშფოთებული არავინ დარჩენილა“.

მაშინ, 36 წლის წინ, „ტორბსმა“ დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა. ახლა? რამდენიმე დღის წინ დასრულებულ შვედეთის ჩემპიონატში „ტორბსი“ კვლავ პირველი იყო, ოღონდ... მეხუთე დივიზიონში.

ტორბსში დღესაც ახსოვთ ერიკსონის ფეხბურთელობა. „ჩვენი კერპები თავდამსხმელები იყვნენ, რადგან ბევრი გოლი გაჰქონდათ, ხოლო ერიკსონი მცველი იყო და შესაბამისად ნაკლებ ყურადღებას იპყრობდა. თუმცა მის თამაშს წუნს ვერ უპოვიდით, ძალიან საიმედო მცველი იყო“ — ეს ტორბსის პატარა ტურისტული ფირმის თანამშრომელმა გაიხსენა, მისი ოთახის კედელზე კი იმდროინდელი გუნდის ფოტო კიდია: ერიკსონი პირველ რიგში ზის და არ იღიმება. „ჩვეულებრივი ბიჭი იყო — განაგრძობს მოგონებას მწვრთნელი — კარგად აღზრდილი და ემოციების გამჟღავნება არ უყვარდა. სანამ რამეს იტყოდა, ჯერ ყოველთვის ფიქრობდა“.

ტორბსი პატარა ქალაქია, ნორვეგიის საზღვართან ახლოს. 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც შვედეთში ჩატარდა, მთელ ქვეყანას ფეხბურთის ბუმი მოედო და გამონაკლისი არც ტორბსელი ბავშვები იყვნენ. გაკვეთილების მერე ყველა ფეხბურთის სათამაშოდ გარბოდა. სვენ აკე ოლსენიც ნიჭიერი ბავშვების ძებნაში ქალაქის სპორტულ მოედნებს დაუყვებოდა. სწორედ იქ აღმოაჩინა ერიკსონი.



პოლ მერსონი გაფრთხილებს...

1969 წელს ინგლისის ნაკრების მომავალმა მწვრთნელმა მშობლიური ქალაქი დატოვა და უფრო ამბიციურ გუნდებში განაგრძო თამაში. 1975 წელს მუხლის მძიმე ტრავმამ 27 წლის ერიკსონს სამწვრთნელო კარიერაზე დააწყებინა ფიქრი. „როგორ წარმოვიდგენდი, რომ ქუჩაში ჩემს მიერ ნაპოვნი ბიჭი ამდენს მიაღწევდა“ — უთქვამს ოლსონს, როცა შეგირდის დანიშვნის ამბავი შეიტყო.

ოლსონი და ერიკსონი ბოლოს ერთი წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს — შვედეთში ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა, რომელსაც „სვენის თასი“ ერქვა. მომავალში? „როცა ჩემი ხნის იქნება, სვენს შეუძლია სამშობლოში დაბრუნდეს და ეროვნული გუნდი ჩაიბაროს. სამწუხაროდ, მე ამას ველარ მოვესწრები“.

ერიკსონის ყმაწვილკაცობაზე საუბარი აქ შევწყვიტოთ და უფრო მნიშვნელოვანი ამბები ვთქვათ. გეხსომებათ, რა დიდი ხმაური ატყდა, როცა ინგლისის ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი დაუნიშნეს. ახლა ეს პროცესი გრძელდება — ერიკსონმა თანაშემწედ თავის თანამდებობაზე ტორდ გრიპს უხმო.

მეტოქის დაზვერვა და ინგლისელ ფეხბურთელთა შემოწმება — ეს გრიპის ოფიციალური მოვალეობაა. თუმცა ინგლისელი ჟურნალისტები ამბობენ, ამ კაცს ვარჯიშის დროს ერიკსონის ფუნქციების შესრულებას თუ შენიშნავთ, ნუ გაიკვირვებთო. არც ის გაიკვირვოთ, რასაც ახლა ვიტყვით — ერიკსონი თანაშემწეს თავის მაესტროს ეძახის. „გრიპი ჩემი მასწავლებელი იყო. ის საუცხოო ანალიტიკოსი და დამკვირვებელია. ჩემი აზრით, ტორდი საუკეთესო მეორე მწვრთნელია მსოფლიოში“ — ესეც ერიკსონის სიტყვებია.

ისინი ერთმანეთს 1973 წელს შეხვდნენ — გრიპი შვედეთის მესამე დივიზიონის სამოყვარულო გუნდის „კარლსტოგასის“ მოთამაშე მწვრთნელი იყო და ერიკსონი თავისთან წაიყვანა. მათი მეგობრობაც აქედან დაიწყო. რამდენიმე წლის მერე გრიპს შვედეთის ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარეს და იმ დროისთვის მოთამაშის კარიერას ჩამოცილებული ერიკსონი თანაშემწედ წაიყვანა. მერე მათი გზები გაიყარა — ერიკსონის მოგზაურობაზე ბევრჯერ გვითქვამს, ხოლო გრიპი ჯერ „მალმიოს“ წვრთნიდა, 1987 წელს კი ნორვეგიის ნაკრებში დაინიშნა. ეს დღეს წარმოადგენს ნორვეგია ანგარიშგასაწევ ძალას, მაშინ კი... აი, რას ამბობდა გრიპი: „მოეშვით ამ უაზრო ლაპარაკს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გასვლის შესახებ. ნორვეგია ამას ვერასოდეს მიაღწევს“.

1997 წელს გრიპი დანიური „ოდენსეს“ ტექნიკური დირექტორი გახლდათ, როცა ერიკსონმა დაურეკა, „ლაციოში“ გელიო. მას მერე ისინი კვლავ ერთად არიან, ოღონდ როლები შეიცვალა — უფროსი ახლა ერიკსონია.

**გიორგი დარჯანია**

---

**UEFA CUP**

**უეფას თასი. II ეტაპი.**
**საპასუხო მატჩები. 7 ნოემბერი**

ამიცა (პოლონეთი) 1:1 **ჰერტა (გერმანია)** (1:3)
1:0 კროლი (54), 1:1 ვაიტი (63)

**მიუნხენ 1860 (გერმანია)** 3:1 ჰალმსტადი (შვედეთი) (2:3)
1:0 მაქსი (6), 1:1 რ. ანდერსონი (25), 2:1 აგოსტინო (45), 3:1 მაქსი (84)

ჰერფიოლგე (დანია) 2:1 **აეკ (საბერძნეთი)** (0:5)
1:0 იაკობსენი (1), 1:1 პეტკოვი (34), 2:1 პერმანსენი (46პ)

რაპიდი (ავსტრია) 0:2 **ოსიეკი (ხორვატია)** (1:2)
0:1 ბიელიკა (14), 0:2 სტეპან ჯუკიჩი (90)

---

### ფეხბურთის რუკასთან

**არგენტინელმა** ნახევარმცველმა დიეგო სიმეონემ განაცხადა, რომ კარიერას, ალბათ, მადრიდის „ატლეტიკოში“ დაასრულებს, სადაც მას ადრეც უთამაშია. „ჩემთვის დიდი პატივია, რომ მადრიდელ ქომაგებს დღემდე ვახსოვარ. მსურს, კარიერის ბოლო წლები „ვისენტე დე კალდერონზე“ გავატარო. მართალია, ახლა „ატლეტიკოს“ უჭირს, მაგრამ მჯერა, რომ კრიზისს თავს დააღწევს და პრიმერადივიზიონში დაბრუნდება“ — თქვა „ლაციოს“ 30 წლის ლეგიონერმა, რომელმაც მადრიდულ კლუბთან ერთად 1996 წელს ესპანეთის ჩემპიონობა და ქვეყნის თასი მოიპოვა.

**ფრანგული** „მარსელის“ სპორტულმა მენეჯერმა ერიკ დი მეკომ პოსტი დატოვა. ჩემპიონატის ბოლო ტურში მარსელელები შინ „რენთან“ დამარცხდნენ, მოგვიანებით კი დი მეკო კლუბის მეპატრონეს, რობერ ლუი დრეიფუსს შეხვდა და გუნდიდან წასვლის შესახებ ამცნო. „მადლობას ვუხდი ერიკს გუნდში გაწეული სამუშაოსთვის“ — განაცხადა დრეიფუსმა და აღნიშნა, რომ დი მეკოს შემცვლელს ათ დღეში დაასახელებს.

**იტალიის** ვიც-ჩემპიონ „იუვენტუსს“ ურუგვაელი ფორვარდის, ანტონიო დაგოსტის შეძენა სურს. იუწყებიან, რომ ტურინულმა კლუბმა და „პენიაროლმა“ წინასწარ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და ფეხბურთელი კარიერას მალე ევროპაში გააგრძელებს. „ბებერმა ქალბატონმა“ „ესპანიოლის“ ცენტრალურ მცველ მაურისიო პოჩეტინიოსაც დაადგა თვალი, თუმცა ფეხბურთელის გადაბირება „ბარსელონასაც“ უნდა.

**ჩეხი** ნახევარმცველი პატრიკ ბერგერი სეზონის უმეტეს ნაწილს გამოტოვებს — „ლივერპულის“ ფეხბურთელმა „ლიდსის“ წინააღმდეგ მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო. ბერგერი მალე ამერიკაში მიემგზავრება და კოლორადოს ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში იმკურნალებს. წინასწარი ვარაუდით, იგი თებერვლამდე ვერ ითამაშებს.

**შვედური** აიკ-ის შოტლანდიელმა თავკაცმა სტიუარტ ბაქსტერმა გუნდში სამწლიანი მუშაობის შემდეგ თანამდებობა დატოვა. „წლევანდელი შედეგით არც ისე კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომელსაც აიკ-თან ერთად ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოუგია, ამ სეზონში კი გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანა. სავარაუდოა, რომ სტოკჰოლმურ კლუბს ნორვეგიელ ანდრეს ლინდეროტს ჩააბარებენ. ამ უკანასკნელმა 1997 წელს „ელფსბიორგი“ ქვეყნის ჩემპიონი გახადა.

**ინგლისელი** პოლ გესქოინი „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა და დაახლოებით ორ კვირას ვერ ითამაშებს. იგი „ევერტონს“ „ბრედფორდთან“ და „არსენალთან“ დააკლდება. „გაზამ კუნთი დაიჭიმა. ექიმები მას კიდევ გასინჯავენ და ზუსტად იტყვიან, თუ რამდენ ხანს გააცდენს“ — განაცხადა „ევერტონის“ მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა.

**ინგლისური** „ბრედფორდის“ მწვრთნელის მოვალეობა დროებით კაპიტანმა სტიუარტ მაკკოლმა შეითავსა. შეგახსენებთ, რომ კრის ჰაჩინგსი გუშინწინ დაითხოვეს. შაბათს „ბრედფორდმა“ „ჩარლტონთან“ 0:2 წააგო და ახლა ერთობ რთულ სიტუაციაშია — ბოლო ადგილიდან მხოლოდ ორი ქულა აშორებს. კლუბის თავმჯდომარე ჯეფრი რიჩმონდმა ამას წინათ ჰაჩინგსი გააფრთხილა, რომ თუ კრიზისს ვერ დასძლევდა, მოხსნიდა. მწვრთნელმა ვერაფერი შეძლო და თანამდებობაც დაკარგა. მასთან ერთად თანაშემწე მალკოლმ შატონიც გაათავისუფლეს.

**ურუგვაელი** ხორხე კასანოვა „ლეჩემ“ სეზონის ბოლომდე „რავენაში“ გაანათხოვრა. 24 წლის ფეხბურთელი „ლეჩეში“ შარშან ჩაირიცხა და წინა სეზონში გუნდში მხოლოდ ორჯერ ითამაშა.

**ინგლისურმა** „საუთჰემპტონმა“ ფორვარდი სტიუარტ რიპლი ერთი თვით „ბარნსლიში“ გაანათხოვრა. ნაკრების ყოფილი მოთამაშე „საუთჰემპტონში“ ორი წლის წინ „ბლექბერნიდან“ ჩაირიცხა, თუმცა გლენ ჰოდლი 32 წლის ფეხბურთელს ახლა არ ათამაშებს. „საუთჰემპტონიდან“ კიდევ ერთი ფეხბურთელი წავიდა: სამუშაო ვიზის მოუგვარებლობის გამო კოტდივუარელი ფორვარდი პატრის ტანო იძულებული გახდა, კლუბი დაეტოვებინა. 18 წლის ფეხბურთელი პრემიერლიგელებს ივლიში თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.

**არგენტინელი** მეკარე კარლოს როა მხრის ტრავმის გამო სავარაუდოდ მთელ სეზონს გამოტოვებს. „მალიორკას“ კარის დარაჯს ოპერაცია გაუკეთეს. „ფეხბურთელი დაახლოებით ექვს კვირას გაუნძრევლად უნდა იწვეს, შემდგომ სარეაბილიტაციო კურსს კი დაახლოებით ექვსი თვე დასჭირდება“ — იუწყება როას ექიმი.

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაცია მოითხოვს, რომ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში სამმა ესპანურმა კლუბმა ითამაშოს, მონაწილეთა რიცხვი კი 16-მდე გაზარდონ. შეგახსენებთ, რომ გაისად ეს ტურნირი სწორედ ესპანეთში ჩატარდება. იგი 28 ივლისს დაიწყება და 12 აგვისტომდე გასტანს, სულ კი 12 გუნდი ითამაშებს. ესპანეთს ჩემპიონთა თასის მფლობელი მადრიდის „რეალი“ და ქვეყნის ჩემპიონი „დეპორტივო“ წარადგენენ. თუ ფედერაციის მოთხოვნა დააკმაყოფილეს, მესამე „ბარსელონა“ იქნება. წესდებაში ცვლილებების შეტანა 31 იანვრამდე შეიძლება. საკითხს მალე ფიფა განიხილავს.

**ამერიკელმა** მეკარემ ბრედ ფრიდელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და „ბლექბერნ როვერსში“ ჩაირიცხა, თუმცა „ლივერპულის“ კარის ყოფილ დარაჯს უახლოეს ტურებში ალბათ არ ათამაშებენ. „სასიხარულოა, რომ ბრედი „ბლექბერნში“ ჩაირიცხა. დღეს მან გუნდთან ერთად ივარჯიშა, თუმცა არა მგონია, პირდაპირ სასტარტოში დავაყენო, კარგა ხნის უთამაშებელია და ფორმის აღდგენა სჭირდება“ — თქვა „ბლექბერნის“ მწვრთნელმა გრემ სუნესმა.

**კანადელ** კევინ მაკკენას, რომელიც გერმანული ბუნდესლიგის „კოტბუსის“ საკუთრებაა, ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეპატიჟება. 20 წლის მცველმა წლეულს „კოტბუსის“ მაისურა სულ ერთხელ, ბრემენის „ვერდერთან“ მატჩში მოირგო, თუმც მანჩესტერელთა თავკაც ალექს ფერგიუსონს ეს ამბავი არ ანაღვლებს. მაკკენა ნიჭიერი ფეხბურთელია და მისი კლუბში გადმოყვანა მსურსო, უთქვამს მწვრთნელს ინგლისური გუნდის ბოსებისთვის. მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და თურმე ყველაფერი გადაწყვეტილია, ერთის გარდა: „მანჩესტერელებმა იციან, ჩვენ რამდენსაც ვითხოვთ. ჰოდა, გადაგვიხადონ და ფეხბურთელი მათი იყოს“ — განუცხადა პრესას „კოტბუსის“ მენეჯერმა კლაუს შტაბახმა.

# ოქტომბრის ანბანი

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად გამოკითხვა მოაწყო. რეფერენდუმში მონაწილე ჟურნალისტებმა 1999-2000 წლების სეზონის რჩეული მოთამაშე დაასახელეს. საპატიო წოდება ბუენოს აირესის „რივერ პლეიტის" ნახევარმცველმა პაბლო აიმარმა მოიპოვა.

ბულგარეთის ჩემპიონატში სოფიური დერბის — ცსკა-სა და „ლევსკის" შეხვედრის შემდეგ სტადიონის ახლობლად ტრაგედია დატრიალდა. [illegible]ვანმა ფანმა კაფეში კვამლდენი ბომბი შეაგდო. იქ მყოფი ერთ-ერთი ახალგაზრდა საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა ვერ უშველეს და გარდაიცვალა. გიჟმაჟმა ფანებმა მატჩის დროს მინდორზე სკამები გადაყარეს და სტადიონის ტაბლოც დააზიანეს.

გერმანულ „კაიზერსლაუტერნს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. ოტო რეჰაგელის მემკვიდრედ კლუბის ხელმძღვანელობამ წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ანდრეას ბრემე გამოაცხადა. ბუნდესნაკრების ყოფილ მოთამაშეს თავისი საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი სწორედ ამ გუნდში გაუტარებია.

დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელობამ ახალი გადაწყვეტილება მიიღო — კლუბი სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა. ამ გზით დორტმუნდელთა პრეზიდენტი გერდ ნიებაუმი კლუბში დამატებითი სახსრების მოზიდვას აპირებს.

ემერსონ ლეაო ბრაზილიის ნაკრების ახალი მწვრთნელია. იგი წარსულში ეროვნული გუნდის კარს იცავდა და მსოფლიოს ორ პირველობაზეც ითამაშა — 1974 წელს გერმანიაში და 1978 წელს არგენტინაში, სადაც ნაკრებს კაპიტნობდა კიდეც. 13 წელიწადია, ლეაო სხვადასხვა კლუბებს წვრთნის და თავის დამოძღვრილებს ყოველთვის შემტევი ფეხბურთისკენ მოუწოდებს.

ვატიკანში კათოლიკეთა უპირველეს სულიერ წინამძღვარს, რომის პაპს, იოანე პავლე მეორეს იტალიის ჩემპიონ „ლაციოს" დელეგაცია ეწვია — მწვრთნელი, ფეხბურთელები და პრეზიდენტი. პაპს „ლაციოს" ფორმა უსახსოვრეს, 80-ნომრიანი მაისური, რომელზეც მისი გვარი ვოიტილა ეწერა.

ზოგ ქვეყანაში მისი ჩასვლის დღე უქმედ ცხადდებოდა, მას ხვდებოდნენ პრეზიდენტები, დიქტატორები, მეფეები... იმიტომ, რომ თავადაც მეფე იყო. თუმცა რატომ იყო? პელე ახლაც მეფეა. ფეხბურთის მეფე, რომელიც 60 წლისა გახდა.

თორმეტწლიანი შესვენების შემდეგ მადრიდში დიდი ფეხბურთი დაბრუნდა. უცნაურია, მაგრამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას 1988 წლის მერე სანაკრებო მატჩის დედაქალაქში გამართვა არ უნებებია. ის ბოლო შოტლანდიასთან ამხანაგური შეხვედრა გახლდათ. მონატრებულმა მადრიდელებმა „სანტიაგო ბერნაბეუს" მიაშურეს და იხილეს, თუ როგორ მოუგო 2:0 ესპანეთმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი ისრაელს.

იტალიის ნაკრების ძველი კაპიტანი და „მილანის" ლეგენდა ფრანკო ბარეზი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ XX საუკუნის საუკეთესო იტალიელ ფეხბურთელად დაასახელა. დანარჩენი კანდიდატები იყვნენ: ჯუზეპე მეაცა, ვალენტინო მაცოლა, რობერტო ბაჯო, ჯამპიერო ბონიპერტი, ჯიჯი რივა, პაოლო როსი, დინო ძოფი, ჯანი რივერა და სილვიო პიოლა.

კოკაინის აქტიური მომხმარებელია — ასეთი იყო ანალიზის პასუხი, რის შედეგადაც კრისტოფ დაუმმა „ლევერკუზენის" მწვრთნელის პოსტი დატოვა და ფლორიდას მიაშურა (მის ნაცვლად გუნდი დროებით რუდი ფიოლერს ჩააბარეს), მერე კი განაცხადა: „ტესტმა დაადასტურა, რომ ნარკოტიკს მოვიხმარ, მაგრამ მისი შედეგების სისწორეში ეჭვი მეპარება. ვეცდები, ხელმეორე ანალიზის საშუალებით ჩემი სიმართლე დავამტკიცო".

ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა ალფრედო დი სტეფანომ ბუდაპეშტის საავადმყოფოში ფერენც პუშკაში მოინახულა. წარსულში ისინი „რეალის" ღირსებას იცავდნენ. „ორი ძველი მეგობრის შეხვედრა ძალიან ამაღელვებელია, განსაკუთრებით ახლა, როცა ფერენცი ავადაა" — თქვა პუშკაშის მეუღლემ. დიდ უნგრელს, რომელიც 73 წლისაა, სკლეროზის რთული ფორმა აღმოაჩნდა.



„ლაციოს" გულშემატკივარი რომის პაპი და „ლაციოს" მცველი სინიშა მიხაილოვიჩი

მარჩელო ლიპი „ინტერის" მწვრთნელობიდან მოხსნეს. მიზეზი გუნდის სუსტი თამაშია. „როდესაც „იუვენტუსიდან" წავედი, სამი თვის მანძილზე არავის არაფერზე დაველაპარაკებივარ. ახლა უფრო მეტი ხნით დავდუმდები და ჯერ არსად ვიმუშავებ" — განაცხადა 52 წლის სპეციალისტმა. „ინტერში" მის ნაცვლად იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი მარკო ტარდელი დანიშნეს.

ნაკრების მწვრთნელობა უმძიმესი ტვირთია, მე მას ვერ მოვერიე, ვგრძნობ, რომ უნდა წავიდე" — განაცხადა ინგლისელთა თავკაცმა კევინ კიგანმა და აზრი აღარ შეუცვლია. ეს ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, გერმანიასთან მარცხის შემდეგ მოხდა. თანაც ეს მატჩი უკანასკნელი იყო ძველ „უემბლიზე". მალე სტადიონს დაანგრევენ და თანამედროვე არენას ააგებენ.

ორი მეზობელი ერთმანეთს წაეკიდა და შედეგად ერთმა მეორე მოკლა. ერთი „რეალის" ქომაგი იყო, მეორე — „ბარსელონასი". რეალელმა „ლიდსი" — „ბარსელონას" თამაშს ბოლომდე არ უყურა და ჩათვალა, რომ მისთვის საზიზღარი კატალონიური კლუბი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. გავიდა ქუჩაში და ბარსელონელს მისძახა, შენი საყვარელი გუნდი ჩარჩაო. ის კი არ იცოდა, რომ დამატებულ წუთებზე „ბარსამ" ანგარიში გაათანაბრა და გავარდნას ჯერჯერობით გადაურჩა. მოკლედ, რეალელმა და ბარსელონელმა იჩხუბეს და რეალელმა ბარსელონელი სიცოცხლეს გამოასალმა. ეს ყველაფერი მადრიდსა და ბარსელონაში კი არა, პატარა ესპანურ ქალაქ ვილიარ ჩინჩილიაში მოხდა.

პროფესიონალ ფეხბურთელებს მაქსიმალურ მოთხოვნებს გვიყენებენ, გადაჭარბებულსაც კი. ვერც ერთი სპორტსმენი ვერ შეძლებს ორი დღის შუალედით, ყოველ მესამე დღეს თამაშს— შეშფოთებულია საფრანგეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" ნახევარმცველი ემანუელ პეტი.

ჟანდარმივით ქუდი ეხურა, ამაყად იჯდა სათადარიგოთა სკამზე — მან ხორვატიას მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოაგებინა. ახლა კი მიროსლავ ბლაჟევიჩი მოხსნეს. „პრესამ ყველაფერი იღონა ჩემი ავტორიტეტის შესალახად. იძულებული ვარ, წავიდე" — განაცხადა სპეციალისტმა. ამბობენ, ბლაჟევიჩის წასვლაში პოლიტიკაც ურევიაო.

რუმინეთის დედაქალაქიდან 60 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ოლტენიტაში ადგილობრივი გუნდისა და ბუქარესტის „დინამოს" ამხანაგური მატჩის დროს გარდაიცვალა „დინამოსა" და რუმინეთის ნაკრების ნახევარმცველი კატალინ ჰილდანი. სამედიცინო დასკვნით, მას გულმა უმტყუნა.

სიდნეის ოლიმპიადიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ნაკრების (ოლიმპიურის და ეროვნულის) მწვრთნელის თანამდებობა დაკარგა. ბრაზილიელთა მოთმინების ფიალა ოლიმპიადის მეოთხედფინალში ცხრაკაციან კამერუნთან დამარცხებამ აავსო.

ტელეშოუში მიიწვიეს დევიდ ბექემი. BBC 1-ზე მაიკლ პარკისონის ტოკ-შოუს სტუმარს აურაცხელი კითხვა დაუსვეს. მისის ბექემს ანუ ვიქტორია ადამსს ადრე გაუმხელია, დევიდს ძალიან უყვარს ჩემი ლიფის ტარებაო. ამაზე ნახევარმცველმა უპასუხა: „ვიქტორიას ლიფს არასდროს ვხმარობ... საჯაროდ. და საერთოდ, მე უფრო დიდი მკერდი მაქვს".

უელსელი რაიან გიგზი „მანჩესტერ იუნაიტედის" მეპატრონე პიტერ კინიონთან მოლაპარაკებას აწარმოებს და მალე, შესაძლოა, ახალ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი. თუ ასე მოხდა, იგი გუნდში ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშე გახდება და კაპიტან როი კინსაც აჯობებს. გიგზი კვირაში 55 ათას გირვანქას მიიღებს.

ფრანჩესკო ტოტიმ სულ ახლახან ოდინდელი ოცნება გაამხილა. „რომას" ქომაგთა კერპს თურმე ძალიან სდომებია მადრიდის „რეალში" თამაში. მან ისიც თქვა, გაბრიელ ბატისტუტაზე ნაკლებ ხელფასს რატომ უნდა მიხდიდნენ, ჯამაგირი გამიზარდონ, თორემ რომს საერთოდ დავტოვებო.

ქურდი დაიჭირა ფრანკ ლებეფმა. 32 წლის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მალაზიასთან მისეირნობდა, როცა დაინახა გაქცეული კაცი და მისკენ თითგაშვერილი დაშინებული ქალი, რომელიც გაჰკიოდა, ქურდი დაიჭირეთო. ლებეფმა დამნაშავეს მუშტი გაარტყა, შემდეგ კი პოლიციას ჩააბარა.

ღარიბი და წყალწაღებულია არგენტინული კლუბი „ალმაგრო", დიეგო მარადონას მწვრთნელობა კი შესთავაზა. დიდი არგენტინელიც დათანხმდა, თან განაცხადა: „ალმაგრო" მთლად ის არ არის, რაც მსურდა, თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ. მთელ ჩემს ცოდნას გამოვიყენებ გუნდის გადასარჩენად".

ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებისთვის ხუან სებასტიან ვერონი და „ლაციოს" ხელმძღვანელები შესაძლოა დაისაჯონ. გამომძიებელი ბრალს სდებს არგენტინელს, რომ მან იტალიის მოქალაქეობა არაკანონიერად მიიღო, რათა ევროკავშირელი გამხდარიყო და დაწესებული ლიმიტი მასზე არ გავრცელებულიყო. ვერონის საქმე უკვე სასამართლოს გადაეცა.

შარშანდელი ნოემბრის შემდეგ უმუშევარი ჯონ ტოშაკი ფრანგული „სენტ ეტიენის" მწვრთნელად დაინიშნა. უელსელის კონტრაქტი ათთვიანია. მადრიდის „რეალის" ყოფილმა თავკაცმა პოსტი წინა კვირაში გათავისუფლებული რობერ ნუზარესგან ჩაიბარა. „სენტ ეტიენს" 80-წლიანი ისტორია აქვს, გუნდი ათჯერ გამხდარა საფრანგეთის ჩემპიონი, ხოლო ექვსჯერ ქვეყნის თასი მოუგია. ტოშაკი კლუბის ისტორიაში 23-ე მწვრთნელია.

ჩვენი ყველაზე სახიფათო მეტოქე საქართველოა — აღნიშნა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ ანკონაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ. მისმა შეგირდებმა ქართველები 2:0 დაჯაბნეს, ორივე გოლი პენალტით გავიდა. დუბლი ალესანდრო დელ პიერომ მიითვალა.

ცოტა ხანში 38 წლისა გავხდები, შორს არაა ის დრო, როცა კარიერას დავასრულებ. მსურს, ალან შირერივით ჯერ ნაკრებს გამოვეთხოვო, შემდეგ კი კლუბს. ისე, ჩემი მეუღლე თვლის, რომ სულ მცირე ორი წელი კიდევ შემიძლია თამაში — წერს თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის" მეკარე დევიდ სიმენი. ამ წიგნს „უსაფრთხო ხელები" ჰქვია.

ძნელად თუ მოძებნით ფეხბურთელს, რომელსაც მოკლე დროში ოთხი კლუბი გამოეცვალოს. აი, ჟორჟ ვეამ კი ეს მოახერხა. იგი ჯერ „მილანიდან" „ჩელსიში" გაანათხოვრეს, თუმცა იქ დიდხანს არ დარჩენილა და „სიტიში" ჩაირიცხა, მერე კი „მეინ როუდზეც" აიცრუა გული და „მარსელში" წავიდა.

წავალ სამშობლოში, თუ ჩემი თამაშით უკმაყოფილო ხართ. მზად ვარ, „ბარსელონა" დავტოვო. რაც ხელფასი მომიმატეს, მუდმივ ზეწოლას განვიცდი — დაიჩივლა რივალდომ. მის განცხადებას „ბარსას" ვიცე-პრეზიდენტი ხომე ლოსადო ასე გამოეხმაურა, ჩვენ მაგას ფეხბურთის თამაშში ვუხდით ფულს და არა იმიტომ, რომ პირი მოალოსო.

ჭირივით ეზიზღებათ ბარსელონელებს ფიგუ. ვერასოდეს აპატიებენ თავიანთ ყოფილ კერპს იმას, რომ „რეალის" ბანაკში ჩაირიცხა. პორტუგალიელს, ალბათ, ცხოვრების ბოლომდე არ დაავიწყდება პირველი დაბრუნება „კამპ ნოუზე", როცა ერთმანეთს „რეალი" და „ბარსელონა" შეხვდნენ. კატალონიელებს მისთვის სტვენა და გინება არ დაუკლიათ. ბარსელონელთა ტრანსპარანტებზე ეწერა: „ჩვენ გვაქვს 56 მილიონი მიზეზი, რათა გვძულდე, იუდავ!"

ხესუს ხილი ხილს ესპანეთის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა: ექვსთვიანი პატიმრობა, მილიონი პესეტა (ხუთი ათასი დოლარი) ჯარიმა და 28 წლით არჩევით თანამდებობაზე მუშაობის აკრძალვა. „ატლეტიკოს" ხელმძღვანელმა კიდევ ადვილად დაიძვრინა თავი — პროკურორის წაყენებული ბრალდება რომ დამტკიცებულიყო, მინიმუმ 29-წლიანი პატიმრობა არ ასცდებოდა.

ჯოვანი ტრაპატონის თანაშემწე იტალიის ნაკრებში კლაუდიო ჯენტილე ამიერიდან ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდს უთავკაცებს. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა პოსტი „ინტერში" გადასული მარკო ტარდელისგან ჩაიბარა.

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ელეკ შვარცი, რომელიც გუნდს 1957-დან 1964 წლამდე ავარჯიშებდა, 91 წლის გარდაიცვალა. მისი თავკაცობით ნაკრებმა 19 თამაში მოიგო, 12 ფრედ დაასრულა და 18 წააგო. ელეკი სიამაყით იხსენებდა: „პელესდროინდელი ბრაზილიის ნაკრები დავამარცხეთ, მოვუგეთ საფრანგეთსაც, ხოლო როტერდამში ბელგია 7:1 გავანადგურეთ"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიტვა

36-ე ტური: კაუნასი — ბანგა 8:1; ნევეჟისი — ჟალგირისი 0:0; ეკრანასი — კარედა 3:2; პოლონია — დაინავა 0:0; ინკარასი — ატლანტასი 3:2

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 36 | 26 | 8 | 2 | 115:24 | 86 |
| ჟალგირისი | 36 | 25 | 8 | 3 | 108:28 | 83 |
| ატლანტასი | 36 | 21 | 4 | 11 | 70:45 | 67 |
| ეკრანასი | 36 | 18 | 8 | 10 | 57:31 | 62 |
| კარედა | 36 | 17 | 9 | 10 | 56:49 | 60 |
| ნევეჟისი | 36 | 11 | 14 | 11 | 31:44 | 47 |
| დაინავა | 36 | 8 | 9 | 19 | 34:66 | 33 |
| პოლონია | 36 | 6 | 7 | 23 | 27:82 | 25 |
| ინკარასი | 36 | 5 | 6 | 25 | 28:95 | 21 |
| ბანგა | 36 | 3 | 7 | 26 | 19:81 | 16 |

„პოლონია", „ინკარასი" და „ბანგა" გავარდნენ, „ნევეჟისი" და „დაინავა" ქვედალიგელებთან პლეი ოფს ითამაშებენ.

## რუმინეთი

მე-12 ტური: უნივერსიტატია — ბაკეუ 1:0; რაპიდი — ოცელული 2:1; ბრაშოვი — როკარი 2:0; გლორია — დინამო 3:1; ფორესტა — პეტროლული 3:1; ასტრა — არჯეში 2:0; ნაციონალი — გაც მეტანი 1:0; სტიაუა — ჩაპლაული 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 12 | 7 | 3 | 2 | 24:16 | 24 |
| უნივერსიტატია | 12 | 7 | 3 | 2 | 15:10 | 24 |
| ბრაშოვი | 12 | 6 | 3 | 3 | 8:5 | 21 |
| პეტროლული | 12 | 6 | 2 | 4 | 18:14 | 20 |
| დინამო | 12 | 5 | 3 | 4 | 21:19 | 18 |
| არჯეში | 12 | 5 | 3 | 4 | 15:14 | 18 |
| რაპიდი | 12 | 4 | 5 | 3 | 13:11 | 17 |
| ასტრა | 12 | 5 | 2 | 5 | 13:12 | 17 |
| ფორესტა | 12 | 4 | 5 | 3 | 17:17 | 17 |
| ოცელული | 12 | 4 | 3 | 5 | 17:17 | 15 |
| გლორია | 12 | 4 | 3 | 5 | 12:15 | 15 |
| ნაციონალი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:18 | 14 |
| როკარი | 12 | 4 | 2 | 6 | 18:21 | 14 |
| ბაკეუ | 12 | 3 | 4 | 5 | 16:18 | 13 |
| ჩაპლაული | 12 | 2 | 4 | 6 | 12:21 | 10 |
| გაც მეტანი | 12 | 1 | 3 | 8 | 7:13 | 6 |

## უნგრეთი

### მეორე ეტაპი

1-ლი ტური: ტატაბანია — შოპრონი 2:2; დიორ ეტო — ჰონვედი 3:2; ვიდეოტონი — ფერენცვაროში 0:0; დებრეცენი — ვაშაში 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშაში | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 7 |
| ტატაბანია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 7 |
| მტკ | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 6 |
| დიორ ეტო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 5 |
| დუნაფერი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |
| უიპეშტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |
| ფერენცვაროში | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 5 |
| შოპრონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 4 |
| ვიდეოტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 3 |
| დებრეცენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ზალაეგერსეგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 1 |
| ჰონვედი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 1 |

## არგენტინა

მე-13 ტური: ბოკა ხუნიორსი — როსარიო სენტრალი 3:3; ხიმნასია ლა პლატა — რივერ პლეიტი 2:2; რასინგი — ურაკანი 2:2; ჩაკარიტა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 2:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — ლანუსი 1:0; ლოს ანდესი — ესტუდიანტესი 1:0; ბელგრანო — ალმაგრო 1:0; სან ლორენსო — ტალერესი 1:1; უნიონი — ველეზ სარსფილდი 1:1; არგენტინოს ხუნიორსი — კოლონი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 14 | 9 | 5 | 0 | 30:14 | 32 |
| ლა პლატა | 13 | 8 | 4 | 1 | 29:20 | 28 |
| ტალერესი | 13 | 8 | 3 | 2 | 23:13 | 27 |
| რივერ პლეიტი | 13 | 6 | 6 | 1 | 26:14 | 24 |
| სან ლორენსო | 13 | 7 | 2 | 4 | 25:15 | 23 |
| კოლონი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:14 | 21 |
| ველეზი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:12 | 20 |
| ურაკანი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:15 | 19 |
| ესტუდიანტესი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:12 | 19 |
| ჩაკარიტა | 13 | 5 | 3 | 5 | 10:12 | 18 |
| ოლდ ბოიზი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:17 | 16 |
| უნიონი | 13 | 3 | 6 | 4 | 10:12 | 15 |
| ბელგრანო | 13 | 2 | 8 | 3 | 16:16 | 14 |
| ლოს ანდესი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:31 | 12 |
| არგ. ხუნიორსი | 13 | 1 | 8 | 4 | 11:17 | 11 |
| როსარიო | 13 | 2 | 5 | 6 | 20:27 | 11 |
| ინდეპენდიენტე | 13 | 2 | 4 | 7 | 11:17 | 10 |
| რასინგი | 13 | 1 | 7 | 5 | 9:17 | 10 |
| ლანუსი | 13 | 2 | 3 | 8 | 15:21 | 9 |
| ალმაგრო | 13 | 0 | 5 | 8 | 5:18 | 5 |

## იტალია

სერია C1A. X ტური

მოდენა 2:0 რეჯანა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ხუთშაბათს, 9 ნოემბერს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

**ინგლისი. I დივიზიონი**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | ბარნსლი-ბლექბერნი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 006 | ნოტინგემი-ჰადერსფილდი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 007 | ნოტინგემი-ჰადერსფილდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 011 | ვასკეალი-კანი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

**პოლონეთი. ლიგის თასი**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 013 | პოლონია-ზაგლებე | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**დანია. თასის 1/8 ფინალი**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 014 | ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 015 | ვაილე-აკადემისკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 016 | ოლბორგი-სილკებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**ჩემპიონთა ლიგა. მე-6 ტური**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 509 | პანათინაიკოსი-იუვენტუსი | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 23.45 | 510 | ჰამბურგი-დეპორტივო | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 23.45 | 511 | რუსენბორგი-ბაიერნი | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 23.45 | 512 | ჰელსინგბორგი-პარი სენ ჟერმენი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 513 | მანჩესტერი-დინამო | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.45 | 514 | პსვ ეინდჰოვენი-ანდერლეხტი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 515 | მილანი-ლიდსი | 1,9 | 1,9 | 5,0 |
| 23.45 | 516 | ბარსელონა-ბეშიქთაში | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**უეფას თასი. საპასუხო მატჩები**

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 521 | გენკი-ვერდერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 522 | სლავია-ოფი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 21.00 | 523 | ინტერი (ბრატისლავა)-ლოკომოტივი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 524 | შტუტგარტი-ტიროლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 525 | მტკ-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 526 | პაოკ-უდინეზე | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 21.15 | 527 | რომა-ბოავიშტა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.00 | 528 | დინამო (ზაგრები)-პარმა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 529 | ვიბორგი-რაიო ვალეკანო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 530 | ფეიენოორდი-ბაზელი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 531 | ლიბერეცი-ლივერპული | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 23.15 | 532 | სენტ გალენი-ბრიუგე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.15 | 533 | კაიზესლაუტერნი-ირაკლისი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.15 | 534 | ალავესი-ლილესტრიომი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 535 | სელტიკი-ბორდო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 536 | ვიტესი-ინტერი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 23.45 | 537 | აიაქსი-ლოზანა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 538 | გრაცერი-ესპანიოლი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 00.30 | 539 | სელტა-ცრვენა ზვეზდა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 540 | პორტუ-ვისლა | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 705 | გენკი | -10,0 | ვერდერი | -1,02 |
| 19.30 | 706 | სლავია | -1,2 | ოფი | -3,1 |
| 21.00 | 707 | ინტერი (ბრატისლავა) | -3,1 | ლოკომოტივი | -1,2 |
| 21.00 | 708 | შტუტგარტი | -1,3 | ტიროლი | -2,0 |
| 21.00 | 709 | მტკ | -4,0 | ნანტი | -1,15 |
| 21.00 | 710 | პაოკ | -4,0 | უდინეზე | -1,1 |
| 21.15 | 711 | რომა | -1,01 | ბოავიშტა | -15,0 |
| 22.00 | 712 | დინამო (ზაგრები) | -10,0 | პარმა | -1,02 |
| 22.30 | 713 | ვიბორგი | -4,0 | რაიო ვალეკანო | -1,15 |
| 23.00 | 714 | ფეიენოორდი | -1,05 | ბაზელი | -7,5 |
| 23.00 | 715 | ლიბერეცი | -5,0 | ლივერპული | -1,1 |
| 23.15 | 716 | სენტ გალენი | -2,3 | ბრიუგე | -1,4 |
| 23.15 | 717 | კაიზესლაუტენი | —— | ირაკლისი | -25,0 |
| 23.15 | 718 | ალავესი | —— | ლილესტრიომი | -25,0 |
| 23.45 | 719 | სელტიკი | -1,35 | ბორდო | -2,3 |
| 23.45 | 720 | ვიტესი | -2,5 | ინტერი | -1,25 |
| 23.45 | 721 | აიაქსი | -1,25 | ლოზანა | -2,8 |
| 23.45 | 722 | გრაცერი | -15,0 | ესპანიოლი | -1,01 |
| 00.30 | 723 | სელტა | -1,3 | ცრვენა ზვეზდა | -2,5 |
| 01.30 | 724 | პორტუ | -1,1 | ვისლა | -4,0 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 801 | ირაკლისი-პლანია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 802 | ალბა-რაანანა | 1,5 | 12,0 | 2,0 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 803 | ულქერი-ვილერბანი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 21.00 | 804 | პარტიზანი-სკავოლინი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 22.00 | 805 | ლიეტუვოს რიტასი-ცსკა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 23.00 | 806 | მაკაბი-ეფესი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 807 | სპლიტი-ცეპტერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 808 | კრკა-ბაიერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 809 | სიენა-პანათინაიკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 810 | პო ორტეზი-ოსტენდე | 1,1 | 12,0 | 4,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 811 | აეკ-ციბონა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 812 | პეტერბურგი-ტაუ | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 22.30 | 813 | შარლერუა-კინდერი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 23.00 | 814 | სკაილაინერსი-მიულერი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 815 | რეალი-ბენეტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 816 | ბუდუჩნოსტი-პაოკ | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 24.00 | 817 | ლონდონი-ბარსელონა | 3,1 | 12,0 | 1,2 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 818 | ჰაპოელი-ოლიმპია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.15 | 819 | ლუგანო-ჟალგირისი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 23.30 | 820 | ფორტიტუდო-ესტუდიანტესი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 821 | ზადარი-პერისტერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 00.00 | 822 | ოვარენსე-ოლიმპიაკოსი | 4,0 | 12,0 | 1,15 |

**კალათბურთი**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 829 | ინდიანა-მილუოკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 830 | ფილადელფია-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 24.00 | 831 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 24.00 | 832 | მაიამი-სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 833 | ნიუ იორკი-კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 24.00 | 834 | ორლანდო-შარლოტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 24.00 | 835 | დალასი-ვანკუვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 24.00 | 836 | სან ანტონიო-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 24.00 | 837 | დენვერი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 838 | კლიპერსი-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 24.00 | 839 | საკრამენტო-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 840 | შარლოტი-სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 841 | ნიუ ჯერსი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 842 | მინესოტა-ფილადელფია | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 24.00 | 843 | ჩიკაგო-ორლანდო | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 24.00 | 844 | ჰიუსტონი-ვანკუვერი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 24.00 | 845 | ფინიქსი-ატლანტა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 24.00 | 846 | პორტლენდი-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**ჰოკეი**

**8 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 905 | პიტსბურგი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 906 | ტორონტო-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 907 | ნიუ ჯერსი-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 908 | ფლორიდა-მონრეალი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 909 | მინესოტა-კალგარი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 910 | ჩიკაგო-სან ხოსე | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 911 | ფინიქსი-დეტროიტი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 912 | ანაჰაიმი-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 913 | ბოსტონი-ოტავა | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 914 | ბუფალო-აილენდერსი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 915 | ფილადელფია-ედმონტონი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 916 | ვაშინგტონი-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 917 | კოლუმბუსი-სან ხოსე | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 918 | კოლორადო-სენტ ლუისი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 919 | ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**ქუთაისში**

**ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე**

პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

**ბათუმში**

**კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:**

მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

საქართველოს ჩემპიონატი

# V ტურის საუკეთესო მოთამაშე

## გიორგი მარხვაშვილი

ვითა-სტუ 2



**დრომ** ისე მოიტანა, რომ „ვითასგან“ „დინამოს“ ძლევა გვიკვირს. რატომაც არა, ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი მეათე ეროვნულს ყმაწვილკაცებით, უამბიციოდ შეეგება და ამ დღეში მყოფი ლევან მოსეშვილის „დინამოს“ რომ დაამარცხებდა, ნაკლებად მოსალოდნელი იყო. ქართული კალათბურთის ექსპლაგმანთა ჭიდილი „ვითა“ სტუ 2-ის სენსაციური გამარჯვებით დასრულდა. გელა წულაძის შეგირდებმა, რომ იტყვიან, თავი გადადეს, სახელიანი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ „დინამოს“ ტოლი არაფერში დაუდეს, მატჩი სასურველი სცენარით წარმართეს და სასურველივე შედეგით დაასრულეს.

ამ შეხვედრის მიხედვით „ვითას“ პროგრესზე საუბარიც უპრიანი იქნებოდა, მაგრამ თუკი ვინმეს წინსვლაზე უნდა ვისაუბროთ, უპირველესად, გიორგი მარხვაშვილზე უნდა ვთქვათ. „ვითასა“ და კადეტთა ნაკრების უკანახაზელი ამ მატჩში შეუდარებელი იყო, თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთა და „სარბიელის“ რჩეულიც, ვფიქრობთ, დამსახურებულად გახდა. მიმდინარე ჩემპიონატის ჯერჯერობით ყველაზე დიდი სენსაციის შემოქმედი ხომ სწორედ მარხვაშვილია.

გიორგის მატჩის სადავეები საიმედოდ ეპყრა ხელთ, ყოველ ეპიზოდში გონივრულად მოქმედებდა და თამაშის რიტმს აკონტროლებდა. ამპლუით გამთამაშებელი მარხვაშვილი თავისიანთა შეტევების წინამძღოლი იყო, პარტნიორებს თამაშს კარნახობდა და არც შავი სამუშაოს შესრულებას თაკილობდა. იგი ზუსტი და დროული პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს, სწრაფ პირველ შეტევაზე იყო დაგეშილი და ალღო არასოდეს ღალატობდა.

მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე გიორგის თავგამოდებამ 10-ქულიანი მარაგი შეუქმნა „ვითას“, „დინამომ“ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და თორთლაძის ძალისხმევით ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მარხვაშვილი მეტოქის ანკესზე არ წამოეგო, ტემპი დააგდო, ბურთი ხანგრძლივად ათამაშა და მიყოლებით ჯერ ნოე შანიძე დატოვა ხელსაყრელ პოზიციაში, შემდეგ გიორგი მდივანი. დროის მოგების მიზნით მარხვაშვილზე ამაოდ ჯარიმდებოდნენ დინამოელები — გიორგი საჯარიმო ხაზიდანაც ზუსტი იყო...

„მარხვა“ სადღეისაოდ ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ქართველ კალათბურთელად ითვლება. მის მიმართ ინტერესს ისიც აათკეცებს, რომ დღეს ჩვენს კალათბურთში არნახულად მწვავედ დგას გამთამაშებლის პრობლემა. მარხვაშვილი სწორედ ნომინალური გამთამაშებელია და თუ კარგად იშრომა, მალე ეროვნული ნაკრების კარსაც დიდსულოვნად გაუღებენ. საამისოდ კი მართლაც დიდი ჯაფა უნდა გასწიოს გიორგიმ, სამუშაო ჯერაც ბევრი აქვს და მთავარია, არ დაიზაროს, მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს. კარგი იქნება, თუ იგი სამომავლოდ მეტ ყურადღებას მიაქცევს თავდაცვას, თუ დაცვაში უფრო აგრესიული გახდება, შრომაც მეტად დაუფასდება.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მეფეები დაჭკვიანდნენ

6 ნოემბერი

**ორლანდო 110:99 სიეტლი**

**ორლანდო: მაკგრეიდი (31), არმსტრონგი (20), ამაეჩი (20)**

**სიეტლი: ლუისი (28), პეიტონი (23 ქულა, 10 პასი)**

**დენვერი 96:108 დალასი**

**დენვერი: ლაფრენცი (23)**

**დალასი: ფინლი (26), ნოვიცკი (18)**

**საკრამენტო 79:75 პორტლენდი**

**საკრამენტო: ვებერი (29), დივაცი (16 ქულა, 11 მოხსნა)**

**პორტლენდი: ვოლესი (24)**

**იუტა 98:92 მინესოტა**

**იუტა: მელოუნი (22 ქულა, 15 მოხსნა), სტარქსი (16)**

**მინესოტა: ბრენდონი (25), გარნეტი (22), ბილაფსი (19)**

**ვანკუვერი 97:87 ატლანტა**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (18), ჰარინგტონი (18)**

**ატლანტა: რაიტი (19 ქულა, 14 მოხსნა), ჰენდერსონი (19)**

ორ ნაწილად გაყოფილ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დასავლეთ ნახევარში უფრო ბევრ კარგ გუნდს მოუყრია თავი, ვიდრე აღმოსავლეთში, მაგრამ რამდენიმე მათგანის სადღეისო მდგომარეობას კარგს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

წინა სეზონის დასავლეთის ფინალისტს, უბრალოდ კი ნბა-ს პლეი ოფის ნახევარფინალისტ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“ თვალი ჩემპიონობაზე უჭირავს, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, იქნებ, პლეი ოფიც სანატრელი გაუხდეს. არა, ქვეყანაც რომ დაიქცეს, ეს გუნდი მაინც მოხვდება დასავლეთის საუკეთესო რვას შორის, მაგრამ ფაქტია, „პორტლენდმა“ რეგულარული სეზონის პირველ ოთხ შეხვედრაში სამჯერ დამარცხება მოასწრო, მათ შორის „საკრამენტოსთანაც“, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში შინაც და სტუმრადაც სასტიკად ამწარებდა. საკრამენტოელი „მეფეები“ შემტევ თამაშს ეტრფიან და ამის გამო ხშირად ისჯებიან. დაცვაში სანაქებოდ მოთამაშე „ბლეიზერსიც“ იოლად არღვევდა „კინგზის“ დაცვის ზღუდეებს და მასთან ბოლო თერთმეტი შეხვედრა მოუგია. ახლა კი, როგორც ჩანს, ჭკუა „მეფეებმაც“ ისწავლეს და საკუთარ ნახევარზე თამაშს მეტი ყურადღება დაუთმეს, შედეგად კი ბობოლა გუნდი ფეხებთან გართხმული იხილეს. „ჩვენ დაცვის წყალობით მოვიგეთ. ცუდად ვესროდით, ცუდად ვხსნიდით და ბურთსაც არცთუ რიგიანად ვათამაშებდით, მაგრამ დაცვაში კარგად გავისარჯეთ და შევძელით, მეტოქე გავეჩერებინა. თუ მომავალშიც ასე ვითამაშეთ, ნებისმიერს დავამარცხებთ“ — თქვა ნამატჩევს „საკრამენტოს“ იუგოსლაველმა ცენტრმა ვლადე დივაცმა.

ისე, ამ თამაშში ორივე გუნდის ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელ კალათბურთელებს წაუვიდათ სროლა. ერთ-ერთი დივაცი გახლავთ, რომელმაც თავისიანებს 16 ქულა მოუტანა და ამასთანავე საიმედოდ ამოკეტა „პორტლენდის“ ახალწვეულები — შონ კემპი და დეილ დევისი. „პორტლენდი“ ხსენებულ დუეტზე დიდ იმედებს ამყარებდა, თუმც „კინგზთან“ დევისმა და კემპმა ჯამში ათი ქულა შეაწიეს თავის გუნდს.

თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და ასეც გაგრძელდა. მასპინძლებმა მხოლოდ მესამე მეოთხედში მოახერხეს ცხრაქულიანი უპირატესობის მოპოვება. „პორტლენდში“ კი ვოლესის და პიპენის (13 ქულა) გარდა მატჩის ბედის შემოსაბრუნებლად ბრძოლის სურვილი არავის გამოუმჟღავნებია.

„პორტლენდის“ დღეშია „სიეტლ სუპერსონიქსი“. სეზონთაშორის პერიოდში „ზებგერითებმა“ ბებერი პატრიკ იუინგი ისე მოინდომეს, რომ მის სანაცვლოდ გუნდის ნახევარს შეელივნენ. „სიეტლს“ მისი დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ... ჯერჯერობით ნაკლებად ამართლებს. 38 წლის პატრიკმა მორიგი თამაში ჩააგდო, სულ შვიდი ქულა შეაშველა თავისიანებს. საკალათბურთო სიეტლის კულისებში კი უკვე ჟღერს ბოროტი ხმები. მაგ ბეხრეკის ფასი შვიდი კი არა, ერთი კალათბურთელიც არაა, არ ცხრებიან კრიტიკოსები და იუინგიც აძლევს მათ ამის თქმის საბაბს. სულ შვიდი ქულა „ორლანდოსთან“, რომლის ძირითადი ცენტრი ჯონ ამაეჩი, გარდა იმისა, რომ ფაქტობრივად თავდამსხმელია და არა ცენტრი, საერთოდაც ვერაა თუნდაც საშუალო დონის კალათბურთელი. მაგრამ ამ შეხვედრის მნახველი უცილობლად სხვაგვარად განსჯიდა. ამაეჩი, რომელიც 15-ჯერ ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე იუინგი, ფარიდან ამოდიოდა და საშუალო დისტანციებიდან წარმატებით ბომბავდა „სიეტლის“ კალათს. მისი მადევარი მოხუცებული იუინგი მალე დაიღალა და შეტევაშიც მოაკლდა თავისიანებს. ამის გამო „სიეტლმა“ მეორე თამაში თვალსა და ხელს შუა დაკარგა ის მცირეოდენი უპირატესობა, რომელიც პირველ ტაიმში გაჭირვებით მოიპოვა და ბოლოს წააგო კიდეც ოთხ თამაშში უკვე მესამედ.

არადა, „ორლანდომ“ გრანტ ჰილი მოისაკლისა, რომელსაც წინა სეზონის პლეი ოფში მიღებული ქუსლის ტრავმა გაუმიზეზდა და იგი დაშავებულთა სიაში შეიყვანეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰილი მინიმუმ ხუთ თამაშს გამოტოვებს. მის არყოფნაში ფლორიდელებს ამაეჩისთან ერთად მშველელად 21 წლის ტრეისი მაკგრეიდი მოევლინა. მაკგრეიდიმ ყმაწვილკაცური მონდომებით ბლომად ბურთები ტენა და 31 ქულასთან ერთად სხვაც ბევრი სარგებელი მოუტანა „მეჯიქს“. თვალს სტაცებდა ორი ამომავალი ვარსკვლავის, მაკგრეიდის და სიეტლელი რაშარდ ლუისის დუელი. გამთამაშებელთა ჭიდილშიც იმარჯვა მასპინძელმა. მართალია, დარელ არმსტრონგმა ოდნავ ნაკლები ქულა დააგროვა, ვიდრე სიეტლის ლიდერმა გერი პეიტონმა, მაგრამ სამაგიეროდ, ორლანდოელმა რიგიანად უმეურვევა მას და მრისხანე პეიტონს ოთხჯერ ააცალა ბურთი. ერთი სიტყვით, გამარჯვებას ორლანდოელები იმსახურებდნენ და არც გასჭირვებიათ მეტოქის ძლევა.

სხვა დასავლელ ბობოლათა წარუმატებლობის ფონზე იმარჯვა „იუტა ჯაზმა“. სტოქტონის, მელოუნის და კომპანიის დამარცხება ვერც „მინესოტამ“ მოახერხა, თუმც მთელი არსებით მიისწრაფვოდა ამისაკენ, ხოლო „იუტამ“ ზედიზედ მეოთხე მოგება მიითვალა.

ადრე „ჯაზი“ სტოქტონის მელოუნის და ჰორნაჩეკის გუნდად მოიხსენიებოდა, ახლა მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ სტოქტონის, მელოუნის და სტარქსისა. ჯონ სტარქსი კარგად მოერგო ახალ გუნდს და სოლტლეიკსიტელებს სულ არ აგრძნობინებს, რომ სნაიპერი ჯეფ ჰორნაჩეკი აღარ ჰყავთ. ამ მატჩის გმირიც ის გახდა. პირველ სამ მეოთხედში სტარქსს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია. მაგრამ ბოლო თორმეტწუთეულში აფეთქდა და 16 ქულიდან 14 ამ დროს ჩააგდო. სულ მეოთხედი კი მასპინძლებმა 29:14 მოიგეს. შეხვედრის დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე მინესოტა ექვსი ქულის სხვაობით 92:86 იგებდა, მაგრამ მრავალნაცადმა მასპინძლებმა შედარებით გამოუცდელ და ახალგაზრდა სტუმრებს — გარნეტს, ბრენდონს, ბილაფსს და შჩერბიაკს (16 ქულა) დარჩენილ დროში ბურთი არ ჩააგდებინეს, თავად კი 12 მიითვალეს. აქედან ექვსი სტარქსის ანგარიშზეა. „მათ თავს თავიანთი თამაში მოგვახვიეს, აგრესიულები იყვნენ და მატჩის სადავეებიც ხელთ იგდეს. ჩვენ კი მთელი ეს საღამო ვწვალობდით. მოვიგეთ იმის გამო, რომ მეტოქემ უბრალოდ, რამდენიმე მნიშვნელოვანი სროლა გააფუჭა“ — თავმდაბლობა გამოიჩინა „იუტას“ დამრიგებელმა და ამ გუნდის სულისჩამდგმელმა ჯერი სლოუნმა.

„ატლანტა ჰოქსის“ ზაირელ ცენტრს, დიკემბე მუტომბოს ჯერაც ვერ უჯობნია მშობლიურ ტროპიკულ აფრიკაში აკიდებული მალარიისთვის და ვინაიდან ამ გუნდს მუტომბოს გარდა ხეირიანი არავინ ჰყავს, ყოველ თამაშში წასაგებადაა განწირული. ბრძოლისუუნარო „ქორები“ ვანკუვერელ „დათვებთან“ უკვე პირველი ნახევრის შემდეგ აგებდნენ 14 ქულის სხვაობით, მიუხედავად იმისა, რომ მათი მეტოქე საშუალო გუნდებსაც კი არ განეკუთვნება. მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა უფრო საკუთარი თავი დაზოგეს, ვიდრე მეტოქე და „ატლანტამ“ მხოლოდ ათი ქულის სხვაობით წააგო.

გაწონასწორებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს „დალას მავერიქსი“. ათი წელია, ტეხასელები პლეი ოფში არ ყოფილან და დამშეულები ახლა იოლად ყლაპავენ მეტოქეებს. მათ დამაჯერებლად დასცეს არცთუ ურიგო „დენვერი“ მისსავე მოედანზე და შუადასავლეთის დივიზიონის ცხრილის ზედა ნახევარში პოზიცია გაიმყარეს.

**ირაკლი ფირცხვილი**

REUTERS



ორლანდო — სიეტლი. ორლანდოელი ჯონ ამაეჩი პატრიკ იუინგს წამოეპარა

ესპანეთი

# ფავორიტთა სასაძლაო

IV ტური

**ხირონა — რეალი 89:80, კაჰა სან ფერნანდო — კანტაბრია 90:76, ხიხონი — უნიკახა 73:88, ხუვენტუდი — ფუენლაბრადა 78:77, კასერესი — კანარიასი 86:62, ორენსე — ტაუ 84:86, ბარსელონა — პამესა 82:92, ფორუმი — კოსტაბლანკა 86:78, ესტუდიანტესი — ბრეოგანი 84:85**

**ესპანეთის** ჩემპიონატის მეოთხე ტური დაუმარცხებელი ლიდერ-ფავორიტების გამწარებით აღინიშნა. ესპანური კალათბურთის სამმა გრანდმა — მადრიდის „რეალმა“, მადრიდის „ესტუდიანტესმა“ და „ბარსელონამ“ წააგო, ამასთან, ორმა უკანასკნელმა — შინ.

„ბარსელონამ“ აქამდე მისებრ დაუმარცხებელ ვალენსიის „პამესას“ უმასპინძლა. კატალონიელები გამუდმებით წინ იყვნენ. ძირითადი დროის ბოლო წამზე ვალენსიელმა ბერნი ერნანდესმა ანგარიში გაათანაბრა (77:77) და მატჩი დამატებით დროში გაგრძელდა. იქ კი „ბარსელონას“ ყოფილმა მოთამაშემ გამოუსვა დანა — დერიკ ალსტონმა „პამესა“ ჯერ წინ გაიყვანა (83:82), შემდეგ კი ექვსი ქულა მიითვალა. ამ გამარჯვებით „პამესა“ ერთპიროვნულად გალიდერდა.

„ესტუდიანტესის“ ცოდვაც მისმა ყოფილმა წევრმა ხოზე მარია ანტუნესმა დაიდო. არადა, მადრიდელები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უგებდნენ ლუგოს „ბრეოგანს“. „ესტუდიანტესი“ ორჯერ რვა ქულით მოწყდა მეტოქეს (60:52, 68:60), მაგრამ ლუგოელები ანტუნესი და, ბონერი უფრო მეტად დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ.

დამთავრებამდე 5 წუთით ადრე „ესტუდიანტესი“ 77:70 იგებდა. გონსალო მარტინესმა, ვინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მადრიდელთა შორის, დარჩენილ დროში ექვსიდან ხუთი საჯარიმო გააცუდა. ის ერთადერთი სროლაც დამთავრებამდე 20 წამით ადრე გამოიყენა და „ესტუდიანტესი“ 84:83 დაწინაურდა. ლუგოელმა ანტუნესმა ბოლო წამზე მიიღო ბურთი და დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან ნახტომში ესროლა... მადრიდელი მაყურებელი მთელი მატჩის განმავლობაში აგინებდა ანტუნესს, ჰოდა, წარმოიდგინეთ, მატჩის მერე რაღა იქნებოდა, რადგან ბოლო ნასროლი ჩავარდა. „ესტუდიანტესის“ გულშემატკივრები კი იმიტომ ვერ იტანენ ანტუნესს, რომ იგი თავის დროზე ამ გუნდიდან მადრიდის „რეალში“ გადავიდა. „ესტუდიანტესის“ და „რეალის“ დაპირისპირება კი დაახლოებით „რეალ“-„ბარსელონასას“ უტოლდება.

თავად „რეალი“ კი ხირონაში ჩავიდა და აქამდე გაუმარჯვებელ გუნდთან წააგო. მადრიდელები თავიდან წინ იყვნენ (ტაიმი 37:33 მოიგეს), მაგრამ მესამე მეოთხედში „ხირონა“ ძლიერად ათამაშდა ფარქვეშ და ერთხან 16 ქულითაც დაწინაურდა. „რეალმა“ სხვაობა შვიდ ქულამდე კი შეამცირა, მაგრამ მატჩის გადარჩენა ვერ მოახერხა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პამესა** | 4 | 4 | 0 | 327:284 | 8 |
| **უნიკახა** | 4 | 3 | 1 | 358:281 | 7 |
| **კასერესი** | 4 | 2 | 2 | 294:284 | 6 |
| **ფორუმი** | 4 | 2 | 2 | 339:339 | 6 |
| **ბრეოგანი** | 4 | 2 | 2 | 331:343 | 6 |
| **ხუვენტუდი** | 4 | 2 | 2 | 309:322 | 6 |
| **კანარიასი** | 4 | 2 | 2 | 294:328 | 6 |
| **ბარსელონა** | 3 | 2 | 1 | 275:235 | 5 |
| **ესტუდიანტესი** | 3 | 2 | 1 | 267:250 | 5 |
| **ფუენლაბრადა** | 3 | 2 | 1 | 249:233 | 5 |
| **ტაუ** | 3 | 2 | 1 | 255:240 | 5 |
| **რეალი** | 3 | 2 | 1 | 243:234 | 5 |
| **ორენსე** | 4 | 1 | 3 | 308:323 | 5 |
| **სან ფერნანდო** | 4 | 1 | 3 | 310:326 | 5 |
| **ხირონა** | 4 | 1 | 3 | 316:340 | 5 |
| **კოსტაბლანკა** | 4 | 1 | 3 | 280:328 | 5 |
| **კანტაბრია** | 4 | 1 | 3 | 297:350 | 5 |
| **ხიხონი** | 3 | 1 | 2 | 236:248 | 4 |

## სლოვენია



კემოპლასტი — როგლა. კემოპლასტელი ილია პეტროვიჩი (№5) და მილოშ შპორარი

# უცუდესი სლოვანი

VII ტური

**პივოვარნა — ზაგორიე 92:70, ოლიმპია — ლოკა კავა 110:55, კრაშკი ზიდარი — კრკა 72:87, კემოპლასტი — როგლა 95:75, ტრიგლავი — სავინსკი 77:87**

**ჰელიოსი 78:73 სლოვანი**

**ჰელიოსი: პლევნიკი (27), ლაშკევიჩი (16), რ. ტრიფუნოვიჩი (14), კოშაკი (8), ზალოკარი (6), ზავოდნიკი (4), დ. ტრიფუნოვიჩი (2), ჟერაკი (1)**

**სლოვანი: ლაკოვიჩი (16), მარავიჩი (16), ბოისა (14), ნოვაკი (8), უგრეხელიძე (8), ჟაკელი (8), კოკალი (3), გრბეშიჩი, პავიჩი, ცქიტიშვილი**

**ლიუბლიანის** „სლოვანი" დომჟალეში ეწვია „ჰელიოსს" და, თუ ვლადიმერ ბოისას ვენდობით, ამ სეზონში ასე ცუდად არ უთამაშია. არადა, თავიდან ყველაფერი ქართველების გუნდისთვის სასურველად მიდიოდა. პირველ მეოთხედში „სლოვანი" 25:13 იგებდა და ინიციატივასაც ფლობდა.

დაიწყო მეორე მეოთხედი და, ამასთან, ერთად ლიუბლიანელთა კოშმარიც. მათ არაფერი გამოსდიოდათ, შორიდან ჩაგდებაზე აღარაფერს ვამბობთ, ხელიზედ შვიდჯერ ფარქვეშიდან ააცილეს. რვა წუთის განმავლობაში „სლოვანმა" ქულაც კი ვერ აიღო. „ჰელიოსმა" აღნიშნული მონაკვეთი 15:0 მოიგო, ხოლო მეოთხედი — 21:5.

მეორე ტაიმში „სლოვანი" რამდენჯერმე მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მისი მოთამაშეები ზუსტად ვერ ესროდნენ. ჰელიოსელები კი პირიქით, როცა საჭირო იყო, მაშინ განსაკუთრებით ყოჩაღობდნენ.

ქართველებიდან სასტარტო ხუთეულში ბოისა და დავით უგრეხელიძე იყვნენ. ნიკა ცქიტიშვილმა ექვსი წუთი ითამაშა. იგი მატჩის წინ გაცივდა და შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა. ბოისამ მუხლის ტრავმა მიიღო. მწვრთნელებმა და ექიმებმა მას დასვენება ურჩიეს და ვარჯიშებიდან გაათავისუფლეს. შესაძლოა ვლადიმერმა შემდეგ ტურში ვერ ითამაშოს. 11 ნოემბერს „სლოვანი" კრანის „ტრიგლავს" მასპინძლობს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კრკა | 7 | 7 | 0 | 633:520 | 14 |
| ოლიმპია | 7 | 6 | 1 | 652:455 | 13 |
| პივოვარნა | 7 | 5 | 2 | 633:540 | 12 |
| სლოვანი | 7 | 4 | 3 | 564:540 | 11 |
| კრაშკი ზიდარი | 7 | 4 | 3 | 539:566 | 11 |
| ჰელიოსი | 7 | 3 | 4 | 571:612 | 10 |
| სავინსკი | 7 | 3 | 4 | 565:624 | 10 |
| კემოპლასტი | 7 | 2 | 5 | 610:586 | 9 |
| ტრიგლავი | 7 | 2 | 5 | 550:584 | 9 |
| ზაგორიე | 7 | 2 | 5 | 532:615 | 9 |
| როგლა | 7 | 2 | 5 | 527:618 | 9 |
| ლოკა კავა | 7 | 2 | 5 | 528:644 | 9 |

## საბერძნეთი

III ტური

**არისი — პაოკ 65:70, ირაკლიონი — დაფნი 109:89, მილონი — ნიარ ისტი 93:92, აეკ — ირაკლისი 81:77, პერისტერი — მარუსი 85:77, პანიონიოსი — პანათინაიკოსი 84:75, ოლიმპიაკოსი — მაკედონიკოსი 105:89**

**საბერძნეთის** ჩემპიონ ათენის „პანათინაიკოსს" ერთი უცნაურობა დასჩემდა. როცა სუპერლიგაში აგებს, მაშინ ქვეყნის ჩემპიონატში იგებს, ან — პირიქით. სუპერლიგის ბოლო ტურში ათენელებმა ვროცლავის „ცეპტერი" დაამარცხეს. გავიდა ორი დღე „პანათინაიკოსმა" ჩემპიონატის მესამე ტურში „პანიონიოსთან" წააგო.

„პანიონიოსს" „პანათინაიკოსის" ყოფილი მწვრთნელი სლობოდან სუბოტიჩი თავკაცობს. მისმა შეგირდებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და სახელოვან მეტოქეს პირველი ტაიმი 37:27 მოუგეს. „პანიონიოსმა" ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და „პანათინაიკოსს" პირველი მარცხი აგემა. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ იორგოს დიამანტოპულოსი (25 ქულა) და ამერიკელი ჰარპერ ვილიამსი (21 ქულა). პანათინაიკოსელმა დეიან ბოდიროგამ 18 ქულა გააკეთა.

საბერძნეთის ჩემპიონატში ახლა სამი დაუმარცხებელი გუნდია — აეკ-მა, „ოლიმპიაკოსმა" და „პერისტერიმ" თავთავიანთი შეხვედრები მოიგეს და სატურნირო ცხრილშიც ამ თანმიმდევრობით განთავსდნენ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 3 | 3 | 0 | 263:213 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 3 | 0 | 275:233 | 6 |
| პერისტერი | 3 | 3 | 0 | 248:225 | 6 |
| პანიონიოსი | 3 | 2 | 1 | 291:267 | 5 |
| პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | 258:224 | 5 |
| მილონი | 3 | 2 | 1 | 294:280 | 5 |
| პაოკ | 3 | 2 | 1 | 218:208 | 5 |
| მარუსი | 3 | 1 | 2 | 257:271 | 4 |
| ირაკლიონი | 3 | 1 | 2 | 244:259 | 4 |
| ირაკლისი | 3 | 1 | 2 | 236:251 | 4 |
| არისი | 3 | 1 | 2 | 249:272 | 4 |
| ნიარ ისტი | 3 | 0 | 3 | 233:266 | 3 |
| დაფნი | 3 | 0 | 3 | 232:274 | 3 |
| მაკედონიკოსი | 3 | 0 | 3 | 245:300 | 3 |

## თურქეთი

IV ტური

**ალთაი — ბეშიქთაში 94:84, ბუიუქ კოლეჯი — მაიდენოსი 80:86, დარუშაფაკა — ქომბასანი 94:65, ეფესი — ტელეკომი 80:77, ქარშიაქა — ფენერბაჰჩე 92:93, ანტბირლიკი — ტროი 71:103**

**ულქერი 90:76 გალათასარაი**

**ულქერი: ლოლისი (2), ერდოგანი (13), მენდლოგტენი (15), გოლიოვიჩი (17), ერდენაი (20), გიულერი (9), გონლუმი, ილდირიმი (9), სარიჯა (5)**

**გალათასარაი: თაბაი, გორქემი (11), დემირი (4), კული (19), ქონუქი (8), ვექილოღლუ (4), ბულდაჯი (2), ოზმენი (3), ულსი (25)**

**ტურის** მთავარი მატჩი დერბი იყო — სტამბოლში ერთმანეთს „ულქერი" და „გალათასარაი" შეხვდნენ. ულქერელებმა ჰარუნ ერდენაიმ, სერქან ერდოგანმა და ორჰან გიულერმა სამქულიანებით ამოავსეს მეტოქის კალათი (ერდენაიმ ოთხი ჩააგდო, დანარჩენებმა — სამ-სამი) და თავის გუნდი დაუმარცხებლად დატოვეს ცხრილის კენწეროზე. მართალია, „გალათასარაიმ" 38:31 მოიგო ფარი, მაგრამ მარტო ეს „ულქერის" ძლევისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ზაზა ფაჩულია ულქერელთა სათადარიგოებში იყო, ოღონდ მოედანზე არ გასულა.

„ულქერს" კვალში უდგას თანაქალაქელი „ფენერბაჰჩე", რომელმაც იზმირში დრამატული მატჩი მოუგო „ქარშიაქას". ფენერბაჰჩელთა ამერიკელმა ცენტრმა ტანოკა ბერდმა 28 ქულა გააკეთა. მოულოდნელად წააგო აქამდე დაუმარცხებელმა „ბეშიქთაშმა". მისმა მძლეველმა „ალთაიმ" კი სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 4 | 4 | 0 | 334:268 | 8 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 4 | 0 | 361:320 | 8 |
| ბეშიქთაში | 4 | 3 | 1 | 355:320 | 7 |
| ეფესი | 4 | 3 | 1 | 310:298 | 7 |
| დარუშაფაკა | 4 | 3 | 1 | 350:302 | 7 |
| ტროი | 4 | 2 | 2 | 336:318 | 6 |
| ანტბირლიკი | 4 | 2 | 2 | 306:347 | 6 |
| მაიდენოსი | 4 | 2 | 2 | 320:316 | 6 |
| ტელეკომი | 4 | 1 | 3 | 306:317 | 5 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 3 | 310:329 | 5 |
| ქარშიაქა | 4 | 1 | 3 | 346:375 | 5 |
| ალთაი | 4 | 1 | 3 | 323:356 | 5 |
| ქომბასანი | 4 | 1 | 3 | 277:354 | 5 |
| ბუიუქ კოლეჯი | 4 | 0 | 4 | 305:319 | 4 |

## იტალია

IV ტური

**კინდერი — სკავოლინი 86:78, მიულერი — კორდივარი 103:105, სიენა — მონტეკატინი 84:75, ადეკო — რეჯანა 87:93, აეროპორტი — ვარეზე 85:83, იმოლა — სნაიდერო 95:91, რიმინი — ტრიესტი 86:85, კანტუ — ფორტიტუდო 66:71, აველინო — ბენეტონი 69:71**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 4 | 4 | 0 | 350:280 | 8 |
| ფორტიტუდო | 4 | 4 | 0 | 328:264 | 8 |
| სკავოლინი | 4 | 3 | 1 | 353:288 | 7 |
| კინდერი | 4 | 3 | 1 | 345:286 | 7 |
| კორდივარი | 4 | 3 | 1 | 347:331 | 7 |
| აეროპორტი | 4 | 3 | 1 | 328:336 | 7 |
| აველინო | 4 | 2 | 2 | 353:331 | 6 |
| მონტეკატინი | 4 | 2 | 2 | 346:342 | 6 |
| მიულერი | 4 | 2 | 2 | 374:372 | 6 |
| რეჯანა | 4 | 2 | 2 | 355:372 | 6 |
| რიმინი | 4 | 2 | 2 | 333:355 | 6 |
| იმოლა | 4 | 2 | 2 | 344:370 | 6 |
| სიენა | 4 | 2 | 2 | 286:313 | 6 |
| სნაიდერო | 4 | 1 | 3 | 341:361 | 5 |
| ტრიესტი | 4 | 1 | 3 | 320:340 | 5 |
| კანტუ | 4 | 0 | 4 | 300:338 | 4 |
| ვარეზე | 4 | 0 | 4 | 318:360 | 4 |
| ადეკო | 4 | 0 | 4 | 280:362 | 4 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## საფრანგეთი

# ჩიამ დააჩიავა

IV ტური

**რასინგი — ნანსი 66:63, პო ორტეზი — ანტიბი 86:85, ლე ავრი — გრაველინი 73:70, მონპელიე — შალონი 73:92, ვილერბანი — შოლე 70:59, სტრასბური — ევრე 83:71, ბეზანსონი — ბურჟი 91:86, ლე მანი — დიჟონი 83:79**

**„ლე მანი"**, „შალონი" და „ვილერბანი" ის სამი გუნდია, რომელთაც საფრანგეთის ჩემპიონატში ჯერ მარცხის სიმწარე არ განუცდიათ. ასევე სამნი დარჩნენ „ბურჟი", „მონპელიე" და „გრაველინი", ჯერ თამაშიც რომ არ მოუგიათ.

„ლე მანმა" „დიჟონთან" მატჩში სროლების 60 პროცენტი ჩააგდო, რაც ძალიან კარგი შედეგია და ამიტომ მისი გამარჯვებაც ლოგიკურია. მასპინძლებმა 20 ცდიდან 11-ჯერ დალაშქრეს მეტოქის კალათა 6,25-მეტრიანი ხაზის გარედან, 30 ორქულიანი ტყორცნიდან კი 19 შეასრულეს ზუსტად. მათ რიგებში საუკეთესო მათი ამერიკელი გამთამაშებელი შონტე როჯერსი იყო. ამ ჩია ტანის კაცმა (161 სმ) 29 ქულა დააგროვა, რასაც 7 მოხსნა და 6 პასიც დაურთო ზედ. პირველი ტაიმი „ლე მანმა" როჯერსის წყალობით 19 ქულის სხვაობით (54:35) მოიგო. შესვენების შემდეგ კი დიჟონელები შედარებით უკეთ ათამაშდნენ, განსაკუთრებით — ლორი (19 ქულა) და ნელნელა ანგარიშში სხვაობის შემცირებაც იწყეს. 26-ე წუთზე ისინი 11 ქულას აგებდნენ, 36-ზე კი მხოლოდ ექვსს — 75:81. თუმცა თამაშის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს.

ძალიან ლამაზი, დაძაბული და საინტერესო იყო „რასინგისა" და „ნანსის" დაპირისპირება. პარიზელებმა უმძიმესი გამარჯვება მოიპოვეს მანამდე დაუმარცხებელ ლოტარინგიელებთან. პირველ მეოთხედში თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ ბოლოს „რასინგმაც" გამოიღო ხელი და ანგარიში გათანაბრდა (18:18). მეორე ათწუთეულში უკვე მასპინძლები სჯობდნენ ოდნავ მოწინააღმდეგეს და ტაიმიც მათ სასარგებლოდ (35:31) დასრულდა. დასვენებულმა ნანსელებმა ისევ შეძლეს წინ გაჭრა. მათ დროის მცირე მონაკვეთი 8:0 მოიგეს და 44:40 დაწინაურდნენ. ამის მერე თამაში სულ ქულა ქულაში გაგრძელდა, თუმცა არც მანამდე გადასცილებია ანგარიშში სხვაობა 6 ქულას. ბოლო წამებზე წინ „რასინგი" იყო (64:63), მაგრამ ბურთს „ნანსი" ფლობდა. აქ კი პარიზელმა ტონი პარკერმა იყოჩაღა, ბურთი ჩაჭრა და თავისიანებს ბოლო ორი ქულაც მოუტანა. სტუმართაგან ყველაზე მეტი ქულა (14) სისთან ერთად ყოფილმა პარიზელმა სირილ ჟულიენმა დააგროვა, რომელმაც გუნდი ამ სეზონის დაწყების წინ შეიცვალა. „ჩვენ მოსაგებად ჩამოვედით — თქვა ოლიმპიურმა ვიცე-ჩემპიონმა ჟულიენმა — ეს ჩვენი პირველი ძნელი გასვლითი მატჩი იყო. გამარჯვება ნამდვილად შეგვეძლო, მაგრამ ძალიან ცოტა დაგვაკლდა. თამაშისას განსაკუთრებული გრძნობა არ გამჩენია, რადგან გასულ სეზონში „პარი სენ ჟერმენში" გამოვდიოდი, ახლა კი გუნდს „პარი ბასკეტ რასინგი" ჰქვია. ესეც რომ არა, ყოველ მატჩში მაინც ბოლომდე დავიხარჯები, გინდ ყოფილ კლუბს ვხვდებოდე და გინდ სულაც უცნობს".

„პო ორტეზმა" ძლივს მოახერხა „ანტიბის" ძლევა. თავიდან ანტიბელები დაწინაურდნენ და მცირედ უპირატესობას კარგა ხანსაც ინარჩუნებდნენ. თუმც მეორე ტაიმში პოელთა ესპანელმა უკანახაზელმა როჯერ ესტელერმა (21 ქულა) აიწყვიტა და რომ არა მისი თანაგუნდელების უზუსტობა საჯარიმოების სროლისას (16-დან 9), მასპინძლები ანგარიშში სხვაობას მალევე გაზრდიდნენ და ბოლო წამებზე აღარც ინერვიულებდნენ. ისე კი... უკანასკნელი წუთი რომ დაიწყო, წინ „ანტიბი" იყო — 82:81. თუმცა მერე ფრედერიკ ფოტუმ ორქულიანი ჩააგდო, თან მეტოქეს ჯარიმაც მიაღებინა და ჯამში სამი ქულა მოუტანა თავისიანებს. ამას მიკაელ პიეტრუსმა ბურთი ჩაჭრის შემდეგ კიდევ ორი ქულა დაუმატა და ანგარიში 86:82 გახდა „პო ორტეზის" სასარგებლოდ. თუმცა გამარჯვება მაინც კინაღამ სტუმრებს დარჩათ. სმიტმა ჯერ სამქულიანი მიითვალა, მერე კი პოელებმა შეტევა გააცუდეს და ბოლო სროლის საშუალება „ანტიბს" მიეცა. ოღონდ ამჯერად სმიტმა არაზუსტად ესროლა.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 4 | 4 | 0 | 310:250 | 8 |
| შალონი | 4 | 4 | 0 | 336:291 | 8 |
| ლე მანი | 4 | 4 | 0 | 355:322 | 8 |
| ნანსი | 4 | 3 | 1 | 332:284 | 7 |
| რასინგი | 4 | 3 | 1 | 328:297 | 7 |
| დიჟონი | 4 | 3 | 1 | 310:280 | 7 |
| შოლე | 4 | 2 | 2 | 304:278 | 6 |
| ანტიბი | 4 | 2 | 2 | 316:307 | 6 |
| პო ორტეზი | 4 | 2 | 2 | 320:330 | 6 |
| ლე ავრი | 4 | 2 | 2 | 278:310 | 6 |
| სტრასბური | 4 | 1 | 3 | 281:286 | 5 |
| ევრე | 4 | 1 | 3 | 319:348 | 5 |
| ბეზანსონი | 4 | 1 | 3 | 293:333 | 5 |
| ბურჟი | 4 | 0 | 4 | 306:347 | 4 |
| გრაველინი | 4 | 0 | 4 | 298:339 | 4 |
| მონპელიე | 4 | 0 | 4 | 295:379 | 4 |



AFP ლე მანი

ლე მანი — დიჟონი. შონტე როჯერსი დიჟონელ ლორან ბერნარს გაურბის

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბესელიამ დაიწყო, ბალანჩივაძემ დაასრულა

საქართველოს თასი
**თბილისი**. ავლაბარი. 5 ნოემბერი
ნახევარფინალი. პირველი მატჩი

**ლოკომოტივი 1 — ასკ**
**49:13 (22:8)**

**ლოკომოტივი 1:** მაჭუტაძე, ჯაველიძე, თოფურიძე (ბერიაშვილი), ბურდული (გიორგაძე), ცხომელიძე, კობახიძე, კახიანი, ბ. უდესიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბესელია, ალანია, ძნელაძე, სორდია, ასათიანი (ბუგიანიშვილი, ჯანაშვილი)
9ლ — ბესელია (3), ასათიანი, ალანია, ძნელაძე, ბუგიანიშვილი (2), ბ. უდესიანი
2გ — კვინიხიძე
**ასკ:** ორდენიძე, ბალანჩივაძე, ზირაქიშვილი, დათუნაშვილი, ვალიშვილი, სვანიძე, ცხადაძე, უჩავა, სამხარაძე, ხვიჩია, ჭაფოძე, კაპანაძე (ივანიშვილი), პიწხუკოვი, მაღრაძე, სამსონიძე (კიკნაძე)
1ლ — ბალანჩივაძე, 2ს — უჩავა (2), 1გ — უჩავა
**მსაჯი:** ნ. რობიტაშვილი
**მეთვალყურე:** გ. ჭუმბურიძე

**საქართველოს თასის** გათამაშების მეორე ნახევარფინალურ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა უკვე გაირკვა. ჩემპიონატისა და თასის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ლოკომოტივმა1“-მა არმიული კლუბი მიწასთან გაასწორა და საპასუხო მატჩი ფორმალობად აქცია. თამაში ხეირიანად არც კი დაწყებულიყო, რომ რკინიგზელთა გარემარბმა ბესელიამ არმიელები დაალელოვა, რამდენიმე წუთში თამაშის იშტაზე მოსულმა ბესელიამ იგივე მოიმოქმედა და დუბლი შეასრულა, სულ კი ამ მატჩში რკინიგზელთა მეთერთმეტე ნომერმა თავის აქტივში სამი ლელო მიითვალა. მას არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ, ჯერ ასათიანმა გაისეირნა ასკ-ს სალელოე მოედანში, მერე ალანიამ შეძლო არმიელთა მეოთხედ დალელოვება. ამის შემდეგ თამაში მოვალეობის მოხდის მიზნით გაგრძელდა. მართალია, ასეთი ბურთაობისას არმიელმა უჩავამ შორი მანძილიდან ორი საჯარიმო დარტყმა გოლად აქცია, მაგრამ არც რკინიგზელებს დაუკლიათ ხელი. გასაკვირი არც იყო, რომ ამ წყვილის ფავორიტები დიდი ანგარიშით, თითქმის უბრძოლველად ამარცხებდნენ მეტოქეს. მატჩის პირველ ნახევარში საინტერესო არაფერი მომხდარა. მეორე ნახევარი წინამორბედის მსგავსად უხვლელოიანი გამოდგა. რკინიგზელები ძალების დაუძაბავად ახერხებდნენ ანგარიშში სხვაობის გაზრდას, დინჯად და სწრაფად ათამაშებდნენ ბურთს, ასკ-ს დაცვა კი უხეშად ცდებოდა. ასკ-მ მხოლოდ პრესტიჟის ლელო გაიტანა — ბალანჩივაძემ ძალისმიერ ბრძოლაში მოწინააღმდეგის მცველები დაჩაგრა და ნახტომში ბურთი „ლოკომოტივი1“-ის სალელოე მოედანში დადო. ეს იყო და ეს. შემდგომშიც უპირატესობას რკინიგზელები ფლობდნენ და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

**ბაჩო სვანიძე**

# აჯობეს და წააგეს

***ნოემბრის დადგომისთანავე სამხრეთელებმა ჩრდილოეთს მიაშურეს ტურნეების გასამართად. ძირითადად ბებერი კონტინენტი იქნება ტესტების მასპინძელი. ევროპელებს ვინ აღარ ეწვევა — ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, იაპონია, აშშ, სამოა... მომავალი მატჩებიდან ზოგიერთი დაძაბული იქნება, ზოგიერთებში კი ერთი გუნდი მეორეს იოლად დაჩაგრავს. ამის მაგალითი უკვე გამართულმა თამაშებმა მოგვცა. დღეს ორი ტესტის შესახებ მოგითხრობთ, დანარჩენი მატჩებისას კი მხოლოდ ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობთ***

**ტესტი**
სენ დენი. 04.11

**საფრანგეთი 13:18 ავსტრალია**

**საფრანგეთი:** გარბაჟოზა, ლომბარი, კომბა, დურთი, ბორი, ლამეზონი, გალტიე, ჟუიე (აზამი 80), მანი, მონი (ბეტსენი 7,), პელუ (კაპ.), ბრუზე (ორადუ 57), კალიფანო, ლანდრო, მარკონე (ტურნერი 60)
1ლ — გალტიე (75); 1გ და 2ს ლამეზონი (40,80)
**ავსტრალია:** ლეითემი, ბარკი, ჰერბერტი, მორტლოკი, როფი, კაფერი, კორდინგლი, კეფუ (უილიამსი 64), სმიტი, კოკბეინი (კონორსი 48), ილზი (კაპ.), გიფინი, დაისონი (პანოპო 53), ფოლი (პოლი 26), იანგი
6ს — ბარკი (22, 27, 42, 51, 53, 64)
**გაფრთხილება:** სმიტი (70)
**მსაჯი:** ჰონისი (ახალი ზელანდია)

**საფრანგეთში** შარშანდელი მსოფლიოს თასის ფინალის გამეორება იყო. „მამლებმა“ „ვოლაბებს“ უმასპინძლეს და რევანშის წყურვილიც ჰკლავდათ, თუმც...

სამწუხაროა! ესაა ის სიტყვა, რომელიც ფრანგულ პრესაში ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა არშემდგარი რევანშის შემდეგ. სტუმრებმა შარშანდელივით იოლად ვერა, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს — 18:13.

ბურთს, მართალია, ფრანგები უკეთ აკონტროლებდნენ, მაგრამ ნერვების ამბავში საქმე პირიქით იყო. დიდი ბრძოლა დასაწყისიდანვე გაჩაღდა. „ლურჯები“ დროის უმეტეს ნაწილს მეტოქის ნახევარზე ატარებდნენ და ძალიან სახიფათოდაც უტევდნენ. განსაკუთრებით „სტად ფრანსეს“ სამმეოთხედელი ფრანკ კომბა გამოირჩეოდა. ფრანგებს მინიმუმ სამჯერ მაინც შეეძლოთ ლელოს გატანა (მე-8, მე-18 და მე-20 წუთებზე), მაგრამ ბოლომდე ვერ აგვირგვინებდნენ და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ავსტრალიელების პირველივე სერიოზული შეტევა მათი ფრთის, მეტიუ ბარკის ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით დასრულდა (21-ე წუთი).

ერთი საჯარიმო პირველ ტაიმში კრისტოფ ლამეზონმაც შეაგდო, მაგრამ რამდენიმე გააცუდა და რადგან ბარკმა კიდევ ორჯერ იყოჩაღა, შესვენების წინ ანგარიში 9:3 იყო სტუმართა სასარგებლოდ. მართლაც, სამწუხარო იყო საფრანგეთისთვის, რომელმაც უამრავი მომენტიდან მხოლოდ სამი ქულა მოიხვეჭა. რაც შეეხება ავსტრალიას, იგი მსოფლიოს თასზე ნაჩვენები დონიდან ძალიან შორს იყო. ორთაბრძოლებში უფრო ხშირად ფრანგები სჯობდნენ, სტუმრებმა კი თავი ყველაზე მეტად ბურთის რამდენჯერმე გზაში დაკარგვით გამოიჩინეს.

ამით, რა თქმა უნდა, მასპინძლებმა ისარგებლეს და მეორე ორმოცწუთეულში გააფთრებით შეუტიეს. 42-ე და 45-ე წუთებზე საჯარიმოებიც მოინადირეს, ოღონდ ქულები — ვერა. პირველი დარტყმა ლამეზონმა გააცუდა, მეორედ კი რიშარ დურთმა ივარგა, მაგრამ გვერდითმა მსაჯებმა თვალები დაივსეს და ძელებს შორის გატარებული ბურთი სამ ქულად არ შეაფასეს. სამაგიეროდ, მათ ბარკის კიდევ სამ საჯარიმოზე აღმართეს ალმები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ავსტრალიამ ჯამში 18 ქულა მოაგროვა და წინ 15 ქულით გაიჭრა.

საფრანგეთმა ბოლო ოც წუთში უკანასკნელი ძალებით შეუტია, ბურთს კარგად ათამაშებდა და მსოფლიოს საუკეთესო დაცვაც ცოტა არ იყოს, დაიბნა. 70-ე წუთზე კომბა შეიჭრა ამ დაცვაში და იგი სმიტმა წესების დარღვევით შეაჩერა, რისთვისაც ყვითელი ბარათით დაისაჯა. რიცხვმრავლობაში დარჩენილი ფრანგები კიდევ უფრო მიაწვნენ და გალტიეს ლელოც მოიმკეს, რომელშიც კალიფანომ და მანმაც დიდი წვლილი დაიდეს. გარდასახვისა და ერთი საჯარიმოს შემდეგ ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა. ერთი გარდასახული ლელო გამარჯვების ტოლფასი იყო. მაგრამ, ლამეზონის მიერ ბოლო წამებზე ავსტრალიის სალელოე მოედანზე ფეხით დაკიდებულ ბურთს ფრანგთაგან ვერავინ მიასწრო და...

ავსტრალიამ მოიგო თამაში, მაგრამ ბევრით ვერ აჯობა საფრანგეთს. მასპინძლებმა მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებთან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, განსაკუთრებით დაცვაში, წინ ახალი ზელანდიაა!

**ტესტი**
ედინბურგი. 04.11

**შოტლანდია 53:6 აშშ**

შოტლანდია: 6ლ — პოუტნი, ლესლი (2), პატერსონი, თაუნსენდი (2); 4გ და 5ს — თაუნსენდი
აშშ: 2ს — უელსი

**ფავორიტი** შოტლანდია იყო და მისი გამარჯვებაც არ იწვევდა ეჭვს. საკითხავი მხოლოდ ანგარიში იყო. ამერიკელმა „არწივებმა“ თითქმის ტაიმნახევარი გაუძლეს სკოტთა იერიშებს და მხოლოდ ამის მერეღა გატყდნენ. პირველ ტაიმში მხოლოდ საჯარიმოები გავიდა. ჩვენებური ლევან ცაბაძის კასტრელმა თანაგუნდელმა გრეგორ თაუნსენდმა ხუთჯერ მოახერხა ბურთის ძელებს შორის გატარება, უელსმა კი იგივე მხოლოდ ერთხელ შეძლო. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ხელით გატანაც გადაწყვიტეს და ბურთს უფრო ხშირად და დიდხანს ათამაშებდნენ. ლელო პირველმა სკოტთა ახალმა კაპიტანმა ბაჯ პოუტნიმ გაიტანა. მის მაგალითს მალე სხვებმაც მიბაძეს და ჯამში ექვსჯერ დალელოვდნენ სტუმრები.

ტოკიო. 28.10

**იაპონელი ბარბაროსები 13:64 ავსტრალია**

ბარბაროსები: 1 ლ — პლესტოუ; 1გ. და 2ს — მილანი
ავსტრალია: 10ლ — ლეითემი (3), პოლი (2), კორდინგლი, მორტლოკი (2), ბარკი (2); 7გ — ბარკი

ლილი. 01.11

**საფრანგეთი „A“ 40:23 იაპონია**

საფრანგეთი: 4ლ — საჯარიმო, ბრიუ მილერი, ლარგე; 4გ და 4ს — მერსერონი
იაპონია: 2ლ — ოჰატა, ტოიოიამა; 2გ — ფუშიგამი; 3ს — ჰიროსე

ტოკიო. 03.11

**წყნარი ოკეანის ბარბაროსები 10:50 ახალი ზელანდია**

ბარბაროსები: 1ლ — ბეჩოპი; 1გ და 1ს — მილერი
ახალი ზელანდია: 7ლ — რეიპანა (2), ალატინი, ჰოულეტი, გიბსონი, მარშალი, სპენსერი; 6გ — მერთენსი (4), სპენსერი (2); 1ს — მერთენსი



მატჩის ერთადერთი ლელო





რიშარ ვირანკი



ვილი ვოე

# პროკურორმა მოითხოვა...

**ჩრდილოეთ** საფრანგეთის ქალაქ ლილში მიმდინარე სასამართლო პროცესი სადაცაა დასრულდება. ორშაბათს პროკურორი ჟერალ ვენსონო სიტყვით გამოვიდა და განსასჯელებისთვის სხვადასხვა სახის სასჯელები მოითხოვა. ცხრიდან რვა ბრალდებულისთვის მან პირობითი ციხე და ჯარიმები ისურვა, რიშარ ვირანკი კი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით უდანაშაულოაო, განაცხადა პროკურორმა.

„ვირანკზე აზრი არ შემიცვლია“ — აღნიშნა ბატონმა ვენსონომ მას შემდეგ, რაც დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ იგი „ფესტინას“ ყოფილი მრბოლის სასამართლო პროცესში ბრალდებულად მონაწილეობის წინააღმდეგი ადრევე იყო, მაგრამ გამომძიებელმა პატრიკ კეილმა სხვაგვარად გადაწყვიტა.

„ბრალდება, რომ ვირანკი თანამონაწილე იყო დოპინგის ორგანიზებულ კონტრაბანდასა და გავრცელებაში, წამსვე ქარწყლდება ფაქტების გაცნობის შემდეგ“ — დაამატა პროკურორმა, რომელმაც თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად ვირანკის თანაგუნდელების ჩვენებები მოიშველია და მრბოლის განთავისუფლება მოითხოვა, ოღონდ თავად სიტყვა „განთავისუფლება“ არ უხმარია. თუმცა დოპინგის გამოყენება ვირანკს მაინც არ შერჩება. მას ექვსი თვიდან ერთ წლამდე დისკვალიფიკაცია ელის.

პროკურორმა, როგორც უკვე ვთქვით, დანარჩენ ბრალდებულთა მიმართ სხვადასხვა სასჯელის შეფარდება მოინდომა, ოღონდ არა თავისუფლების აღკვეთა. პირობითით პატიმრობები კი ბატონმა ვენსონომ 10-დან 50 ათასამდე ფრანგული ფრანკის ჯარიმებით დაამძიმა. სამართალდამცავის აზრით, „ფესტინას“ ყოფილ სპორტულ დირექტორ ბრუნო რუსელსა და მასაჟისტ ვილი ვოეს ყველაზე მეტად მიუძღვით ბრალი დოპინგის ორგანიზებაში, ამიტომ ყველაზე მეტადაც ისინი უნდა დაისაჯონ. მისი თქმით, პირველს 18 თვის პირობითი პატიმრობა და 50 ათასი ფრანკის გადახდა ერგება, მეორესთვის კი 14 თვის პირობითი ციხე და 20 ათასი ფრანკის ჯარიმაა უპრიანი.

ამ ორზე უფრო მეტად დამნაშავე ექიმი რიკაერტიაო, განაცხადა პროკურორმა, მაგრამ იგი ავადმყოფობის გამო პროცესს ვერ ესწრება და ჰოლანდიელს მერეღა გავასამართლებთო.

„დოპინგის „ფესტინაში“ ორგანიზებაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბატონების — რუსელისა და ვოეს პასუხისმგებლობას არ ამცირებს, მთავარი როლი მაინც ექიმებს ეკუთვნოდათ“ — აღნიშნა ჟერალ ვენსონომ.

პროკურორმა დანარჩენი განსასჯელებიც არ დატოვა უყურადღებოდ. მან თითო-თითო წლით პირობითი პატიმრობა მოითხოვა ჟოელ შაბირონისთვის, რომელსაც „ფესტინაში“ კომუნიკაციების სისტემა ებარა და ჯეფ დონტისთვის, ფრანგულ გუნდ „ფრანსეზის“ მასაჟისტისთვის. აქვე განვმარტავთ, რომ დონტი მისმა ყოფილმა გუნდელებმა ჩაუშვეს. ტომა დავიმ და ერვე მონტეორმა ფიცის ქვეშ განაცხადეს, რომ ეპო-ს დონტის უშუალო ზედამხედველობით ვიღებდითო.

ვენსონო ნაკლებ მკაცრი იყო ჟან მარი დალიბოის მიმართ, რომელიც ვოეს დუბლიორი გახლდათ „ფესტინაში“ და უკვე ერთ წელზე მეტია, მასაჟისტობას თავი დაანება. მას რვათვიანი პირობითი სასჯელი ემუქრება. ექვსთვიანი პირობითი პატიმრობა ელოდება კრისტინ პარანიეს, ოტ-ალპის დეპარტამენტის პატარა ქალაქ ვეინის ფარმაცევტს. ვილი ვოე მისი მეზობელი ყოფილა და აკრძალული პრეპარატებით სწორედ ეს ქალი ამარაგებდაო, ამბობენ პროცესზე. მისი მეუღლე ერიკ პარანიე შეიძლება ოთხთვიან პირობით სასჯელს დააჯერონ, რომლის ბრალეულობაც აფთიაქის საქმეთა წარმოებაში არსებული მცირედი კანონდარღვევებია.

დაბოლოს, ბატონმა ვენსონომ პირენეის ნახევარკუნძულსაც მიაპყრო მზერა და ესპანური „ონსეს“ ექიმი ნიკოლას ტირადოსიც ორი თვით დავსაჯოთ, ოღონდ პირობითად, საფრანგეთში მედიკამენტები უნებართვოდ შემოჰქონდაო. პროკურორმა მოსამართლე დანიელ დელეგოვს თითოეული განსასჯელის — რუსელის, ვირანკისა და ვოეს გარდა 10-10 ათასი ფრანკით დაჯარიმებაც სთხოვა.

ბოტონ ვენსონომდე სიტყვით გამოვიდა ფრანგული საბაჟოების ადვოკატი რალფ ბუსიე და „ფესტინასა“ და „ონსესგან“ 1,2 მილიონი ფრანკის, თითოეული გუნდის მიერ სამი სეზონის მანძილზე დოპინგისთვის გალებული თანხის გადახდა მოითხოვა. (სეზონში ეს გუნდები 400-ათას ფრანკს ხარჯავდნენ დოპინგზე). მისი მოთხოვნის საფუძველი ამ გუნდების მიერ საბაჟო ადმინისტრაციისადმი მიყენებული მორალური ზარალი და მისი სახელის შებღალვა ყოფილა. ბატონ ბუსიეს თქმით, „ფესტინას“ ნაცვლად ფული ვოემ, რუსელმა, შაბირონმა და დალიბომ თანაბრად უნდა გადაიხადონ, „ონსეს“ მაგივრად კი ჯიბე მთლიანად ტერადოსმა უნდა შეიმსუბუქოს. ალბათ, ზემოთჩამოთვლილი ბატონები ამ ფულის გადახდაზე ნებით არ დათანხმდებიან.

ახლა სიტყვა მოსამართლეებზეა.

**გაგი გურული**

„სარბიელში“ სამუშაოდ ვიწვევთ გამოცდილ მბეჭდავს. ცნობებისთვის დარეკეთ
TEL: 39 48 29. 13-დან 18 საათამდე

**იყიდება ან ქირავდება**
შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23


# სად გაფრინდება გაფრინდაშვილის თასი?

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

აქ ძალიან პოპულარულია რუსული ენა. ის კი არა, სსრკ ხალხთა სპარტაკიადა მოგაგონდებათ. ჩემი გამოთვლით, სათამაშო დარბაზში თავშეყრილთა მესამედზე მეტი ერთმანეთთან ურთიერთობას სწორედ რუსული ენის მეშვეობით ამყარებს. აბა წარმოვიდგინოთ — ყოფილი სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკები, გარდა ამისა, მოთამაშის, მწვრთნელისა თუ კაპიტნის რანგში კიდევ 30-ზე მეტ ქვეყანაში მოსაქმიანე 50-მდე კაცი. აი, მაგალითი: მე-7 ტურის, რუსეთ-ისრაელის მატჩის მონაწილე რვავე მოჭადრაკე საბჭოთა საჭადრაკო სკოლის აღზრდილია. ყოფილი საბჭოელები პირველ დაფაზე თამაშობენ ესპანეთში (შიროვი), გერმანიაში (იუსუპოვი), ისრაელში (გელფანდი), პოლონეთში (კრასენკოვი), შვეიცარიაში (კორჩნოი), ჩეხეთში (მოვსესიანი).

ქართულ საჭადრაკო სკოლასაც ჰყავს თავისი ლეგიონერები უცხოეთში. ასეთი ოთხი ქალი და 3 კაცი აღმოვაჩინეთ — ისინი ექვსი ქვეყნის ღირსებას იცავენ. იქნებ დაგაინტერესოთ მათმა ვინაობამ. ქეთევან კახიანი (გერმანიის I დაფა), თეა ლანჩავა (ჰოლანდიის III დაფა), ეკატერინე ფახიროვა (საბერძნეთის III დაფა), ჰენრიეტა ლაგვილავა (ბელარუსის II დაფა), იგორ ეფიმოვი (იტალიის I დაფა), იანის ნოკოლაიდისი (პოპოვი, საბერძნეთის IV დაფა) და სერგო მოვსესიანი (ჩეხეთის I დაფა). გარდა ამისა, ქართული საჭადრაკო სკოლის მადლი სცხიათ პოლონელთა პირველ ნომერ მიხეილ კრასენკოვს (თუ არ ვცდები, ის საქართველოს ჩემპიონიც უნდა იყოს) და სომეხთა მეორე ნომერს, სმბატ ლპუტიანს. მსაჯთა კორპუსში წარმოდგენილია ყოფილი თბილისელი, ამჟამად მოსკოვში მცხოვრები იგორ ჯერეშჩაგინი.

სხვათა შორის, ევგენი მელიქსეთბეგთან ერთად სტამბოლში არბიტრად მოგვევლინა ნანა ალექსანდრიაც — ეს მისი დებიუტია ამ რანგში.

რადგან საჭადრაკო დარბაზის თემას შევეხეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ყავის სმის უფლება, ფაქტობრივად, აღადგინეს. ასე რომ, ნანა იოსელიანი თავის სტიქიაშია. არ ვიცი, დოპინგის ამ ნაირსახეობის რა დამსახურებაა, მაგრამ ნანა სტამბოლის საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჯერჯერობით ბრწყინვალედ გამოდის — პირველ-მეორე დაფებზე ბოლო ექვს ტურში მან ხუთი ქულა მოაგროვა.

მე-9 ტურის კენჭისყრამ იმედი მოგვცა, რომ რუსეთის ნაკრები ნაწილობრივ მაინც შეაჩერებდა ჩინელთა წინსვლას, რასაც სომხებთან ჩვენების წარმატებული თამაშის შემთხვევაში მოჰყვებოდა, ერთი მხრივ, ქულათა სხვაობის შემცირება ლიდერთან, მეორე მხრივ, სხვაობის გაზრდა მათთან, ვინც კვალში გვიდგას, პირველ რიგში, იმავე რუსეთის გუნდთან.

სომხების გუნდი მშვენივრად ათამაშდა: ბოლო ორ ტურში ქულათა მაქსიმუმი, 6 დააგროვა და ათეულში მოხვედრასაც გეგმავს. ეს მათთვის უდავოდ წარმატებაა — რეიტინგით ისინი მხოლოდ მეთვრამეტენი არიან და ელისტაშიც 21-ე ადგილს დასჯერდნენ.

საქართველოს ნაკრებს განსაკუთრებული მობილიზება სჭირდება და არა მარტო სატურნირო მდგომარეობის გამო — მაია ჩიბურდანიძემ ზედიზედ მეორე ტური გამოტოვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიადის დაწყებიდან გასული ათი დღის განმავლობაში, უქმე დღის ჩათვლით, ჩვენი გუნდის ლიდერი ოთხ დღეს ისვენებდა. დიდი ფუფუნება ხომ არ არის იმ გუნდისთვის, რომლის საბოლოო მიზანი პირველი ადგილისთვის ბრძოლაა?

პირველ დაფაზე დანიელიანთან ნანა იოსელიანმა შავებით, მართალია, თავიდანვე პერსპექტიული პოზიცია მიიღო, პაიკიც მოიგო, მაგრამ შუა თამაშში კომბინაციური გათვლა მთლად ზუსტი ვერ გამოვიდა და ყაიმზე დათანხმდა. უპრობლემოდ მოიგო ნინო ხურციძემ. მან მეცხრე პარტია ითამაშა ზედიზედ და გუნდს რვა ქულა მოუტანა. ბრწყინვალე შედეგია. თავიდანვე გვანერვიულა ნინო გურიელმა ჰლაგტიანთან შეხვედრაში. ყოველ შემთხვევაში, ერთი ხანობა გუნდის კაპიტანს, დავით გურგენიძეს სახეზე ფერი აღარ ედო. „ჯერ იყო და, მე-5 თუ მე-7 სვლაზე ნინომ იმდენი იფიქრა, ლამის დროის კონტროლამდე მთელი ლიმიტი ამოწურა, შემდეგ იყო, ფიგურები ისე განალაგა, თითქოს ყველა ერთბაშად ეკიდა" — მეუბნება კაპიტანი. თავად ნინო თავის მოქმედებას შემდეგნაირად ხსნის: „იმ კაი დედმამიშვილმა ამ ცნობილ ვარიანტში მე-5 სვლა ისეთი ითამაშა, ვიფიქრე, ვაი შენს თავს, ნინო, რაღაც უბედურება შეგემთხვა-მეთქი". არადა, სვლა სუსტი აღმოჩნდა, ყველაფერი თავის ადგილას დალაგდა და პარტია, რომელიც უნდა მოეგო, ნინომ მოიგო კიდეც. „ქართველებმა დიდი სიურპრიზი მოგვიწყვეთ. ვინ იფიქრებდა, რომ მაია ჩიბურდანიძე ზედიზედ მეორედ არ გამოვიდოდა სათამაშოდ. მოკლედ, ყველა კარტი აგვირიეთ და გათვლები ჩაგვიშალეთ" — ჩიოდნენ სომხეთის გუნდის წევრები.

ამასობაში ჩინელი ქალები სამივე პარტიაში უარესად იდგნენ, მეორე-მესამე დაფებზე განსაკუთრებით. მოულოდნელად ეკატერინა კოვალევსკაიამ ცაიტნოტში ამოყო თავი, ფიგურა დაჰკარგა და ჩინელებმა მორიგი საჩუქარი მიიღეს. სამაგიეროდ, სვეტლანა მატვეევამ ანგარიში გაათანაბრა. პირველ დაფაზე ლიდერებისა და სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს პირველობის ფინალური მატჩის მონაწილეების — სიე ჟუნის და ალისა გალიამოვას ძველინდურის ერთერთი აბურდული ვარიანტი საბოლოო ჯამში ყაიმით დასრულდა. ფრე — 1,5:1,5.

ასე რომ, პროგნოზი გამართლდა. სულ ნახევარი ქულაღა გვაშორებს ჩინელებს, მდევრებს კი ორი ქულით ვუსწრებთ.

ჩინეთ — საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩის კომენტარი ვთხოვე დიდოსტატ თამაზ გელაშვილს, რომელიც დღეს ისვენებდა:

— პირველ დაფაზე გია გიორგაძემ ესპანური პარტია ითამაშა. ერთ მომენტში ენდშპილში პაიკიც აკლდა, მაგრამ ორი კუ და გამსვლელი პაიკი d3-ზე კონტრთამაშის კარგ შანს იძლეოდა. ძნელი სათქმელი იყო, საკმარისი იქნებოდა ეს ყაიმისთვის თუ მოგებაც შეიძლებოდა. ბოლოს, თამაშის მეექვსე საათის მიწურულს, ყაიმი დაფიქსირდა მუდმივი ქიშით.

მეორე დაფაზე შესანიშნავი პარტია ითამაშა ზურაბ სტურუამ, ალბათ, ერთ-ერთი ულამაზესი ტურნირზე. ჯერ ხარისხი შესთავაზა მეტოქეს, შემდეგ შეწირვების მთელი სერია ჩაატარა და მიიღო შეტევა, რომლისგანაც თავდაცვა შეუძლებელი იყო. შამათამდე ორი სვლით ადრე ჰი დანებდა.

გიგა ყაჭეიშვილმა დებიუტშივე ოდნავ უარესი პოზიცია მიიღო. ჩინელს მეტი სივრცე ჰქონდა, მისი ფიგურები უფრო თავისუფლად სუნთქავდნენ. ამავე დროს გიგა დროის [illegible] ლებობასაც განიცდიდა. შემდეგ [illegible] მოჭადრაკემ ორი ფიგურა მისცა ეტლში, იმ იმედით, რომ კონტრთამაშს მიიღებდა, ბოლოს ცაიტნოტში არასწორად ითამაშა და უიმედო პოზიციაში დანებდა.

ბაადურ ჯობავას მცირე უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ რამდენად შეიძლებოდა მისი რეალიზება გამარჯვებისთვის, ძნელი სათქმელია. ცაიტნოტში ჩინელმა სვლები არ გაიმეორა, რისი იმედი ჰქონდა, გაუგებარია, შემდეგ შეცდა და ბაადურმა უკვე დიდი უპირატესობა მოიპოვა. პარტიის ტექნიკური ნაწილი მან კარგად ჩაატარა და საბოლოო ჯამში გუნდს გამარჯვება მოუტანა — 2,5:1,5.

მართლაც სოლიდური გამარჯვებაა სოლიდურ გუნდთან. ჩინელები რეიტინგით მეოთხენი არიან ოლიმპიადაზე და რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, ორივე გუნდის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამით, შანსი აქვთ, ნონა გაფრინდაშვილის თასი მოიგონ. ისიც გავიხსენოთ, რომ ელისტაში ჩინელებმა, ისევე როგორც ქართველებმა, 31,5 ქულა მოაგროვეს. მაშინ, უკეთესი კოეფიციენტით მე-5 ადგილი ჩინელებს ერგოთ, მეშვიდე კი საქართველოს ნაკრებს.

უნდა აღინიშნოს ზურაბ სტურუას შესანიშნავი შედეგი — ბოლო ხუთ ტურში 4,5 ქულა! საკმაოდ ხანგრძლივი, ოთხტურიანი დასვენების შემდეგ წარმატებით ითამაშა ბაადურ ჯობავამ. საერთო შედეგიც კარგი აქვს: 3 ქულა 4-დან.

ამ მოგების შემდეგ ჩვენს გუნდს პირველ-მეორე ადგილებზე მყოფი სომხებისა და გერმანელების გუნდები 3,5 ქულით უსწრებენ. მაგრამ ერთი კია, ცხრილში დიდი სიმჭიდროვეა — პირველსა და 24-ე ადგილებს 3,5 ქულა აშორებთ.

## ჰოკეი

**6 ნოემბერი**
**ატლანტა — ოტავა 2:3**
**1:2 1:0 0:1**

**1:0 გულლა 9'18 (3); ბონკი 11'37 (6); 1:2 ზამუნერი 13'05 (8); 2:2 ფერარო 23'44 (5); 2:3 ჰოსა 57'54 (7)**

**ორი** კვირის წინ, როდესაც ატლანტა ოტავასთან 1:5 აგებდა, დონალდ ოდეტმა ჰეთ თრიქი შეასრულა და გუნდმა ფრეს მიაღწია — 6:6. ამჯერად „თრეშერსიმ" ვეღარ გაიმეორა ეს გმირობა. მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მარიან ჰოსას და რადეკ ბონკის ჩინებული კომბინაციის შემდეგ გატანილ გოლს ვეღარ უპასუხეს.

### სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 14 | 9 | 4 | 0 | 1 | 54:33 | 22 |
| ტორონტო | 14 | 8 | 1 | 0 | 5 | 38:28 | 17 |
| ბუფალო | 12 | 6 | 1 | 1 | 4 | 34:33 | 14 |
| ბოსტონი | 15 | 5 | 1 | 1 | 8 | 38:59 | 12 |
| მონრეალი | 14 | 4 | 2 | 0 | 8 | 39:47 | 10 |

| ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 14 | 10 | 2 | 0 | 2 | 43:22 | 22 |
| დეტროიტი | 14 | 8 | 0 | 1 | 5 | 40:37 | 17 |
| ნეშვილი | 13 | 5 | 4 | 1 | 3 | 31:30 | 15 |
| ჩიკაგო | 14 | 5 | 0 | 1 | 8 | 34:42 | 11 |
| კოლუმბუსი | 15 | 3 | 1 | 1 | 10 | 26:50 | 8 |

| ატლანტა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 13 | 6 | 3 | 0 | 4 | 50:36 | 15 |
| პიტსბურგი | 13 | 6 | 2 | 0 | 5 | 38:39 | 14 |
| აილენდერსი | 12 | 5 | 2 | 1 | 4 | 32:31 | 13 |
| რეინჯერსი | 13 | 6 | 0 | 0 | 7 | 46:42 | 12 |
| ფილადელფია | 14 | 4 | 4 | 0 | 6 | 35:43 | 12 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 14 | 10 | 2 | 0 | 2 | 44:26 | 22 |
| ედმონტონი | 16 | 9 | 2 | 0 | 5 | 47:40 | 20 |
| ვანკუვერი | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 48:40 | 18 |
| მინესოტა | 14 | 3 | 3 | 0 | 8 | 26:42 | 9 |
| კალგარი | 15 | 3 | 2 | 1 | 9 | 31:42 | 9 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 15 | 3 | 4 | 1 | 7 | 34:45 | 11 |
| ტამპა | 13 | 4 | 1 | 1 | 7 | 41:56 | 10 |
| კაროლინა | 13 | 3 | 3 | 0 | 7 | 33:44 | 9 |
| ატლანტა | 12 | 2 | 5 | 0 | 5 | 36:39 | 9 |
| ფლორიდა | 12 | 1 | 3 | 3 | 5 | 23:35 | 8 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 14 | 9 | 4 | 0 | 1 | 45:26 | 22 |
| სან ხოსე | 12 | 8 | 2 | 0 | 2 | 34:23 | 18 |
| ლოს ანჯელესი | 16 | 8 | 2 | 0 | 6 | 57:46 | 18 |
| დალასი | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 39:33 | 17 |
| ანაჰაიმი | 16 | 6 | 3 | 2 | 5 | 46:53 | 17 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*



ოტაველი მარიან ჰოსა (18) ატლანტელ იანიკ ტრამბლეს გაურბის



## თვის ახალბედა

### ბრედ რიჩარდსი (ტამპა)

**წარმოიდგინეთ**, როგორ უნდა გამოეჩინა ამ ყმაწვილს თავი, რომ თვის ახალბედად დასახელდა მაშინ, როცა მისმა გუნდმა ოქტომბერი ბოლო ადგილზე ჩაამთავრა. ბრედ რიჩარდსმა მხოლოდ 3 გოლი გაიტანა, სამაგიეროდ, 8 პასი მიითვალა და ჩემპიონატის პირველ თვეს, 11 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა ახალბედათა შორის. აღსანიშნავია, რომ ეს 11 ქულა მან სულ 10 თამაშში მოაგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ მატჩში ერთ ქულაზე მეტს აკეთებდა, რაც ზოგჯერ დიდოსტატისთვისაც კი მიუწვდომელია. მთავარი კი მაინც მისი თავდაჯერებაა, სწორედ ამით გამოირჩევა ყინულზე. 20 წლის ჭაბუკი ძალისმიერ ბრძოლაშიც მარჯვეა, დაცვასაც ეხმარება და შეტევაშიც, განსაკუთრებით რიცხვმრავლობაში, ერთობ ნაყოფიერად ირჯება. ამ მონაკვეთში მან ზედიზედ ოთხ მატჩში გააკეთა ქულა, საუკეთესო კი მისთვის ატლანტასთან შეხვედრა (5:2) იყო 15 ოქტომბერს, რომელშიც სამი პასი გააზერხა.

**საუკეთესო ექვსეული**

**ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე, 1); ლუბომირ ვისნოვსკი (ლოს ანჯელესი, 1) — ანდრეი მარკოვი (მონრეალი, 1); ბრედ რიჩარდსი (ტამპა, 1) — სტივ რაინპრეხტი (ლოს ანჯელესი, 1) — დანიელ სედინი (ვანკუვერი, 1)**

## აფროსნობა

# ეძებე ქარი

**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**

**ქარმა იმატა.** „ტაიმს კლიპერ 2000"-ის იახტებს სიცოცხლის ნიშანი დაეტყოთ: 14-18 კვანძი სიჩქარით მოძრავი ჰაერის მასები გვარიანი სიჩქარის განსავითარებლად კმარა. იახტები მოჭარბებულ საკვებს მეტ-ნაკლებად ირგებენ, ამიტომ დღეისთვის ლიდერსა და აუტსაიდერს 100 მილი კი აღარ აშორებთ, არამედ ბარე სამჯერ მეტი. „ლივერპულმა" გარისკა და მოიგო — სამხრეთით გაჭრილმა აღმოსავლეთის ქარით ყველაზე კარგად ისარგებლა. მერსისაიდული იახტა ბოლოდან ერთბაშად მესამე პოზიციაზე გადასკუპდა და რეგატის კუდი სკოტებს დაუთმო. „გლაზგო" პირველი შეხედვით უნუგეშო დღეშია, ლიდერ „პორტსმუთთან" 339 მილს აგებს, მაგრამ იგი და „ლონდონი" ახლა თავად წავიდნენ სამხრეთით, მწვანე კონცხის კუნძულებისკენ და სამხრეთ-დასავლეთისკენ იქამდე არმისულებმა გაუხვიეს. სკოტთა და დედაქალაქელთა ტაქტიკის შედეგი მალე უნდა გამოჩნდეს. დანარჩენები ერთიან ჯგუფად ოდნავ ჩრდილოეთით მიდიან, განედის 21-24 გრადუსის ფარგლებში და მხოლოდ „ლიდსი" ამოვარდნილა მკვეთრად საერთო ანსამბლიდან.

**7 ნოემბრის ვითარება**

II ეტაპი.

ვილამურა — ჰავანა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | „პორტსმუთი" | 2671 | 0 |
| 2. | „ბრისტოლი" | 2761 | 90 |
| 3. | „ლივერპული" | 2770 | 99 |
| 4. | „პლიმუთი" | 2771 | 100 |
| 5. | „ჯერსი" | 2778 | 107 |
| 6. | „ლიდსი" | 2823 | 152 |
| 7. | „ლონდონი" | 2929 | 258 |
| 8. | „გლაზგო" | 3010 | 339 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან*

# რეგატა გალმა გავიდა

**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**

**სამი** დღის წინ „BT ჩელენჯის" იახტები სამხრეთ ნახევარსფეროში გადავიდნენ და უმოკლესი გზით კაბუ-ბრანკუს კონცხისკენ გასწიეს, გზად ჩაუარეს ბრაზილიის კუთვნილ კუნძულებს: ფერნანდუ დი ნორონიასა და როკას, კონცხთან მოუხვიეს სამხრეთით და ამჟამად ქალაქ სალვადორის განედს არაფერი უკლიათ. სალვადორი გამოვარჩიეთ, რადგან პარალელურად მომდინარე „ტაიმს კლიპერ 2000"-ის ბოლოსწინა ეტაპიც ამ ქალაქიდან უნდა დაიწყოს.

მანევრირების ხვედრითი წილი შემცირდა. ახლა ბუენოს აირესამდე საჩქაროდ რომ მიაღწიონ, იახტებს უფრო ქარებში გარკვევა მართებთ. ეტაპის პირველი ნახევრის შედეგებით კვლავ „ელ ჯი ფლატრონი" ლიდერობს, ოღონდ მდევრები ასე, 30 მილით მიეწივნენ.

**დავით გულუა**

**7 ნოემბრის ვითარება**

II ეტაპი.

ბოსტონი — ბუენოს აირესი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | „ელ ჯი ფლატრონი" | 1957 | 0 |
| 2. | „სპირიტ ოფ ჰონკონგი" | 2034 | 77 |
| 3. | „ვერიტასი" | 2038 | 81 |
| 4. | „ბი პი" | 2056 | 99 |
| 5. | „კომპაქი" | 2059 | 102 |
| 6. | „ლოჯიკე" | 2063 | 106 |
| 7. | „ტიმ სპირიტი" | 2073 | 116 |
| 8. | „ოლიმპიკ გრუპი" | 2099 | 142 |
| 9. | „ქუადსტოუნი" | 2110 | 153 |
| 10. | „აილ ოფ მენი" | 2111 | 154 |
| 11. | „სერკო" | 2122 | 165 |
| 12. | „ნორვიჩ იუნიონი" | 2219 | 262 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან*



# ქალიც ესაა

ამ ფოტოზე აღბეჭდილმა ქალბატონმა ცხოვრებაში დიდ გამოცდას გაუძლო. ქმარი ღალატობდა, ძმებმა საქართველოში თხილის კნატუნისას კბილები დაიმტვრიეს, თავად კი ქედი არ მოიდრიკა და სენატში მოსახვედრად აი, ასე იბრძოლა: მარჯვნივ „ბუფალო ბილზის“ მოთამაშე (იმათი ფეხბურთი) დაგ ფლუტი ამოიყენა, მარჯვნივ სენატორი ჩარლზ შუმერი.

P.S. ამ ფოტოს სპორტთან კიდევ ის კავშირი აქვს, რომ ქალბატონ ჰილარი კლინტონს კონკურენტად რესპუბლიკელი კონგრესმენი რიკ ლაციო ჰყავდა.

# ვივ ლა ფრანს!

პარიზში, ელისეს მინდვრებზე მდებარე სასახლეში დიდი გაცვლა-გამოცვლა გაიმართა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა სიდნეის ოლიმპიადაზე გამარჯვებულ თანამემამულე სპორტსმენებს „საპატიო ლეგიონის“ ჯილდოები გადასცა, მათ კი თავის მხრივ, საკუთარი ხელმოწერებით დამშვენებული დიდი პლაკატი უსახსოვრეს. ფოტოზე შირაკი ძიუდოისტ დავიდ დუიეს ართმევს ხელს.

P.S. შირაკმა საჩუქრად მიღებული პლაკატი, ალბათ, შინ, სამზარეულოში, კერასინკის გვერდით დადო.



REUTERS პარიზიდან



# შეჩერდი წამო!

დიდებული რამაა ისტორია, რაღაც აუცილებლად ხდება პირველად. მაგალითად, ამ ფოტოზე გამოსახული ქალბატონი, რიოკო ტამურა პირველი იაპონელი ძიუდოისტია, რომელმაც 48 კგ წონით კატეგორიაში ოლიმპიური ოქრო მოიგო და ამისთვის ქვეყნის პრემიერ-მინისტრისგან, იოშირო მორისგან სიგელი მიიღო.

P.S. ეს ფოტო ისტორიაში პირველადაა სარბიელის ბოლო გვერდზე.

# აი, რა კარგია, როცა დაკოდილი ხარ

REUTERS მელბურნიდან




REUTERS მელბურნიდან



ერთი წუთით დაივიწყეთ საქენერგო, თბილგაზ-საქგაზი, თელას-ქელასი და გაიხსენეთ, რომ ეკვატორს ქვემოთ, კერძოდ ავსტრალიაში, გაზაფხულია. გაზაფხულობით კი მელბურნში ცნობილი ფლემინგტონის დოღი იმართება, ეგრეთ წოდებული მელბურნის თასი. გუშინ, 7 ნოემბერს, როდესაც თბილად ჩაცმული რუსი კომუნისტები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მორიგ წლისთავს „ურა“-ობდნენ, იპოდრომს მოშიშვლებულთა არნახული რაოდენობა მიაწყდა. მათ ჯერ მოდების ალლუმი მოაწყვეს (ელენ როჩი, ლინდა ბლაკინი და ლინდა არინა უცნაური ქუდებით კოპწიაობდნენ, ბეტინა იანაკურუ და ელისა მაკივონი კიდევ რაღაცეებით), შემდეგ კი საკუთრივ დოღიც გაიმართა.

და ვინ გაიმარჯვა დოღში? ახალზელანდიურმა ულაყმა ბრიუმ.

P.S. ასეთ ვითარებაში დაკოდილის წარმატება გასაკვირი არ უნდა იყოს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge